

124. 1883

# ივერია

1883

№№ V & VI, მაისი & ივნისი.

თბილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა.

1883

05  

---

32.



# ივერია

43  

---

1883/3

საპოლიტიკო და სალიტერატურო  
ქურონალი

წელიწადი მეშვიდე

№ № V & VI

262.  
3354  
263



თბილისი  
გეორგიე ხელაძის სტამბა, ღირს-მელოქოვის ქუჩაზე  
1883

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Мая 1883 г.

## შინაარსი:

I წამება ძეთევან დედოფლისა, ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად (დასასრული) ა. მოჩხუბარძისა. . . . .	3
II სესიას ფიქრები (ლექსი) თ. ჩაფ. ერისთვისა . . . . .	50
III წერილები ლორენცო ბენონისა (შემდეგი) თარგმანი ელ. მამულაშვილისა. . . . .	52
IV სანი ძველი ვარიანტი ქართული ოთხთავისა ანუ სახარებისა დ. ბაქრაძისა . . . . .	112
V ლამის მეხრე (ლექსი) თ. ჩაფ. ერისთვისა . . . . .	126
VI შინაური მიმოხილვა უცნაური დრო—თუ ჰგონიათ — ლიბერალობის ნიშნად—გადასადები ჭირი თუა—მძიმე ზარბაზანი და უშველებელი ყუმბარა—ტყუილი «უფრო» —რა სახუთი—სასწაულოთ უარ-ყოფა—ერთგვარი დოღლიკა შორსმანძალზედ—გაი პასუხი—ვერაფერი ჭაშნიკი—რომ ესინჯა—როდისღა ბაგონო—ახირებულად ნაამბობი—«მიაქებს და მიაჭექას» ამბავი—ხან ასე და ხან ისეო—მიზეზ-მიზეზ—ხან ტყუილია, ხან მართალი—ორში ერთი—მოდით და აქ გაიგეთ რამე—თხოვნა.—ათვალწუნებული ბანკები—მინისტრთა კამიტეტის განაჩენი—სასტიკი კანონი, ქუთაისის ბანკზედ მიმართული—ჭორია—ბევრი დი ცოცრა რა უეაშია—ქუთაისი და ოსტროგორსკი—ბანკისა რა ბრალია—მეტის მეტი ფასებიო—პოლიისი—უმიზეზნო მიზეზნი—იყავნ ნება ჩემიო. . . . .	127
VII რედაქციიდან (უდაზედ).	

# წამება ჭითივან დედოფლისა

(დასასრული \*)

## მოქვედება მესამე

სურათი 1.

სპარსების ბანაკი

(სცენა წარმოადგენს მინდვრად დაცემულს სპარსების ბანაკს, რომელზედაც მოჩანს ფანჩატურები და კარვები. უკან სცენაზედ აშართულან ცუიანი და კლდიანი მთები. აქა-იქ გაჩაღებულს ცეცხლს, გარს შემოსხდომიან სპარსთა მეომარნი და საჭმელს ამზადებენ. სცენაზედ ხალიჩაზედ სხედან უსუფ-ალი, ალი-ბეი და მუსტაფა-ალა და ყალიონს სწევენ.)

გამოსვლა 1.

მუსტაფა, ალი და უსუფ.

უსუფ. საკვირველია, გათენებამ მოაღწია და მეფე კოსტანტინე ჯერ არსადა სჩანს!

მუსტ. უსუფ-ბეგ, ჯერ ცოტა ადრე ხომ არ არის, კოსტანტინეს მეფე დაკუძახით?

---

\*) «ივერია» № 4, 1883 წ.

უსუფ. სულაც არა, თქვენმა მზემ... დიდებულმა შაჰ-შაჰმა დანიშნა კონსტანტინე კახთა მეფედ და წინააღმდეგობას ვინლა გახედავს?... იქნება თაკი მოსძულუბის ვისძე?

მუს. ეჰ, ძმაო!... ქართველებს ჯერ კარგად არ იცნობ!.. იმათი დამორჩილება ეგრე ადვილი არ არის.

აღი. უბრალოდ გეშინიან, ბატონო უსუფ... შაჰ შეხედე ამ ჯარს, (უჩვენებს კარკებზედ) თუ საჭიროებამ მოითხოვს მთელს საქართველოს გადავახრუნებთ, და დიდებული შაჰის სურვილს ვი ავასრულებთ, კახეთს რა შეუძლიან?

მუს. სხვათა ადგილს ბრძოლას ეგრე ადვილი არ არის, ძმაო უსუფ... მეტადრე იმისთანა ხალხთან ბრძოლას, როგორც ქართველები არიან. ეგენი ომში გამგულდებიან ხალძე... არა ძმანო, ქართველებს ისეკ სხვა რიგად თუ მოვიმხრობთ თორემ ვერც ბრძოლით გავხდებით რასძე და ვერც მუქარით... ხომ ნახე ქეთევან დედოფალმა და თავად-აზნაურობამ რა ზასუხი მოგვცეს... განა იმათ შიში ან მოკრიბის სურვილი ეტყობოდათ?

უსუფ. აგრე იმისთვის იჭკევიან, რომ ჯერ ძალა არ დასდგომიათ...

აღი. (დაცინვით) საცოდავებს, რა ამბავი შეეჭნებათ, როდესაც ჩვენს დარაზმულს ჯარს შეხედამენ...

მუს. ეგ ვი არა, თქვენ ისა სთქვით, რამ გაახედვინა მეფე კონსტანტინეს ისე მარტოდ თელავში შესვლა?... იმ დღეს შემდეგ, რაც დავით და ალექსანდრე დავუხროტეთ, მოსვენებას აღარ გვაძლევენ... დღე ისე არ გავს, რომ თითო კაცი მაინც არ მოგვიკლან.

უსუფ. რაღას აგვიანებს დალოცვილი მეფე? გვიბძანოს და ერის წუთში ამოკუეტავთ.

- აღი. მეფე კონსტანტინეს იმედი აქვს, რომ საჭმეს უომრად გაკათავებთ.
- მუს. (იჭვნიუღად) მე რომ ქართველებს ვიცნობ, ნეტა ომით დავიძირებოდა, თორემ მშვიდობიანობას ვიღა ვუფიქრობს!
- უსუფ. (აღის) როგორც მუსტაფა-აღას ეტეობა, ქართველებს ძაღიან შეუშინებიათ.
- მუს. (წყენით) შეშინებით არ შეკუშინებია, მაგრამ ვაყ-კაცობა და სიგულადე, მტერისა თუ მოკეთისა—საჭებურია, ქართველები კი, კაცმა ღმერთს ჭკეშ უნდა სთქვას—განთქმულნი მეომარნი არიან.
- აღი. (დაცინვით) განთქმული, განთქმული!... მაგას მაშინა ვნახამთ, როდესაც შინისკენ დაბრუნდებით... (უსუფს) ვინ იცის რაკდენს ხალხს წარვატყუებთ, რაკდენს გავამაჟმადიანებთ, რაკდენს გავიხდით ხოჯებად!...
- მუს. ვისძინოს ალაჰმა, მაგრამ ეჭვი კი მაქვს.
- უსუფ. ასე სთქვა: მეშინიან თქო!...

## გამოსვლა 2.

იგინივე, დაუდ-ბეგ და მეომარი.

- მეომარი. დაუდ-ბეგ მობძინდება (ყველანი წამოდგებიან და მიეგებებიან.)
- დაუდ. სწარსეთი საქართველოს ძაისის ჭკუენას ტყუილად არ ეძახის!.. მართლადაც რომ ძაისის ჭკუენას! შეხედეთ ამ ბუნებას, ამ ყვავილთ მშვენიერებას, იგრძენით ეს უნოსიე-

რება... რა შეეძლება ამ ბუნებით სიმდიდრეს, რომელიც ვაძს ათრობს და გულში ნეტარების სიამოვნებას აღუძრავს? (სუნთქავს სიამოვნებით) უჭ, უჭ, უჭ!

მუს. მართლაცა ბძანებით, დიდებულა სარდალა, ამ ქვეყანაში ვაძი ედემის სიამოვნებასა ჰგონობს.

აღი. როდის იქნება, ეს პატარა წაფკოტი ჩვენს სამეფოს შევაერთო?

უსუფ. (თავისთვის) სხვა სამეფოებიც მაგასა ჰფიქრობენ მაგრამ ქართველები სხვა ხალხია...

დაუდ. უძაწვილებო, ვახშმად ჩემთან უნდა მობძანდეთ — ჯეირანის მწვადებზედ დაგპატიუებთ.

უსუფ. უთუოდ მამუკა მოგართმევდათ?

დაუდ. დიაღ, მამუკამ დღეს კიდევ მოკლა ჯეირანი.

აღი. კვ გურჯი ძალიან მოხადირე გაგიხნდათ.

დაუდ. საკვირველი!... ისე სანადიროდ არ გასულა, რომ ხელცარიელი მოსულიყო... მერე რა ერთგულია, რა რიგად შემსახურება...

უსუფ. ძგონი წარალშიაც არ გახლდეს?... დიდებულის სარდალის სამსახურისთვის დირსუულს საჩუქარსაცა შოულობს.

დაუდ. მეოვე კონსტანტინეს კელოდი, ძეგონა ვახშმად მოგვასწრობდა, მაგრამ დაიგვიანა... მეტი ღონე არ არის, უიმისოდ უნდა ვივახშმოთ.

მუს. დიდებულა სარდალა!... ჩემგან ჭკუა არ გასწავლებათ, მაგრამ მეოვეს ფათურავი კი არა წაუკიდოს-რა?

დაუდ. (წარბებ-შეჭმუხვნილი) ვინ გახლავს, იმის თავზედ ერთის ბეწვის შეშლას? საქართველო ათასჯერ უდიდესი და უძლიერესი რომ იყოს, ჩვენი დიდებული შაჰი მაგას არ



მოუთმენდა, მოლად შემუსრავდა და განხადგურებდა.

მუს. ეგ მართალი გახლავს, მაგრამ ძველი ანდრეა აშობს: მეტს სიფთხილეს თავი არა სტკივალ.

დაუდ. (მკაცრად) ჯანრებს სიფთხილე არა ჰქვია... მაგრამ ხნიერებით შენ ჩვენზედ უფროსი ხარ, დაჯიჯვრებ შენს სიტყვას... დამიძახეთ მამუკას. (რამდენიმე წარისკაცი გაჩბის).

ხმა ხალხში. მამუკა, მამუკა! მამუკას უბრძანებს დიდებული სარდალი!

დაუდ. (მუსტაქას) მინდა დაგიმტკიცოთ, რომ თქვენი შიში უსაფუძვლოა.

მუს. (თავის დაკვრით) იხეხას ალანძმა.

### გამოსვლა 3.

#### იგინივე და მამუკა.

მამუკა. (შემოვა, მონადირის ტანისამოსით და მდებლად თავს დაუკრავს იქ მყოფებს) დიდებული სარდალი! თქვენ გინებებით ჩემი დაბარება.

დაუდ. მე უნდა შეკითხა, დიდებულს ვახთა მეფე კოსტანტინეზედ...

მამ. (შეკრთება, იქით) ვახთა მეფე?!... ნუ თუ დმერთმა ჩვენზედ ხელი აიდო?!

დაუდ. შენ როგორა გგონია, საფრთხეში ხომ არა ბრძანდება?

მამ. (იქით, განარებული) კმადლობა ჩემს გამჩენს! (დაუთს დამიძახით და მდებარებით) რას მიბძანებ, დიდებული სარდალი!

დაუდ. აქ იმ აზრისანი აზრან, რომ მეტს სიფთხილეს თავი  
აზრს სტკივარ?... შენ რას იტყვი ამასად?

მამ. (ღიმილითვე) ვინ გახდავს დიდებულის შაჰის წინააღმდე-  
გობას!... განა თქვენ არ იცნობთ ქართველებს?

დაუდ. (მუსტაქას) გაიგონეთ?... უღონო ქართველები რო-  
გორ რასმე გახდამენ.

მამ. (იჭით) მაგ უღონოებს ვი ბეკრჯულ უჩვენებიათ თავიანთი  
ძალა!

დაუდ. მაშ დარწმუნებული ხარ, რომ მეტეს აზრს ეკნება-რას?

მამ. ავი მოგახსენეთ, ბატონო!

მუს. დიდებულა სარდალა! მე ვი ისე მგონია, რომ მამუკა  
ქართველია და მაგას მაგოდენად არ უნდა კენდნეთ.

დაუდ. (გაცინებს) გესმის მამუკა?... (უჩვენებს მუსტაქასად)  
ამას შენს ერთგულებასად ეჭვი შემოაქვს, უბასუბე.

მამ. რა უნდა უბასუბო, ბატონო სარდალა?... ენას ძვალ-  
იმიტომ არა აქვს, რომ რაც მოადგება ის წარმოთქვას...

დაუდ. (გაცინებით) გინდოდა გეთქვას: წამოროშოს!... (შეიჭ-  
მუნის წარბებს) შენს სიტყვებს მეც დაუმატებ, ენა კბი-  
ლებთან ახლავს იმიტომ არის, რომ როდესაც სისულე-  
ლის წარმოთქმას მოიწადინებს, კბილებმა გააჩერონ.

მუს. (წყენით) აი დაკადგამ კბილებს... რომ თქვენი ანდაზა  
გონივრული გახლავსთ.

დაუდ. (მამუკას) მაშ როგორა გგონია: რად დაიგვიანა მე-  
ფემ?

მამ. შორი გზა გახლავს, ბატონო! მისკლავ-მოსკლავს ვერ მო-  
ასწრობდა. (კულისებიდგან ხმაურობა მოისმის).

დაუდ. რა ამბავია? (შემოდის მუს.).

## გამოსვლა 4.

## იგინივე და მუსა

უველ. (მიეგებებიან) რა აძხაკია, რა აძხაკია?

მუსა. დიდებულა სარდალა? ვილაცა ქართული დაუტყუებიათ და ის მოჭყავთ.

დაუდ. ვინ ქართულია?

მუსა. რა მოგახსენოთ, ჩვენი კაცები ტყეში გახლდენ და იმათ დაუჭკრიათ. (შემოიყვანენ ხელ-შეკრულს გლეხს).

დაუდ. შენ ვინა ხარ?

გლეხ. ქართული.

დაუდ. რად დაგიჭირეს?

გლეხ. რა მოგახსენოთ.

დაუდ. ტყეში რას აკეთებდი?

გლეხ. გლეხი მუშაობისთვის გახლავს გაჩენილი, თუ ან ტყეში არ ვიმუშავებ, ან მინდვრად მს რამ უნდა გვატყუროს?

აღი. თუ სამუშაოდ იყავ, იარაღი რაღად გინდოდა?

გლეხ. იარაღი?... მას რა ვქნათ, შე დალოცვილო! რა აღარ გვისვენებენ?... ქართულის ბუდი დაზადებიდგანვე კვ არის, შენი ჭირიძე, ერთი ხელი გუთანზედ უნდა კვიდოს და მუარეთი ვი ხმალი იქნოს... აი ეხლაც შეშისთვის-ტყეში გახლდით, თქვენი კაცები დამეცნენ და ხარი წამართვეს.

ჯარის-კაცები. სტყუის, სტყუის.

გლეხ. (უყურებს) არა ვსტყუი, ბატონო, ღმერთისა მოწამე.

დაუდ. კარგი, მერე?

გლენ. მე, შენი ჭირიძე, ჩემი ხარის თხოვნა დაგუწე, მაგრამ არც ხარი მომცეს და ბეჭედიც მცემს, შემიკრეს ხელები და აქ წამომიყვანეს.

მუს. სტუუის, ეგ უწმინდური!

სხვები. სტუუის, სტუუის!

დაუდ. (ბრძანებით) გაჩუდით! (გლენს) მე გამიგონია ქართულები პურადნი არიან და ჩვენ კი თქვენი სტუმრები ვართ, ხარხედ რაგონა სჩივი?!

გლენ. სტუმრობა და მოყვრობა ნებისა გამიგონია, შენი ჭირიძე და ძალადობა მტრისა!.. იქნება მაგ ერთი ხარის მეტი არა მყავდა... იქნება ეგეც ჩემი არ არის და მეზობელს შებრალებოდეს ჩემი გაჭირვებული ცოლ-შვილი და იმას ეთხოვებინოს?.. რითუნ მართმევენ? მკითხონ მაინცა...

დაუდ. ჩვენ ხარები ბარგის გადმოსაწიდად გვინდოდა, მაგრამ ესაა კი სხვა რიგად მოვიქცევი... მე არ მინდა ქართველებს პურადობის სახელი გავუტეხო. (ჯარის-კაცებს) წადით ხარი დაჭკალით ჯაჯარს გაუწილადეთ! (უჩვენებს გლენზე) ესეც წაიყვანეთ, კარგად დაუხვდით და ისე გაისტუმრეთ. მინდა რომ ქართველები ჩვენს პურადობაშიაც დაწმუნდენ.

გლენ. (გულ-ნატყენად) ეგ არის თქვენი სამართალი?

დაუდ. (მკაცრად) წაიყვანეთ! (რამდენიმე კაცი მისცვივდებიან გლენს, რომელიც არა ნებდება) აი თქვე უღმერთოებო, თქვენა! (დასხლტება ხელიდგან, წამოაკლებს ჯოხს ხელს, რომელიც იქვე კდია და შეუძალალებს დაუდს. წინ დაუხვდებიან ალი და უსუოვ ამოღებულის ხმლებით და იგე-

რებენ ქართველს, რომელსაც მისცვიკდება დანარჩენი ხალხი და ხელებს შეუკვრენ) მშიშარებო!. ძალიან სიგულად ვარ გამოიხინეთ... ასისგან ერთის მოჩვენა სახელად გეყოფათ! დაიკვებეთ!...

დაუდ. ჩამოაღრჩეთ, ეხლავე ჩამოაღრჩეთ! (მიჭყავსთ) მაგრამ დაიცადეთ!... მაგისტოს მარტო სიკვდილი რასა გმარა... ისეთს სატანჯველს უნდა მივცე, რომ თავსა და ბედს იწუკლიდეს... (უჩვენებს ხეზედ) აქ მიაბით!... გათენებამდის ყარაული დაუყენეთ და ხვალ კი ღირსეულს ღირსეულად დაკასახუქრებთ. (უკან სცენაზედ მიაბენ ბოდს და დაუყენებენ ყარაულს)

დაუდ. ახა, ყმაწვილებო, წავიდეთ, ვახშმის დროც არის!... მობძანდით. (მიუძღვება წინ, სხუები მისდევენ).

მამ. (ჩუმად გლესს) ღმერთი დიდია, იმედი გქონდეს... (გადაიან).

## გამოსვლა 5.

### კარის კაცნი და ქართველი

1-ლი ჯარის-კაცთაგანი. ხვალ ქართველს თვალებს დავსთხრით!

2-რე კარ. კაც. არა, მაგის ცოლ-შვილს მოვიყვანო და ცეცხლში დავწვავთ.

1-ლი. მაგას კი თვალით ვაყურებინებთ!... რა ამბავი იქნება-და!...

3-მე. მაგის ცოლს მე ვიზატე და მასთან ქებინს გავიჭრი.

- 1 უარ. ქართულა, ქართულა! უუურე (გაიშეკრს ხელს კუ-  
ლისებისკენ) აგერ შენს ხარსა ჭკკლენ.
- 3-მე. შენ კი არ გინდა სამწკადეები?... სუკს ინებებთ, თუ ჩა-  
ლაღაჯს?
- 2-რე. წავიდეთ, ჩვენც ჩვენი წილი ავიღოთ, თორემ აღარას  
შეგვასხვედრებენ.
- გლეხ. წადით, წადით... აჩქარდით, თორემ ვინ იცის საჭ-  
მე როგორ დატრიალდეს? იქნება შეჭმაც ვერ მოას-  
წროთ...
- 2-რე. (დაცინვით) შენ კი არ დაგვიძალა?
- 1-ლი. (შეაფურთხებს) ფუი, უწმინდურა! (გადის და სხვებიც  
მიზღვევენ. სტენაზედ გლეხი და ყარაული ჩხება).

## გამოსვლა 6.

გლეხი, ყარაული და მერე მამუკა.

- უარ. ქართულა! ვინ იცის ხვალ რამდენი წკალება მოგელის.
- გლეხ. რა კუუოთ, ყველაფერი უფლის ნებაა... იმის ნებას  
წინ ვერვინ აუდგება.
- უარ. მუცელს გაგიჭრიან და იჭიდვან ჩაღხით წყნარ-წყნარად  
ნაწლეკებს ამოგისვევენ.
- გლეხ. ბოლოს ხომ მოკვდები?
- უარ. გაზებით ფრხნილებს დაგაძრობენ.
- გლეხ. ბოლოს ხომ მოკვდები?
- უარ. თავზედ ჩკინის თაფას იჭამდის მოგიჭერენ, სანამ თავი  
არ გაგისკდება და ტვინი ჭკერში არ შეასხავს.

გლენ. ბოლოს ხომ მოკვდები?

ყარ. (გაჯავრებით) მოკვდები, მა რა მოგივს?

გლენ. (გატაცებით) მოკვდები და მოვისვენებ, მოკვდები და სასუფეველს მივიღებ! (გამოჩნდება მამუკა, რომელიც წინა-რად ეპარება).

ყარ. (დაცინებით) თუ მოკვდი სასუფეველი ბეკრს-და გარკებს!

გლენ. საზიზღარო!... საქართველოში კიდევ ბეკრნი დაჩიბიან, ჩემს სისხლს არ შეგარჩენენ!

ყარ. (იტინის) ჭა, ჭა, ჭა!... ბეკრი დაჩიბიან, სისხლს არ შეგარჩენენ! დიად ნუ შეგარჩენენ, თუ ეველას შენი დღე არ დავაყენეთ!

მამ. (სწვდება კისერში, დასცემს, მუხლს დაადგამს გულზედ და ხანჯალს შეუძაღლებს) ბილწო! იმ დღეს ვერვინ მოესწრობა, რომ საქართველოში ქართველი აღარ იყოს! (დასცემს ხანჯალს. მივარდება გლენს საჩქაროდ გაუჭრის თოკებს და გარბიან).

ყარ. (მუხლის ჩოქზედ წამოიწევს და ყვირის) მდეკარი, მდეკარი. (ისევ დაეცემა. რამდენიმე ჯარის-კაცი გამოდის და დაჭრილისკენ მიისწრაფიან).

## გამოსვლა 6.

რამდენიმე ჯარის-კაცი, მერე დაუდ, უსუფ,  
ალი და მუსტაფა

(რამდენიმე ჯარის-კაცი მისცვივდებიან მომაკვდავს ყარაულს)

1 ჯარ. დაუჭრიათ, მოუკლავთ!...

2-რე. არა, ჯერ არ მომკვდა... ლაპარაკს ავიტყობ!

ყარ. (მიხრწნილის ხმით) მამუკა, ტყვე... გაიქცენ. მომკვლეს!... აქეთ წავიდნენ. (რამდენიმე ჯარის კაცი გარბის იქითკენ, საითაც ტყვეების გაქცევა აჩვენებს. ამ სცენის დროს განუწყვეტლივ სპარსეთის ბანაკიდან გამორბიან ჯარის-კაცები და შედიან ტყეში, საიდგანაც თეთვის სრულას ხმა მოისმის).

აღი. (შემოვარდება) რა ამბავია?

1 ჯარ. კაცი. მამუკამ ყარაული მოკლა, ტყვე გაანთავისუფლდა და ორნივე გაიქცენ.

აღი. (დაფაცურდება) მდეკარი, მდეკარი!

1 მეომარი. ასამდე კაცი გამოვიდა. (შემოდის დაუდ, უსუფ და მუსტაფა).

დაუდ. რა მოხდა, ეს რა თეთვის სრულაა?

აღი. მამუკას ყარაული მოუკლავს და ტყვესთან ერთად გაქცეულა!...

დაუდ. როგორ თუ გაქცეულა?! ჩქარა გამოუყენეთ, დაიჭირონ! უთუოდ დაიჭირონ! (მუსა შემოდის).

მუსა. (მღაბლად თავს უკრავს) დიდებულ სარდალ!.. აქ ტყე ახლავს გახლავსო, სახამ ჩვენი მდეკარი მოეწეოდა, იქ შეგვასწრეს.

დაუდ. (დაბნევით) რას ამბობ? უნდა დაიჭიროთ, უნდა მომიყვანოთ! მამუკა მომიყვანეთ ესლავ, გამაძლეთ იმის სისხლით!

მუს. მე არ მოგახსენეთ: მამუკა ქართველია, ნუ ენდობით მეთქი?

დაუდ. რა ვიტყვი?... ის ისე ერთგულად იქცეოდა, სიკვდილს გადაძარჩინა... რას მოგიფიქრებდი?... (მუსტაფას შეტე-



კით) წყუღო! თუ იმის ორგულობა იცოდი, რატომ არ მითხარ, რატომ წინადაცე არ შემატებინე?

მუს. მაგას რა ცოდნა უნდოდა, რომ ქართველს ქართველი ვერ უღალატებს!..

დაუდ. (შეტევით) გაჩუმიდი!

მუს. (იქით) მართლადაც კბილები ენასთან ახლოს იმიტომ არის, რომ ხანდასხან თავიანთი სიახლოვე მოაგონოს.

დაუდ. შეჩვენებულა ქართველებო! ამას იქით მიუჩრეთ რას გიზამთ?... დალოცვილი კოსტანტინე რაღას აგვიანებს, გვიბძანოს ერთი, რომ მაგ უწმინდურების სისხლში განვიბანეთ... არა, მამუკა! მამუკა როგორ წამივიდა ხელიდგან? (დადის განრისხებული).

უსუფ. დიდებულა სარდალა, სწორედ დრო გახლავს, ქართველებს ხელი მივჭყოთ, თორემ მეტად თავს გაკიდენ.

დაუდ. დრო არის და ვფიცავ მაჭმადის საფლავს, რომ ხვალაიდგან დავიწყებ იმათ ყვეტას, დავიწყებ თუნდა თვით კოსტანტინეც კი წინა-აღმიდგეს!...

უსუფ. სოფელი ახმეტა სურსათს აღარ იძლევა.

დაუდ. როგორ თუ აღარ იძლევა?

უსუფ. ასე მოგახსენებენ: აქამდის შეგინახეთ და ამას იქით კი აღარ შეგვიძლიანო.

დაუდ. (მკაცრად) გადასწვან სოფელი, შიგ მცხოვრებნი ამოყლიტონ და რაც მოიპოებოდეს სოფელში აქ მოიტანონ... ეხლაკ გაგზავნე ჯარი, გათენებით თავს დაესხნენ!..

მუს. ბატონი ბძანდებით.

დაუდ. მოხუცი, დედა-კაცი, დიდი და ზატარა, არავინ შეიბ-

რახონ!.. ხელ-ფეხ შეკრულნი დაჭყარონ კალოზედ, ზედ  
შეაყენონ მხედარნი და ისე გალქონ.

მუს. (თავს დაუკრავს) აღსრულდეს თქვენი ბძანება. (გაბრუნ-  
დება. მოისძის საყვირის ხმა).

## გამოსვლა 7.

ივინივე, შიკრიკი და კოსტანტინე

შიკ. მეფე მობძანდება, მეფე!

დაუდ. (მოუთმენლად) დროც იყო!.. (ყველანი მიუგებებიან).

მუს. (იქით) რაგორ დაღონებულა, ფერ-მინდილი!

კოსტ. (შემოდის ფერ-მინდილი და დაღვრემილი. დაუდ და  
სხვები მდაბლად თავს უკრამენ).

დაუდ. (მდაბლად თავს უკრავს) დიდებულს მეფეს სალადი თა-  
ვის ქვეშევრდომისგან.

კოს. გამარჯვება, ჩემო ერთგულო დაუდ!... გამარჯვება თქვენც,  
ყმაწვილებო.

დაუდ. დიდებულო მეფევ! რად დაუფარავს ღრუბელს ზრწყინ-  
კალე სხივი თქვენის დიდებულებისა?! ვინ გაბედა შენი აღ-  
შოგოთება?.. უბრძანე შენს ერთგულს ქვეშევრდომებს, რა-  
თა მათ შეიძლონ შენის შემწუხებელის მიწასთან გასწო-  
რება.

კოს. ჩემო დაუდ! მოაღწია შურის-ძიების დრომ!... ეხლა უნ-  
და გამოიჩინოთ ჩემი ერთგულება და თქვენი ვაჟ-კაცო-  
ბა... კახთა უარ-ჭყვეს დიდებულის შაჭის სურვილი... დაჭ-  
კრას ყამმა და მათი მზე უნდა დაბნელდეს.

დაუდ. (გახარებული) აღსრულდეს ნება შენი, დიდებულო მეფე! მხოლოდ მეშინიან თქვენმა გულ-კეთილობამ კიდევ შეწყალება არ მოინდომოს.

კოს. (წარბებ-შეჭმუსხნით) ვფიცავ მაჭმადის სათლავს და დიდებულის შაჭ-ახაზის სახელს, რომ დღეიდგან ჩემს გულში შეწყალება აღ არ შევა... რომ დღეიდგან საქართველოში მე მექნება მეჯლისი, რომელზედაც სისხლის ღვარს აკაყენებ ღვინისა და შარბათის მაგიერ და სიმღერათ მართო კვნესას, ტირილს და გოდებას-ღა გაკაგონებ... წამდენადაც მეტი სისხლი დაიღვრება, წამდენადაც მეტს ხვეწნას გაკაგონებ, წამდენადაც ძლიერს სატანჯველს ვიხილავ, იმდენად მეტად დასტებება ჩემი გული, იმდენად მეტს ისიამოვნებს ჩემი სმენა!

დაუდ. მეც ვფიცავ შენს სახელს, დიდებულო მეფე, რომ ყოველ-დღე მეტად და მეტად ვასიამოვნო შენი გული და შენი სმენა.

კოს. ახა, დაუდ! დღესვე მიეც განკარგულება, რომ გათენებისტვის ჯარი მზად იყოს... აქედგან პირდაპირ თელავზედ უნდა მივიტანოთ იერიში.

დაუდ. (თავის დაკვირვით) ბატონი ბძანდებით. (გახარებული იქით) ძლივს!

კოს. (ჯოტა ფიჭვის შემდეგ) მომიყვანეთ მამუკა.

დაუდ. ნუ გაგვირისხდებით დიდებულო მეფე, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მამუკა გაგვეძცა.

კოს. (გაშტერებით) რას ამბობ, როგორ თუ გაიქცა!? (სიჩუმის შემდეგ განრისხებული) წყულებო! როგორ გაუშვით ხელიდგან!... ამდენმა ხალხმა ერთი კაცი როგორ ვერ შეინახეთ?!.. (განხიხლებული) ოო, რატომ ის ეხლა ხელ-

ში არა მყავს, რომ იმაზედ მუყარა ჩემი ჯავრი!.. ამ კბი-  
ლებით დამეკლავა, ამ თრხნილებით ამეკლავა მის-  
თვის გული, გაუძაძვრად დაქწათუბადი იმის სისხლს...  
(შეუტევეს) მამშორდით, მამშორდით თუ თავი გებრ-  
ლებათ! (ყველანი ჩამოეცლებიან) ოჰ, ქეთევან, ქეთევან!..  
შენის უარით ბატკანი ღრმად გადააქტივე და ახლა კი  
მიფთხილდი!.. (მიდის საჩქაროდ).

(თარდა.)

## მოქმედება მესამე

სურათი 2.

გამოსვლა 1.

ბელადი და რამდენიმე მეომარი

(ღამე. სცენა წარმოადგენს ტყეს; იმის იქიდან მოჩანს კლდია-  
ნი, ველიანი და თოვლიანი მთები. ზოგიერთს მთებზედ მწყემსებისგან  
გაჩაღებული ცეცხლები მოჩანს. შუა მთაზედ მოზღვეს ხვეული ბილიკე-  
ბი. სცენა რამდენსამე ხანს ცარიელია; ბილიკზედ გამოჩნდებიან შეიარა-  
ღებული ქართველები, რომელნიც ათვალიერებენ იქაურობას და სიფთხი-  
ლით მოდიან).

ბელ. (ჩამოვა სცენაზედ, მიიხედ-მოიხედავს და რა დაწმუნ-  
დება, რომ არავინ არის, ამხანაგებს ხელს უქნევს) ჩამო-  
დით, ჩამოდით! არავინ არის... (გამოდის სცენაზედ).

1 მეომარი. ჩვენ ზირველი მოკედით.

2 მეომ. წესიც კვრეს, ჭირშია თუ ლხინში, პირველები ჩვენ უნდა ვიყვნეთ.

1 მეომ. ყველანი აქ შეკვირებით?

ბელ. აქ არის დანიშნული... სანამ სხვები მოვლენ ტყეში მივიმალნეთ, თვალი არავინ გვკრას. (მიიმალებიან. ცოტახნის შემდეგ სტენაზედ შემოდის მამუკა და გლეხი).

## გამოსვლა 2.

### მამუკა და გლეხი

მამ. აქ ცოტა დავისვენოთ... მარტო ეს მთა-ღა გვაქვს გადასაკლელი და სამშვიდობოსაც გავალთ.

გლეხ. შენ პირდაპირ დედოფალთან წახვალ?

მამ. პირდაპირ. ეხლავე უნდა შევატყობინო ყოველისთვის, რომ მტრმა მოუმზადებლებს არ მოგვასწროს.

გლეხ. ღმერთო შენ დაიხსენ ჩვენი ხალხი მტრის ხელიდან.

მამ. ნუ გეშინიან ფრიდონ!.. ღმერთი თავის კერძო ხალხს არ გასწირავს... ახა, შენც თქვენს სოფელში წადი ნულარ იგვიანებ, უთხარ ყველანი გაიხიზნენ. (ესაღმებთან ერთმანერთს)

გლეხ. ღმერთმა ბძანოს ერთმანერთი კიდევ მშვიდობითა ვნახოთ. (ესაღმებთან) მშვიდობით.

მამ. გაგიმარჯოს. (გაბრუნდება. გამოცვივიან ტყეში დამალულნი).

## გამოსვლა 3.

იგინივე, ბელადი და დანარჩენი მეომარნი

ბელ. შესდექით!... ვინა ხართ? (მეომარნი შემოეხვევიან გლეხსა და მამუკას, რომელნიც ხმაფს ამოიწვიან და უკუ გახტებიან).

მამ. და გლხ. ქართველნი და კრთგულნი ქეთევან დედოფლისა. გახედეთ, თუ შეგიძლიანთ რამე.

ბელ. მტრისთვის ნაღეს ხმლებს, მოკეთებრედ არ აჩლუნგებენ. ჩააკეთ ხმლები! (უკელანი ჩაკებენ) მშვიდობა თქვენს მოსუფას, მამუფის-შვილნი!

მამ. ნუ მოგიშალათ დმერთმა!... ვინა ხართ ძმანი, ან აქ რას აკეთებთ?

ბელ. მალაროელები... ამდამ ვახეთის ჯარი აქ უნდა შეიყაროს.

მამ. (სინარულით) მამ უკელანი მზადა ვართ?...

მამ. მთელი ვახეთი შეჭურვილია, აქ უნდა შევიყარნეთ და მტრს დავესხნეთ თავსედ... შენ ვილა ხარ?

მამ. ქეთევანის ძიძის შვილი... ქეთევან დედოფალთან მივდი-  
ოდი.

ბელ. მამ აქ მოითმინეთ ბატონო მამუკა, დედოფალიც აქ მოხმანდება. (კულისუბიდგან გამოჩნდება რამდენიმე კაცი). აგრ ვილაცანი მოდიან. უთუოდ ხკენები იქნებიან.

## გამოსვლა 4.

იგინივე, ქაიხოსრო ომანის-შვილი და რამდენიმე მეომარნი

მამ. (გადელობება) ვინა ხართ?

ქაიხ. ქართველი და ერთგული ქეთევან დედოფლისა.

მამ. მშვიდობა თქვენს მობძანებას, ბატონო ქაიხოსრო! (დაუკრავს თავს.)

ქაიხ. მამუკა, შენა? რა იღბაღმა შეგკუთარა?

მამ. გაჭირვების დროს, ქართველს თვით ღმერთი უხელს თვალს და გზას უჩვენებს, ბატონო ქაიხოსრო. (მთაზუდ გამოჩნდება კიდევ ხალხი) აგერ, კიდევ მოდიან.

ბელ. მანდღგან ჩვენების მეტი არავინ იქნება.

## გამოსვლა 5.

იგინივე, დავით ასლანიშვილი, ნოდარ ჩოლაყაშვილი და რამდენიმე მეომარი

დავ. (მთიდგან ჩამოსძახის) მანდ ვინა ხართ?

ქაიხ. ქართველი და ერთგული ქეთევან დედოფლისა.

დავ. (ჩამოარბის სხეუბი წყნარა მოსდევენ) ქაიხოსრო! გაუძარჯოს შენს მუხლის ძაღას!... შენ მოგისწრია. (გადაეხვევიან ერთმანერთს).

ქაიხ. არც თქვენა ხართ ცუდი მოსიარულე, მაგრამ შორი გზა

გქონდათ. (მთაწოდ გამოჩნდება ჯარი და შერმაზან ჩო-  
ლაყაშვილი, რომელიც ერთს ქედზედ მუომართი უფროსე-  
ბით დადგება და ჯარს გამოუშვებს).

## ბამოსვლა 6.

### ივინივე და შერმაზან ჩოლაყაშვილი

ბერ. (ჯარის 1-ლს სარდალს) ბატონი შაღვა, თქვენს ჯარს  
მარჯვენა მხრიდან ტყეში დამალავთ და არ გამოჩ-  
ნდეთ სანამ სროლის ხმა არ გაიგონათ. (შაღვა თავს  
დაუკრავს, გაუძღვება ჯარს, ჩაიყვანს სცენაზედ და  
გაკლენ მარჯვნივ კულისებში. 2-რე სარდალს) ბატონ-  
ო როსტომ! თქვენც მტერს მარცხენა მხარეს უჭერთ.  
ეცადეთ კი რომ მტერმა არ შეგამჩნიოსთ—იჭიოკენ ტყე  
ცოტა თხელია. (როსტომ თავს დაუკრავს და უდგება  
ჯარს წინა და მარცხნივ კულისებში გადიან. მესამე სარ-  
დალს) თქვენც ბატონო გიორგი, მტერს უკანა მხარე  
უნდა დაუჭიროთ, ძაღვიან ჩქარა კი უნდა იარათ, რომ  
საგათეებოდ ყველანი თავ-თავის ადგილს ვიყვნეთ და ერ-  
თად თავს დავესხნეთ. გიორგი თავს დაუკრავს დაუდგება  
ჯარის მე-3 კუნდს, ჩამოიყვანს სცენაზედ და კულისებ-  
ში მარჯვნივ გადიან. შერმაზან ჩამოვა დახარხენები მიუ-  
გებებიან) ვინა ხართ იქა?

ქაიხ., დავ., ნოდ. და სხვანი. ქართულები და ერთგულები  
ქეთევანისა!

შერ. გაუმარჯოს განთქმულს მუომრებს და ქეთევან დედოფალს!



უველანი. გაუმარჯოს.

შერ. სიამოვნებითა ვხედავ, რომ უველანი შეგროვილხარ!

ქაინ. მარტო გორჯასვ გვაკლავ თავის ჯარით, მაგრამ იმათ  
შორი გზა აქვსო, ასე ჩქარა ვერ მოვიდოდნენ.

შერ. მტრის შესამუსრად თქვენი სიგულადეც საკმარისია.

ქაინ. საჭმე მამულს შეეხო, დიდებულთა სარდალთა და ამისთათანა დროს, თქვენ თითონ მოგესვენებათ, ერთი ქართული ათად იქცევა. (მთის ბილიკებზედ გამოჩნდება ქეთევან დედოფალი შეჭურვილი იარაღი, ჯაჭვით და ჩახქნით ერთს ხელში უჭირავს ჯვარი, მეორეში ბაირაღი. ამოდის მთვარე; ქეთევანს პირისახე გაუბრწყინდება; წყნარა ჩამოდის ბილიკებზედ, ამაღა და მცველები თან მიზღვევენ. შერმაზინ, ქაინოსრო, ნოდარ, დავით, მამუკა და მეომარნი მიეგებებიან, ხალხი მთის ძირიბას გაიყოფა ორად და იმათ შუა ქეთევან შეზღვება).

## გამოსვლა 7.

ქეთ. გაუმარჯოს, ჩემს მეგობრებს!

ხალ. სცოცხლობდეს ქეთევან დედოფალი!

ქეთ. (თავს დაუკრავს და გამოვა უკან სცენაზედ. შერმაზინ მოუდგება გვერდს, ქაინოსრო, ნოდარ, დავით და მამუკა ცოტა მოშორებით და უკან სცენაზედ დანარჩენი მეომარნი) უველანი მოსულხარო, უველანი ჩემო ძმანო?... გული ხარობს, რომ თქვენს ვაჟ-ვატრობას ვუყურებ...

შერ. დედოფლო! სადაც თქვენ იქნებით, იქ ვინ დაიწარება?

ქეთ. მე გი არა, ჩემო შერმაზინ, მოკვლევას შეილისა მშობ-  
ლის წინაშე!.. ყველაფერი მზად არის?

შერ. ყველაფერი, დედოფალა!... სამ გუთხივ ჯარები შეძრ-  
ვარტყით მტერს; მეოთხე მსაჩიღვანაც ქაინოსრო და  
დავით მიუხდებიან მტერს... ყველანი ერთს დროს და  
მომუღოდნელად თავს დაესხმებიან და ღვთის იმედით მტე-  
რი ველს გაგვიძვრდება. მარტო გორჯასუ გვაკლავს და  
ისიც საცაა თავის ხეკურებით აქ გაჩნდება.

ქეთ. ღმერთმა მოგიძარტოსთ ხელი!.. დაგიფაროსთ ყოველის  
განსაცდელისგან დედა-ღვთისამ, თქვენის ქვეყნის სანუგე-  
შოდ და სადიდებლად!

ყველანი. ამინ.

ქეთ. ქართულნო! თქვენ ამომიჩიეთ, თქვენ მავისრებიეთ  
თქვენი უფროსობა და მჭკს იმედი რომ ჩემთან ერთად  
სასიკვდილოდ თავს არ შეიწყალებთ იმ წმინდა საქმისთვის,  
რომელსაცდელს ვემსახურებით!.. ეს დროა, ნიშანი ხალ-  
ხის თვით-მყოფელობისა, მისი პატივი და სახელი საუკუ-  
ნებითუტარებით თქვენ წინა-პატიუჩიროდ და შეუძვიგ-  
ვლელად... ვეცადნეთ ძმანო! მისი სახელი ჩვენც არ დაგ-  
ცეთ და არ დაუკარგვინოთ ის ძალა, რომლითაც ხანგრ-  
ძობიდან ისევ დიდი სამეფო წარმოუყენებია, რომლითაც  
მიძინებულისთვის სიცოცხლე მიუცია და მოუთქავი გული  
ძალზედ აუძგურებია!... ყოველ ბრძოლაში, გაჭირვებაში  
ეს გაგვიძვრებდა წინ, მის ფრიალზედ ქართულის სის-  
ხლი აჩუხჩუხებულა და მისი პატივის დასაცველად და-  
თხუელა... ვეცადნეთ, ძმანო, ჩვენც თავი არ შევირცხვი-  
ნოთ; შევიძლოთ შეილებს გადავცეთ ისეთვე წმინდანათ,  
როგორც ჩვენ ჩავგებაჩებია!.. სცოცხლობდეს, ჩვენი სი-

ცოცხლის ნიშანი, სცოცხლობდეს საქართველოს დრო-  
შა!..

უველ. სცოცხლობდეს, სცოცხლობდეს!..

ქეთ. ამოიჩინეთ მედროშე.

ხალ. მამუკა, მამუკა იყოს მედროშეთ! (მამუკა მივა და დაი-  
ჩოქებს).

ქეთ. მამუკა!.. შენ მოგერგო ისეთი პატივი, რომლისთვისაც  
უკვლავ ქართველს უბგერს გული, უკვლავ მამულის-შვილი  
შენატრის!.. ჩაიხარო ქართველთ სასული, მის ფრიალზედ  
გაუღვიძო შენს მოძმეთ მოკვლეობის გრძნობა, მოაგონე  
წარსული, დააფიქრო აწმყოზედ და მომავალზედ... ღმერ-  
თი გოვარამდესთ შენც და შენს დროშასაც!

ხალ. გაუძარჯლოს მამუკას, გაუძარჯლოს ჩვენს დროშას!

ქეთ. აბა შერმაზინ, ღმერთი იყოს თქვენი მთარველი, დავი-  
ფიცოთ და შეკუდგეთ ჩვენს საქმეს. (უკვლავნი გამოვლენ,  
გადააჯვარედინებენ ხსლებს, ქეთევანი დგას შუაში) ღმერ-  
თო!... ნუ განაგდებ შენგან, არჩეულს ხალხს!.. ღმერ-  
თო! შენ დაეხმარე ქართველს, ნუ მოუსპობ პატიოსანს  
გრძნობას, ნუ დაუბნელებ გონებას, ნუ გადააკიწებ დედო-  
ფლისაგ, რომ ქართველი თავ-მოსაწონებელი სახელია და  
მის შვილნი ამყად და წმინდათ უნდა ატარებდენ.

უველ. ამინ.

ქეთ. ძმანო! გასწიეთ თქვენ თქვენს საქმეზედ!.. მეც ამ გო-  
რიდგან ვუყურებ ბრძოლის ველს და განკარგულებას მივ-  
ცემ. (უკვლავნი გადიან სხვა-და-სხვა მხარეს გარდა ქეთევან-  
ისა და ამალასი, რომელიც ერთს გორაკზედ ადიან და  
იქიდავი უყურებენ. ჩაოდენიძე ხანს სიჩუმე; მოისმის ბუ-  
კის ხმა).

- ქეთ. (ანძაღლებს ჯვარს) ღმერთო, შენის სახელით! (გაკარდებს თოფი, მერედ ასტყუდება ხშირი სროლა; მოისმის იარაღის და კიყინის ხმა; დრო-გამოშვებით სპარსის მებრძოლნი გამოჩნდებიან და გადიან პირდაპირ კულისებში).
- შერ. (უყურებს) იერიშით მივიდნენ... შეიტაკნენ... ღმერთო შენ მოგვხედო... ყოჩაღ შალვა... გიორგისაც არა უჭირს... (სიხარულით) ოჰო! ასლანისშვილმა სპარსები გაიბრუნა... ვაიმე, ქაიხოსროსკენ გაბრუნდენ... შეუტოეს...
- ქეთ. (მღელვარებით უყურებს) მოიძვრებიან!..
- შერ. ქაიხოსროს ცოტა ჯარი ჰყავს, ვერ გაუძლებს...
- ქეთ. ეს ხალხი მივაშველოთ (უჩვენებს იქ მყოფზედ.)
- შერ. ეგენიც ვერ უშველის, თუ ასლანისშვილმა ვერ მიუსწრო!
- ქეთ. (გაიძრობს ხმალს) მამუკეს, ვისაც ხამუსი აქვს!
- შერ. (წინ გადაუდგება) რას შერები დედოფალო!
- ქეთ. ჩამოდგე შერმაზინ! ჩემს ვაფს ვიხდი! (გარბის კულისებს გარედ, სხვები თან მიზღებენ; კიყინა, თოფის სროლა, იარაღის ჩხარა-ჩხური. სცენა რაოდენიმე ხანს ცარიელია; მთაწოდ გორჯასზე გამოჩნდება, თან ახლავს ხევსურების ჯარი. სცენაზედ კულისებიდან გამოდის ერთი მეომარი).

### გამოსვლა 8.

გორჯასზე, ხევსურები, 1-ლი მეომარი და შემდეგ 2-რე მეომარი.

1-ლი მეომარი. (შეშინებული) რაღა გვეშველება (დაინახავს გორჯასზეს, გარბის იმისკენ) ჩქარა, ბატონო გორჯასზე, დედოფალი განსაცდელშია!

გორ. ღმერთო, შენ გვიშველე! (მისდევს 1-ს მეომარს—მეორე მხრიდან შემოდის 2-რე მეომარი).

2 მეომარი. (მიიჭრება გორჯასთან) მოიცა, სად მიხვალ... სპარსებმა ჯადის დროშა წაგვართვან!

გორ. (შეზღვება) დედოფალი! დროშა?!.. ღმერთო! რა მომდის! კის მივმართო? დედოფალს, თუ დროშას? (ერთბაშად გაბრუნდება იმ მხარეს, საიდანაც 2-რე მეომარი მოვიდა) წაკიდეთ ძმანო!

1-ლი მეომარი. რას შვრებით ბატონო დედოფალი!...

გორ. ჯერ დროშა—მერე დედოფალი! (გარბის ხალხი თან მიზდევს. სცენა რაოდენსამე ხანს ცარიელია. ცოტა ხანს შემდეგ სცენას გადაიჩენს გორჯასზე ხეკსურებით იმათ შუა მამუკა დროშით. ხან-გამოშვებით სპარსები გამოჩნებიან ჯგუფ-ჯგუფად, უკან მოსდევენ ქართულები სრულით, ზოგი იჭტეკა. გამოდის კოსტანტინე, თერი წასვლია, ხმაღზედ ებჯინება, მკერდი სისხლში ამოსვრილის ყაბაღახით აქვს შეკრული).

## გამოსვლა 9.

კოსტანტინე მარტო, მერე უსუფ და დაუდ

კოს. (მიხრწნილის ხმით) მამ -კელათერი გათავდა?... იქიდი აღარათერზედ?... რაღად მინდა სიცოცხლე? უიმისოდ... ნამუს-ახდილს... გასკდი მიწაკ და თან ჩამიტანე!.. (დახედავს ხმაღს) თუი! მოლაღატეკ, პატრონის მგომბელო. (შორს გადისურის) აღარ მე მინდინარ! (დევნება, აიგ-

ლექსს გულადგან შეკრულობას და დასცქერს) შენ რაღად მინდინარ? რას მარგებ... (მორს გადისკრის სახვევს და მისწვდება გულს) გადმოიჩქეფე სისხლო, და მოსკდი ნაკადულად!.. იდინე და თან წარიტაცე უიძედო სიცოცხლე! (დასუსტებული დაეცემა მიღწინილის ხმით) ქეთევან, ქეთევან, ქეთევან! (შემოდის უსუფ და დაუდ).

უსუფ. ასე წავიდეთ, აქ ერთი ძმობილი მყავს... ის გაგვაპარებს...

დაუდ. ქართველს როგორ ვენდოთ?

უსუფ. მოდი, ნუ გეშინიან.

დაუდ. (დაინახავს კოსტანტინეს) ეს ვიღა არის... (მივა სხლოს) კოსტანტინე!..

უსუფ. მოუკლავსთ!..

კოს. (მიღწინილის ხმით და იძედ-გადაწეკეტით) არა, ჯერ არ მომიკვდა რვარ... მაგრამ თქვენ რა გაწუხებსთ?... წადით, თავს უშეკლეთ!

უსუფ. რას ბძანებთ! აგრე თავს როგორ დაგანებებთ!

კოს. (გულ-გრილად) აქ უნდა დავრჩე.

უსუფ. რომ მოგკლან!

კოს. რჩივ ერთია!...

დაუდ. ასე თავი რომ დაგანებოთ, შაჰს რაღა ვასუხი უნდა მივცეთ?

კოს. (იძედ-გადაწეკეტით) სულ ერთია...

უსუფ. დაუდ, სისხლის დენას დაუსუსტებია, მოაკლე ხელი წავიყვანოთ! (მოჭვიდებენ ხელს და წამოაყენებენ).

კოს. (ძლივსა დგას თუბზედ) დამეხსენით, თავი დამანებეთ...

დაუდ. მაშ თქვენს მტრებს უნდა შეარჩინოთ?

კოს. (იმედ-გადაწევეტით) რითი, რითიღა შემიძლიან გადაკუ-  
ხადო?

უსუფ. წავიდეთ მეფევ, თორემ მოგვასწრობს ვინმე და გაქცე-  
ვა შეუძლებელი შეიქნება.

კოს. (უნდა გაეშეკებინოს) მომშორდით, არ წამოვალ! (ამ დროს  
შორიდგან მოისმის გამარჯვებულის ქართველების სიმღე-  
რის ხმა, კოსტანტინე შეკრთება).

დაუდ. გესმის!.. ქართველები როგორა ხარობენ?

კოს. დეე იხარონ!..

უსუფ. იქნება მასხარადაც გვიგდებენ!..

კოს. (ერთბაშად) ჭა?... (ისევ დამშვიდდება) დამეხსენ!.. (სიმ-  
ღერის ხმა ახლავდება).

დაუდ. შენი სირცხვილიც უნდა შეარჩინო!..

კოს. (მწარედ) ოოო!.. (სახქაროდ) წყეულა, განმშორდი, თა-  
ვი დამანებე!

დაუდ. ქეთევან, ქეთევანიც დაგაკვიწყდა?

კოს. (გასწორდება, ჩაოდენიძე ხანი გაშტურებულსავითა დგას)  
ჭა... ქეთევან... ქეთევან? (ერთბაშად) ო-ო, ყველაფერს  
დაკომობ, ყველაფერს, მაგრამ ქეთევანს ვი ვერა, ვერ შე-  
მიძლიან!.. მე დაკუბტვიტებ მაგათ, რომ კოსტანტინე ჯერ  
არ მომკვდარა! წავიდეთ, წავიდეთ! (გადგამს ჩამდენსამე  
ნახიჯს, დახარბაცდება, უსუფ და დაუდ მიეშველებიან და  
ხელ-მოკიდებულს გაიყვანენ. ჩამდენიძე ხანს სტენა ცარეი-  
ლია, მოისმის წყნარი სიმღერა, რომელიც თან და თან  
ძლიერდება. სტენასკედ შემოდის ქეთევან დროშით და ჯვარ-  
ით. შერმაზინ, ჭახოსრო, ნოდარ, დავით და სხვა  
დიდებულნი ჯარით თან მოსდევენ. ხალხში ისმის ხან-გა-  
მოშვებით: «გაუმარჯოს ქეთევან დედოფალს, გაუმარჯოს,

გაუმარჯოს ქართულთ დედას! ქეთევან ადის მთის წვერ-ზედ, დროშას დასცემს ერთს ქედზედ. ხალხი სხვა-და-სხვა გვარ ჯგუფებად იკრიფება, ქუდ-მონღილები დაიჩოქებენ, ქეთევანს გაბრწყინებულს მზის სხივით ერთი ხელი დროშაზედა აქვს გაკლებული, მეორეთი ჯვარი უჭირავს, რომლითაც ხალხს ლოცავს. ფარდა წუნარ-წუნარად ეშვება).

ფარდა.

---



## მოქმედება მეორე

### სურათი 1-ლი

(სცენა წარმოადგენს მეფე თეიმურაზის დარბაზს)

### გამოსვლა 1.

შერმაზინ, მერე ქაინოსრო და ბიჭი.

(შერმაზინ ზის დათვიქრებულად. შემოდის ბიჭი).

ბიჭი. ბატონი ქაინოსრო გიანლათ.

შერ. (შეკრთება) ჭა?... რა სთქვი?

ბიჭი. ბატონი ქაინოსრო გიანლათ.

შერ. (წამოდგება) მოკიდა?... სთხოვე მობძანდეს. (ბიჭი გადის) მოკიდა!... დაჭკრა ჟამმა და უნდა გაუმორდეს... საბრალო დედოფალა!... უნდა წავიდეს სპარსეთთან, რადგანაც შაჰი ითხოვს მაგას... (დათვიქრდება) რამ არ წავიდეს? (ისევ დათვიქრდება) შაჰ-აბაზსა შეუყვარია მთელი სპარსეთი და ჩვენს სამფლობელოს მოსდგომია... წინ როგორ აღუდგეთ, როგორ გაუმადდეს ეს ჰაწაწა ქვეყანა?... ისინი არ შეგვიწყალებენ. არ დაგვინდობენ, ააოხრებენ მთლად საქართველოს!... (დათვიქრდება) რა ვქნათ, რა?... რა უნდა ვქნათ? ხალხის მშვიდობიანობა მსხვერპლს ითხოვს და ჩვენც უნდა ვმსხვერპლნეთ (შემოდის ქაინოსრო)

ქაიპ. ბატონს შეჰმარხანს ვახლავართ!.. (დაუკრავს თავს).

შერ. მოსულხარ კიდევ. (მიესალმება და გადაეხვევა).

ქაიპ. დიაღ, ვახელთ... მე სოფელში ჯარს ვაგროვებდი... წუხელის თქვენმა ბიჭმა მომიტანა ამბავი, რომ დედოფალი შატთან... მიბძანდებაო... მართალია? (წოდენსამე ხანს სიჩუმე, უმეტესის მღუჯვარებით) რატომ არას მიბძანებთ, ბატონო შეჰმარხან?

შერ. მართალია, ჩემო ქაიპოსრო მართალი.

ქაიპ. (განკვირვებით) როგორ?... ნუ თუ დედოფალმა გადასწუიტა შატის ბძანებას დამოწმილდას?..

შერ. რასა იქ?... მაგას ითხოვს ხალხის მშვიდობიანობა.

ქაიპ. (წოდენიძე ხანს სიჩუმე; საჩქაროთ) უბრძოლველად, ბედის უცვლელად უნდა დავმოწმილდეო?... ხალხის უკითხვად გინდათ თქვენი ქვეყანა მტერს გადასცეთ?... არა, ბატონო შეჰმარხან, მაგას ნება არა გაქვსო!..

შერ. ნუ ჩქარობ, ჩემო ქაიპოსრო!.. ჩვენს ქვეყანას ვი არ ვაძლევთ მტერებს, ჩვენს თავებს ვაძლევთ!.. ჩვენს თავებს, რომ ხალხს უბედურება ავაცდინოთ.

ქაიპ. (მღუჯვარებით და მწუხარებით) მანჯატივით... გონება მერვეს, მეფანტება... მე კარგად ვერ ვამიგია რას ამბობთ?... შატ-ახალი ჩვენ მიჯნებს, რომ მოადგას, ჩვენ გადაწუიტეთ ბრძოლა. მე გამგზავნეთ ჯარის მოსაგროვებლად... რა მოხდა ამ ჩემს აქ არ ყოფნაში?

შერ. აი ყური დამიგდე: ეს ხომ შენც იცი, როდესაც დამარცხებული გოსტანტინე, მცირედის გადაჩენილის სპარსებით შატთან ჩავიდა, განრისხებულმა შატმა მოაკროვადი-ძალი ჯარი და საჩქაროვლად გამოილაშქრა...

ქაიპ. (გაწუიტინებს) და ჩვენ გადაწუიტეთ არ დავმოწმი-

აუბუღვიყით, გუბრძოლა უკანასკნელ სისხლის წკეთამ-  
დის!

შერ. მართალია, მაგრამ შენს აქ არ უფუნაში მოკიდნენ შაჭ-  
ხაზისაგან გამოგზავნილი შუა-კაცნი, რომელთაც ითხო-  
ვეს შაჭთან ქეთევანის მისვლა, დამორჩილება და თავის  
მოხრა... შაჭი კმაყოფილდება ამით... იმის სიამაყეს  
მხოლოდ ის უნდა, რომ ქეთევანმა ჰატვი სცეს, თავი  
მოუხაროს და დედოფალმაც გადასწყვიტა შაჭის სურვი-  
ლი აღასრულოს.

ქაინ. როგორ?... ჩვენმა დედოფალმა, თავი უნდა მოუხაროს  
შაჭს?... თქვენი ნებას, ბატონო შერმაზან, და მე კი ას-  
ჯერ სიკვდილს ვირჩევდი მაგ დამცირებს!

შერ. შაჭი ძლიერია.

ქაინ. (გატაცებით) გაწყდეთ ნამუსიანად!

შერ. საქართველოს აღსრება შეუძლიან.

ქაინ. დეე აღაღროს, თავს კი ნუ მოგუხრით.

შერ. ქეთევანა ერთი კაცი არ არის, ერთს კაცს შეუძლიან თვი-  
სი თავი მისცეს მსხვერპლად, მაგრამ ხალხის ბედ-იღბა-  
ლით თამაში კი არ... ქეთევან დედოფალს ნება არა აქვს,  
მოუფიქრებელის მოქმედებით ხალხს უბედურება თავს მო-  
ახვიოს.

ქაინ. თუ აუცილებელია, სპარსებთან ვინმე გაკვანათ: ჩვენ  
წაკალთ და დედოფალი კი აქა ბძანდებოდეს. (შემოდის  
დედოფალი, შერმაზან და ქაინოსრო, მდებლად თავს  
უკრავენ).

## ბამოსვლა 2.

## იგინივე და ქეთევან

ქეთ. არა, ჩემო ქაინოსრო!.. მე ყველაზედ მეტი ვაღი მაძიებს  
ვიზრუნო ხალხისთვის და მაგ ვატივს არავის დაკუთ-  
მობ...

ქაინ. დედოფალა! მომიტევეთ კადნიერება, მაგრამ გკადრებთ  
და რაც გულში მაქვს მოგახსენებთ...

ქეთ. სთქვი.

ქაინ. იმედი გაქვსთ, რომ თქვენის მობძანებით შაჰი დაკმაყოფილდება?

ქეთ. (იჭით) რა კუთხრა? (რაოდენიმე მღელვარების შემდეგ)  
და... დარწმუნებული ვარ.

ქაინ. შაჰის მხრით ეშმაკობა იყოს რამე, თქვენ დაგატყუონ  
და საქართველოს მაინც ბრძოლა ვერ ასცდეს?

ქეთ. შაჰ-აბაზის სურვილი არის ჩვენ სხვა გვარ-ტომობის  
საღხს არ მივემხროთ, იმას უნდა ან ჩვენი თავისუფლებას  
დაიცვას, ან შეგვიერთოს მხოლოდ იმისთვის, რომ  
ვაკვასიის მთის ზღუდენი სპარსეთის სიმაგრესაც შეად-  
გენენ... მას სურს ჩვენის მაგარის კედლებით თავის სამე-  
ფოც დაიცვას ძლიერის მტერის შემოსევისგან... იმას  
სურს ჩვენთან ერთობა მხოლოდ იმისთვის და როდესაც  
დარწმუნდება, რომ ჩვენ ვუძარტლებთ სურვილს, უპიკუ-  
ლია დაკმაყოფილდება... სპარსებიც საღხია, იმთაც სი-  
ხარულათ არ ექნებათ უბრალოდ სისხლი დაღვარონ...

ქაინ. კოსტანტინე, დედოფალა?.. კოსტანტინე, რომელიც ებ-

ლას იმით ურდოში იმყოფება, მოისვენებს? ის არ ეცდება დამარცხებისთვის გადაგინადოსთქ..

ქეთ. კოსტანტინე საზიზღარია! იორგოს დიერთი ხებას არ მისცემს, რომ გაიმარჯვოს.

ქაინ. თქვენ რომ შაჰმა აღარ გამოგიძღოსთ, სამეფოზედ ზრუნვას ვიღას ანდობთ, დედოფალა?... ვინ შესძლებს თქვენ მაგიერობას?

ქეთ. ჩემი შვილი თეიმურაზ... მართალია ჯერ უძაწვილია, მაგრამ შერმაზანის გამოცდილება და თქვენი ერთგულება უჩვენებს გზას. (გაულება კარი და შემოდის თეიმურაზ).

### ბამოსვლა 3.

#### იგინივე და თეიმურაზ

თეიმ. (გაეჭანება და ქეთევანს ჩაკვრის გულში) დედაკ, დედაკ!

ქეთ. (მოეხვევა) შვილო, ჩემო თვალის სინათლეკო, შვილო!... რად სწუხარ, თავს რად იკლავ?

თეიმ. არ გაგიშვებ, არ მოგშორდები!.. ვის შეუძლიან ძაღად გაგვეაროს?

ქეთ. ჩვენს მოვალეობას!

თეიმ. (გაჯავრებით) მოვალეობა, მოვალეობა! წყუღიმც იყოს ისეთი მოვალეობა, რომელიც დედას შვილს აშორებს და მოსვენებას არ გვაძლევს!

ქეთ. (უაღერსებს) რისა გეშინიან შვილო?... რად სწუხარ? ჩავალ,

ვნახამ შაჰს და ისეკ მალე დაბრუნდები.

თეიმ. ჰო, დაბრუნდები?... კარგი თუ დაბრუნდი, მაგრამ რომ აღარ დაბრუნდე?... რაღამ უნდა ძაცოცხლოს, რაღამ მომასვენოს?...

შერ. დამშვიდდი, დიდებულო მეფეე ..

თეიმ. (გაწყუქუტინებას) დამშვიდდი!.. როგორ უნდა დავმშვიდდე, როდესაც გული არ მისვენებს!?!.. დედას, დედას ვამლეკ განსაცდელს მხოლოდ იმისთვის, რომ მე თითონ განსვენებით ვიმეფო!... არა შერმაზან, არ შემოდღიან მოსვენება, არ შემოდღიან თქვენი სურვილი აღვასრულო!

ქეთ. მაგას ითხოვს, შვილო, ხალხის მშვიდობიანობა, ხალხის ბედნიერება...

თეიმ. რა, ღმერთო!.. რატომ იმის ბედნიერება არ ითხოვს ამ ხელებით მეგრდი გამეფატრა, გამელო გული და მათ კეთილ-დღეობისათვის შემსხვერბლა!?!.. (დედოფალს) უფრო აღვილი იქნებოდა, ვიდრე შენი განსაცდელში მიტემა.

ქეთ. ნუ მიმწარება, შვილო, სიცოცხლეს, შენ მეფე ხარ და შენს თავს აღარ ეკუთვნი, შენ უნდა ზრუნავდე მარტო ხალხზედ, შენი ტვიკილი უნდა ჩუმდებოდეს, როდესაც ხალხის ტვიკილი გასმის.

თეიმ. ყოველთვის ხალხი, სამეფო!.. ჩემ თავს როდისღა უნდა ვეკუთვნოდე.

ქეთ. იმაზედ მეტი ბედნიერება რა იქნება, როდესაც იცი, რომ ხალხის მმართველი ხარ, იმათ ბედნიერებას უნდა სწირავდე შენს თავს, შენს მოსვენებას!.. მე მაწვევს ჩემი მოვალეობა, შვილო, და უნდა წავიდე... იმაზედ სასიამოვნო რა იქნება, როდესაც შენ ქვეყანას რომელსამე სამსახურს გაწევ.

თეიმ. (მწუხარებით) მართალი ხარ, დედაკ, მართალი და კბ  
არის ჩემი უბედურება!.. რატომ უბრალო გლეხაო, უბ-  
რალო მწუქმათ არა ვარ გახენილი?!. მაშინ მე მეჭნებო-  
და ჩემი სახლი, მეუღლებოდა ჩემი დედა, ვეკუთვნიებოდი  
ჩემს თავს!... (დაითვარამს პირზედ ხელს. შემოდის ნო-  
დარ.)

#### გამოსვლა 4.

იგინივე, ნოდარ და მერე დიდებულნი

ნოდარ. დიდებულნი მობძანდნენ.

თეიმ. ასე ჩქარა?

ქეთ. (ნოდარს) მოიწვიე. (ნოდარი გადის. თეიმურაზს) კარ-  
გია, შვილო, დამშვიდდი, საცაა შემოვლენ.

მერ. ყელა არ უნდა სედაკდეს მეთვის გულის მოძრახობას, დი-  
დებულთა მეოვე.

თეიმ. (მწარედ) როდესაც ვატს უბედურება ეჭნება მეოვეთ გახ-  
დეს, იმან უნდა დამალოს თავისი გული... პირი უცინო-  
დეს, როდესაც გული უტირის, სახე უღიმოდეს, როდეს-  
საც გული უკვნესის... მართალი ხარ შერმაზან, მართა-  
ლი! (დედოფალი დაბძანდება, თეიმურაზ მოუჯდება გვერ-  
დით; შემოდის დიდებულნი, ქალნი და კაცნი, მდაბლად  
თავს უკრავენ, დამწკრივდებიან სტენის გარშემო).

ქეთ. (წამოდგება, აგრეთვე თეიმურაზიც) დიდებულნო!... ჩვენი  
ხალხის კეთილ-დღეობა ითხოვს, რომ მე წავიდე დიდებულს  
შაჭ-ახანთან, დაკარწმუნო რომ შოგოთისა და სისხლის

ღვრის მიზეზი ჩვენ არა უფიქვანია, რომ მხოლოდ ჩვენზედ გამოლაშქრებულ კონსტანტინესაგან თავი დავიცვათ... მე არ შემიძლიან გადავცე ჩვენი ქვეყანა, არ შემიძლიან გულაღატო საწმინოებსა და თქვენს კეთილდღეობას! თუ საჭიროება მოითხოვს, ვფიცავ ჩემს შვილს, ვფიცავ თქვენს სახელს, ვფიცავ ჩემს მამულის სახელს, რომ თავს არ დავიშურებ!.. მე თქვენ მხოლოდ ერთს გთხოვთ, რომ ემსახუროთ ჩემს შვილს ერთგულად, ერთმანერში იცხოვროთ მშვიდობიანად, ტკბილად და არ დაივიწყოთ, რომ ერთობა ძალაა და ცალ-ცალკეობა კი უღონობა...

ერთი დიდებულითაგანი. დედოფალ! გუყვანდეს თავლებად ზევით ღმერთი და ქვეშ დედა-მიწა, რომ ჩვენ მეფე თეიმურაზს არ გულაღატოთ, თავი დავსდვით მაგის ერთგულებისათვის და აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობა (დანარჩენებს) ხომ ვფიცავთ, ბატონებო?

უველანი. ვფიცავთ, ვფიცავთ!

ქეთ. (მღელვარებით) მე დღესვე მივდივარ შაჰთან. თან მიყავს ჭაიხოსრო და რამდენიმე დიდებული... იმედი მაქვს საქმე ისე მოვიყვანოთ, რომ ყველას სამხიარულად დარჩეს, იმედი მაქვს ყველანი ჩქარა დავბრუნდეთ და შევერთდეთ თქვენს მხიარულებას... მაგრამ... (მღელვარება ემატება, ხალხში თანაგრძნობის მოძრაობა) თუ ბედმა მიმუხთლას, თუ სპარსებისაგან თავი ვეღარ დავაღწიე, კვადები ვინც თან მეყოლება, ისინი მაინც დავაბრუნო, თქვენი საქმეები მაინც გავაწყო... (ძირს ჩამოვა, და თავს უკრავს. საწოგადობა ზოგი სტირის, ზოგსაც ხელები დაუფარებიათ პირისახეზედ) მშვიდობით, დიდებული, დედოფალ!



მშვიდობით ქაღნო და ღძაღნო კასკთისანო, დრო მოვიდა და უნდა გაგშორდეთ!... (დაუჭერს შვილს ხელს მღელვარებით) აი თქვენი მეფე, თქვენისვე სურვილით მიწონ-ცხებულა, თქვენისვე სურვილით ამოწიეს... მომიცია თქვენთვის!... თქვენ იცით, როგორც სვინიდისიანად მოექცევიან... მოუარეთ, ემსახურეთ ერთგულად და თუ თქვენმა ბედნიერობამ მოითხოვს... (ხმაში კანკალი დაეტყობა) ინაცვალეთ, — თავს შემოიკლეთ!..

შერ. (ცრემლებ-მოწივლი) მე რაღად მაგდებთ აქა?... მიწყალაბე, დედოფალა, და მიბძანე გიანლა... ცოცხალს შენთან მიმსახურია, ნება მომეც სიკვდილითაც შენთან მოვკვდე.

დედ. არა, შერმაზან!... შენ ხალხისთვის საჭირო ხარ და უნდა დარჩე! (შემოდის ნოდარ).

ნოდ. დედოფალა, ყველაფერი მზად გახლავს და ნულარ ვიგვიანებთ.

ქეთ. მართალი ხარ, გვიანობის დრო არ არის... (თავს უმრავლეს ყველას) თუ ვისმე რამ შეგცოდეთ მომიტყუეთ.

თეიმ. დედაკ!.. (მოეხვევა).

ქეთ. თავი შეიკავე, შვილა, დროა განვშორდეთ.

თეიმ. რა, დემართო ჩემო!.. (ხალხს) ბატონებო! ნება მომეცით დედას მაგიერ მე წავიდე.

დედ. (ჭკოცნის, ხმის კანკალით) არა, შვილა, ეგ არ შეიძლება!.. (აკოცებს რამდენჯერმე) მშვიდობით. (შერმაზან თეიმურაზს მოუდგება გვერდზედ, ქეთევან ჩქარის სიარულით გაემართება კარებისკენ; შესდგება, მოიხუდავს და მღელვარებით გამოქანება თავის შვილისკენ; თითქმის ჩურჩულით) შვილა, შვილა!.. მშვიდობით, მშვიდობით!

(ერთბაშად გაბრუნდება და გადას).

თეიმ. დედაკ, დედაკ! (გაიშვეკვს იჭითკენ ხელებს, და მწუხარებით და ჭკითინით გადაესკვება შერმაყანს.)

ფარდა.

## მოკვლევა მეოთხე

### სურათი 2

(სტენა წარმოადგენს შაჰ-აბაჯის კარავს, ტანტებით, ხალიჩებით, დორებით და მუთაქებით მორთულს; კედლებზედ მძიპე, წარიანი ფარჩა აქვს ჩამოფრებული, ერთ მხარეს სამეფო ტანტია, რომელსაც აქეთ-იქით სავარცვლელი უდგას; კუნჭულებში სდგას მუშკისა და გუნდრუკის საკბეველები, კოსტანტინე ზის დაფიქრებული. მუსტაფა თავს ადგას).

### ბამოსვლა 1.

#### კოსტანტინე და მუსტაფა

მუს. ბატონო კოსტანტინე, დღეს მხიარულება გმართებსო ჭტქვენ კი დაფიქრებული ბძანდებით.

კოს. მხიარულება?... არა, ჩემო მუსტაფა, ჯერ შორს არის მხიარულება.

მუს, როგორ თუ შორს არის? წუთით-წუთს ახლოვდება უამი ჭქეთკან დედოფლის მობძანებისა, და დიდებული შაჰი კი თქვენზედ ისე მოწყალებს თვალთ არის.

კოს. მართალი ხარ, მუსტაფა, ბედმა თითქმის გამიღიძა და მხიარულებას უნდა ვგრძნობდე, მაგრამ მაგის მაგიერად

რამდენადაც ჩვენი შეუძრის წუთი ახლოვდება, იმდენად გული მოუწყენებლობასა, მჭმუნვარებასა ჰკრძნობს... მშვიდობიანობა შეკარგება...

მუს. რა მიგეზია?... ქეთევან ხომ თქვენის ხელიდგან კელარ წავა, თვითონ დიდებულმა შაჰმა აღვითქვით...

კოს. შენ არ იცნობ ქეთევანს, შენ არ იცი რა შეუძლიან იმას!.. ნახავს დიდებულს შაჰს, დაელაპარაკება ერთხელ-ორჯულ და გუჩებას სრულიად გადაუბრუნებს.

მუს. (გაცინებით) ეე, ბატონო კოსტანტინე! თქვენ ისე ბძანებთ თითქმის არ იცნობდეთ დიდებულს შაჰს; განა ვისმე ძალუძს იმათ დიდებულებას აზრი შეუცვალონ?

კოს. დიერთმა ბძანოს შენი სიტყვები აღსრულდეს. მე კი გული სულ სხვას მეუბნება... ქეთევან ხებით არ დაწყებულდება და ძალით კი ვერავინ დაიმორჩილებს.

მუს. დამიჯერეთ, ბატონო კოსტანტინე, ძალა არ დასდგომია თორემ ყველაფერს აღსრულებდა. «გაჭირება მიხვენი, გაქცევას განკენებო» ანდაზა განა ტყუილად ამბობს.

კოს. (ლხვრით) იქნება შენ მართალი იყო და მე კი გონება მერეოდეს... ან რა საკვირველია, რომ ასეც იყოს?... მაგრამ უნდა გითხრა, ეს უკანასკნელი ცდაა... გესმის, მუსტაფა, უკანასკნელი; დავდუმიდი, დავილაღე, ბრძოლა აღარ შემიძლიან და გეფიცები იმას, რაც კი სიწმინდით მიმაჩნია, გეფიცები ქეთევანის სახელს (უჩვენებს ხანჯალ-ზედ) ამით მოვიხზობ სიცოცხლეს, თუ იმედი ეხლაც გამიცუდდა.

მუსტ. (შეშინებით) რასა ბძანებ, ბატონო კოსტანტინე, რასა?..

კოს. (აღელვებით) მოკვლავ ქეთევანსაც, შაჰსაც, ჩემ თავსაც. (აღშოფოთებით) არ ვიცი მე თითონაც რასა ვიქ, რას ჩა-

კიდევ, მაგრამ არათუკნ დავიშორებ რომ ყველას გადა-  
კუხადო ჩემის ამდენის წვალებისთვის, ამდენის ტანჯვის-  
თვის. ჯაკრი შეგუბდა, ნაღველა გასივდა, ცოტა-ღა უნდა  
და გულისც გასკდება.

მუს. საკვირველი ბძანდებით, ბატონო კოსტანტინე! ნუ თუ ქე-  
თეკანისთანა აღარავინ იზოება და დაბადებულა?

კოს. (მწუხარებით) კიდევ ეგ არის, რომ არავინ! (შემოდის  
კარის-გაცი).

## ბაგოსვლა 2.

ივინივე, კარის-გაცი, მერე შაჭი და ამაღლა

კარის-გაცი. შაჭი მობძანდება. (კოსტანტინე და მუსტაფა  
მიეგებებიან კარებთან. შემოდის შაჭი თავის ამაღლით. კოს-  
ტანტინე და მუსტაფა მდებლად თავს დაუკრავენ, შაჭი ავა-  
ტასტზე და დაბძანდება; აქეთ-იქით მცველები მოუდგებიან.  
დანარჩენი დიდებულნი შაჭის პირდაპირ მოგროვდებიან).

შაჭი. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) მუსტაფა, თითქო ქეთევან დე-  
დოფალი დღეს უნდა მოსულიყო, რად დაიგვიანეს?

მუს. (მდებლად თავს დაუკრავს) გიანლებიან, დიდებულო შაჭო,  
დღეს უეჭველად გიანლებიან.

შაჭი. (შეტევით) მიახლებიან, მიახლებიან!... მაშ აქამდისინ, სად  
არიან, თუ მიახლებიან?.. შენის სიტყვით აქამდის უნდა  
მოსულიყვნენ... მე მინდა რომ ეხლავე, ამ წუთშივე აქ  
გაჩინენ!

მუს. (მდებლად თავის დაკრებით) კვლავად გკადრებთ და მოგახ-

სენებთ, აღაზანი დიდებულყო და გამოსულა დაჭკვიანებოდათ.

შაჰი. (ახჩარებით) ხომ არა დაშაკებიან-რა?

მუს. არა, დიდებულა შაჰ... მართალია გამოსულაში ცოტა გაჭაჭირებოდათ, მაგრამ კაცები მივასპეკლე, და ეხლა უკვე სამშვიდობოს არიან და ამ ცოტა ხანში აქ გაჩნდებიან.

შაჰი. (მხიარულად) მას გამომარჩიე საუკეთესო მსუდარნი და დედოფლის მისაკებებლად წაიყვანე... მე მსურს დედოფალს ყველამ ღირსეული პატივი აღმოუჩინოთ... ქეთევან დედოფალი ძვირფასი სტუმარია, ყველამ უნდა იცოდეს, ჩემს გარეთ აქეთ იმანედ უფროსი არავინ არის!..

მუს, აღსრულდეს შენი ნება, დიდებულა შაჰ.

შაჰი. იცოდეთ ვინც ჩემს ზრძანებას გადავა, ვინც წარბ-შეხროთაც არის დედოფალს უკმაყოფილებას აგრძნობინებს, იმას თავისის თვალების მეტი აღარა იხსნის-რა. (ყველანი თავს უკვრენ) გესმისთ!

მუსტ. (მოწიწებით) გესმის, მეუფეო ჩემო.

შაჰი. (მუსტაქას) მას გასწი და გაფრთხილდი, რომ ჩემი გულს წყრომა შენზედ არ მოიქცეს. (მუსტაქა მდაბლად თავს დაუკრავს და გადის. დანარჩენებს) თქვენც ცოტა ხანს თავი დამანებეთ, მსურს კონსტანტინესთან მარტო დავრჩე. (ყველანი გადიან).

### გამოსულა ვ.

#### შაჰი და კონსტანტინე

შაჰი. (ცოტა თვჩრს შემდეგ) შენ არჩევ, რომ დედოფალი პატივით მივიღოთ?

კოს. დიაღ, დიდებულე შაჭო! დედოფალთან აღერსით თუ გახდებით რაბი, თორემ ძალადობა ამარ შრომა იქნება.

შაჭი. ამასაც ამტკიცებ, რომ გახუთის დამორჩილებს იმის მომხრობაზედ არის დამოკიდებული?

კოს. ქეთევან დედოფალი გახუთის გულია, დიდებულე შაჭო! საითკენაც ის გაიწივს, ხალხსაც იმ მხარეს მიიყვლებს. ქეთევანს და მარტო ქეთევანს შეუძლიან მათი დამორჩილება, მათი მომხრობა.

შაჭი. მე აღვითქვი: ქეთევანს შეგერთამ მეთქი, აღვითქვი გახუთის მეფობა, აღვითქვი, ჯარით, ფულით და ყველაფრით, რაც კი ხელთა მქვს, შემწეობას მოგცემ, მხარს დაგიჭერ მეთქი... იცოდე კოსტანტინე, რომ მე, შაჭ-აბაზ, გაძლევ სიტყვას და კიდევ აღვისრულებ... მხოლოდ... (დაცქერდება) იცოდე სამსახურისთვის სამსახურს, მეგობრობისთვის მეგობრობას ვითხოვ... მითხარ გადაწყვეტით.. შეგიძლიან მეგობრობა?

კოს. დიდებულე შაჭო! ვინ გამხდის მაგ ბედნიერების ღირსად? თქვენის წყალობისთვის მე მარტო სამსახური შემიძლიან, უბრძანეთ თქვენს ქუშევრდამს, თქვენს ფერხთა მტკერს, რითი შეუძლიან სამსახური და ნახადით, დიდებულე შაჭო, სადამდის მიუღწევია ჩემს ერთგულებას.

შაჭი. (დააკვირდება) გახსოვდეს, კოსტანტინე, რაც აღვითქვი: მე ვითხოვ მეგობრობისთვის მეგობრობას და სამსახურისთვის სამსახურს.

კოს. დღეის შემდეგ ჩემი სიცოცხლე, ჩემი სისხლი, ყოველი წვეთი ჩემის სისხლისა თქვენ გეკუთვნებათ, დიდებულე შაჭო!... აჭა! მოძირთმევი ჩემი თავი, იხმარე რადაც გომოგადგებათ.

- შაჰი. კარგი კოსტანტინე! მჯერა, რომ ეკ სიტყუები ჰერ-მონულობით არ არიან წარმოთქმულნი.
- კოს. ირწმუნეთ, შაჰო! თაუდებად ძალაღი ღმერთი გუყანდესთ.
- შაჰი. კმარა მაგაზედ. ესლა მე მინდა შეგატყობინო, რა მიზეზიდაც მინდა საქართველოს მომხრობა, მასთან დაახლოება... არა, ჩემო კოსტანტინე, ჩემს სამეფოს კარგა ფართოდ უჭირავს ადგილი... არც ხალხითა ვარ ნაკლებად, არც სიმდიდრე მეჭირება... მე მინდა საქართველოსთან ერთობა და მეგობრობა მით, რომ ეს ედემი ბუნებრივი სიმაგრეა, სიმაგრე, რომელსაც ჩემის სამეფოს თვით-მყოფლობის დაცვა შეუძლიან... ჩემთვის საქართველოს ზღუდენი არიან საჭირონი.
- კოს. (გატაცებით) დიდებულო შაჰო, ვფიცავ თქვენ სახელს, რომ ერთგული თანამშრომელი გეყოლებით. (შემოდის კარის-კატი).

#### ბამოსვლა 4.

იგინივე, კარის-კაცი და ამაღო

- კარის-კაცი. (სახქაროდ) დიდებულო შაჰო, დედოფალი ქეთევან მოზმანდა!
- შაჰი. (გახარებით) ძლივს!.. უთხარ დიდებულნი შემოვიდენ (კარის-კატი გადის).
- კოს. (იქით აღელვებული) ღმერთო, ძალა მომეც თავი შევიმაგრეო.
- შაჰი. (კოსტანტინეს) მომილოცავს (მოდინ დიდებულნი და

თავ-თავის ადგილზე დგებიან. ერთს მოხუცებულს უჭირავს ვერცხლის სინით ძვირფასის თვლებით მოჭედული გვირგვინი, მეორესაც ვერცხლის ტახტით თვალმარგალიტი) კოსტანტინე, თქვენ ჩემი მარჯვენა მხარი უნდა დაიჭიროთ, რადგანაც დედოფალი შემოვა, ტახტიდამ სამს სათუხურს ჩამოხვიდე და იქიდან მისცეთ სალამი (მოისმის საზანდრების ხმა) აი მოდიან (მაჭი ავა ტახტზედ და მობრუნდება. კოსტანტინეს მოისმის მარჯვნივ, ზანგნი და ხოჯანი ტახტის უკან ჩამწვირებებიან, ტახტს აქეთ-იქით ხმალი-ამოწვდილი მცველები დაუდგებიან. შემოდის ქეთევან, დიდებულნი წინ მიეგებიებიან და მღაბლად თავს უკვრენ; კოსტანტინე ჩამოდის სამ სათუხურზედ და იქიდან აძლევს სალამს. ქეთევან შესდგება კარებთან და უკვლავ მხარეს სალამს უხდის.)

## გამოსვლა 5.

ივინივე, ქეთევან და ამალია

შაჰი. ((მღელვარებით წამოდგება და ისეკ დაჯდება) დედოფალი. გონებ გაკვირდებათ, რომ პირველი აქ მე ვარ, და პირველი სალამიც მე მეკუთვნის.

ქეთ. (დამშვიდებით) მე ქართული ვარ, დიდებულა შაჰო! ზრდილობას ზრდილობით ვიხდი, სალამისთვის სალამს ვაძლევ.

შაჰი. (აღშოკოებით) მერე... უზრდილობა რა ნახე?



- ქეთ. მე სტუმარი ვარ, დიდებულო შაჰო...
- შაჰი. მაგითი რა გინდა სთქვას?
- ქეთ. ჩვენში სტუმარს უპირველესი ადგილი უჭირავს.
- შაჰი. (წამოდგება) მასში პირველი სალაში ჩემგან გეკუთვნის. (მდაბლად თავს უკერპენ ერთმანერთს; შაჰი ჩამოვს ტახტიდან მიახლოვდება ქეთევანს, მოხუცებულს გამლართმევს კერცხლის ტახტს თვალ-მარგალიტით და თავზედ გადააყრის) სახელ-ქებულო! ღირსი ხარ იმ ხმისა, რა სახელიც გავარდნილი გაქვს, ღირსეულს; ღირსეული მიეწეოს. (აიღებს გვირგვინს) ქებულო, მიიღე ჩემგან მცირედი სახსოვარი.
- ქეთ. დიდებულო შაჰო, ღირსი არა ვარ თქვენის წყალობისა (თავს დაუკრავს მდაბლად).
- შაჰი. (ხელს მოჰკიდებს, აიყვანს ტახტზედ და დასვამს) დედოფალო, მერწმუნე, რომ შენ მტრებთან არა ხარ, გვიგულე შენს მეგობრად.
- კოს. (დათანტკით, იქით) თვალების არა მჯერა.
- ქეთ. (შაჰს) დარწმუნებული ვარ თქვენ გულ-კეთილგონად, დიდებულო შაჰო.
- კოს. (იქით) შაჰისგან ამ გვარი საქციელი, ეს ლაპარაკი.... რაღაცა მღელვარება...
- შაჰი. (ქეთევანს) განისვენე, კეკლუცთა მეფავ!.. გმადლობ, რომ უნარი არ ჰყავ ჩემი თხოვნა, მეწვიე. იმედი მაქვს სახანურად არ დაგჩხებათ.
- ქეთ. მე მაგაზედ დარწმუნებული ვიყავ, დიდებულო შაჰო.
- შაჰი. კეკლუცო, რითი შემძღობა დაგიხვდეს? რითი შემძღობა გადაგიხადო პატრივის-ცემას?
- ქეთევან. დიდებულო შაჰო, მე განლაპარ თქვენგან პატრიფ-ცე-

მული, მე უნდა დაკავდეს.

შაჰი. მითხარი, დედოფალა, რა გსურს, რას ითხოვ ჩემგან, რომ აღვირეულა.

ქეთ. მე მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს, რომ ნება მომცეთ ჩემს დაბრუნდეს ჩემს შვილთან... მე ჩემი თავი შევუთქვი ღვთის დიდებას და ქვეყნის ფუფუნებას არ იზიდავს ჩემს გულს. ჩემი გული ითხოვს ღმრთობას და მარტო ღმრთობას!.. ამისთვის მამატივე, დიდებული შაჰა, რომ მოსკლის უმაღლესი პირველივე თხოვნა ჩემს დათხოვნაზედ განხილავს.

შაჰი. არა, ქეთევან! მე აგრე გაშვებას არ შემიძლიან, თქვენ უნდა წამოხდნდეთ სპარსეთში და იქადაგან ღირსეულის პატივით გამოგისტუმროთ.

ქეთ. შაჰა! ჩემი შვილი მცირე წლოვანი არის, იმას ჯერ კიდევ დედის მზრუნველობა ეჭირება; ჭეშმარიტად უმეტეს წყალობას ვერ მიზამთ, როგორც შინ დაბრუნების ნება მომცეთ.

შაჰი. მე კვ არ შემიძლიან, არ იქნება... აგრე ცარიელი გაგისტუმრო? ქვეყანა, სადა რას იტყვის?

ქეთ. თუ თავი ტყვედ არ უნდა ჩავსთვალა, ნება მიბოძეთ დაბრუნდეს.

შაჰი. კვ არ შეიძლება!

ქეთ. მამ ტყვე ვყოფილვარ!... ძალა თქვენს ხელთ არის, მე რაღასა მკითხავთ?

შაჰი. დამიჯერე, ქეთევან, აქ ძალის საქმე არ არის... მე მსურს შენი ღირსეულად დახუდრას და კიდევ დაგიხუდები!... მაგრამ, ეს რას ვლავარავთ?... მიბძნდით ხალკათს, განისვენეთ, დამშვიდდით, მაგარად ღაპარაკს კიდევ მო-

კასწრობთ... (კარის-კაცს) უჩვენეთ დედოფალს თავიანთი  
კაკები, მიუჩინეთ მხლებელნი და ყოველი მკათი სურვი-  
ლი აღსრულებულიყოს!

ქეთ. (წამოდგება, მდაბლად თავს უკრავს) მამ! ეგ არის გადაწ-  
ყვეტილი სიტყვა?

შაჰი. (ღიმილით) დაისვენეთ დედოფალა, დაისვენეთ!.. მოსა-  
ლახარაკებლად დრო ჯერ ბევრი გვრჩება. (ქეთევანი მდაბ-  
ლად თავს უკრავს) ნახვამდის დედოფალა. (ქეთევანი გა-  
დის, რამდენიმე კაცი თან გაჰყვება. შაჰი კარებამდის მია-  
ცილებს და ისეკ მობრუნდება; დანარჩენებს) თავი დამანუ-  
ბეთ, მარტო მინდა დავრჩე. (ყველანი გადიან გარდა კოს-  
ტანტინესი, რომელიც გაფითრებული დგას; შაჰი მოიხუ-  
დავს და დაინახავს კოსტანტინეს). შენ მგონი ვერ გაი-  
გონე ჩემი ბძანება?

კოს. დიდებული შაჰა...

შაჰი. (გააწყვეტინებს მკაცრად) მე მინდა მარტო დავრჩე.

კოს. დიდებული შაჰა, ვგონებ...

შაჰი. (წარბებს შეჭმუნული) ნუ თუ კიდევ გაგიძეორო?

კოს. (გაბრუნდება, მივა კარებთან, შესდგება, იქით) ესლა გა-  
ვალ, მაგრამ ღალატისთვის. მიფთხილდი (გავა საჩქაროდ).

## გამოსვლა 6.

### შ ა ჰ ი

შაჰი. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) მართლაც ღამაში ყოფილას ქე-  
თევან... (ოცნებით) წავიყვან სპარსეთში, მივაღებინებ ჩვენს  
სარწმუნოებას და დავამშვენებ ჩემს პალატს! (ფარდა.)

(დასასული შემდეგ წიგნში.)

### სენიას უიჰრები

მიწა ვარ ნიადავ მენა, ბეჩავი, გლეხად შობილი,  
 მიწას ხედი დედ-მამა, ხედი და, ხედი ძმობილი...  
 ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა, ე შრომა მაინც ფუტია,—  
 ვერ გადავიჩინე წლის სარჩო, ვერ გამოვიძლე კუჭია...  
 მიწის ვატრონიც მე მწიწკნის, ჯინჭკელაც ხედი მტერია,  
 მოხელე, მღვდელი და ერი—უკელა მე შამომცქერია...  
 ნეტავი გამაგებინა: რადის-ღა დამასვენებენ?  
 ვერ შავესწრები მგონია, მანამ არ წამასვენებენ!...

თ. რათ. შრისთავი.



წესდებოდა თბილისის სასახლის (უკანა-მარჯვენა) კუთხის  
 მიწის ნაკვეთის მიხედვით დაწესებული სასახლის მიწის  
 (დედაწილი) მფლობელის მიხედვით დაწესებული  
 სასახლის მიწის ნაკვეთის (უკანა-მარჯვენა) კუთხის

წერილები

ლორენსო ბენონისა.

(შემდეგი \*).

თ ა ვ ი XVI

უნივერსიტეტი. — ოცნებით შექმნილს ქვეყანას სინამდვილე არღვევს.

უკვლამ იცის, რომ 1821 წ. სარდინიაში არეულობა მოხდა. ამ სახელმწიფოს განონად ეხლა ესპანიის კონსტიტუცია გახდა, რომელიც ჯარმა და ხალხმა ტურინში, გენუაში და ალექსანდრიაში გამოაცხადა; მაგრამ თავისუფლებას დიდ-ხანს არ იყო გამარჯვებული. ავსტრია ჩუქულებისამებრ გაერია საქმეში და იმისმა გამარჯვებამ ისევ ძველი წესები აღადგინა.

გამარჯვებულმა მმართველობამ იმავე წამს დაუწყო ღებნა იმ პირობით, რომელთაც არეულობაში მონაწილეობა მიიღეს, ზოგს მათგანს ციხეებში აღზობდენ და ზოგსაც აღწობდენ... მაგრამ ბევრი მათგანი ვერ ჩაიგდეს ხელში, რადგანაც უცხო-ქვეყნებში გაქცევა მოასწრეს. უფრო მოძეტებულად ისინი და-იტანჯენ, რომელთაც მცირე მონაწილეობა მიუღოთ არეულო-

---

\*) «ივერია» № 4, 1883 წ.

ბაში და არ გაქცეულიყვნენ სამხლვარ-გარედ იმ იმედით, რომ კაროლი მათ ახატოვებდა.

უნივერსიტეტის უმაწვილ-გაცობას პირველი ადგილი ეჭირა ამ არეულობაში. ტურინში გამარჯვება სტუდენტებისა და ერთი გუნდი სალდათების ბრალი ყოფილიყო. როდესაც საქმე სხვა ნაირად წავიდა, სტუდენტებსაც ისე მოექცნენ, როგორც სხვა მოქალაქეებს: რომელი სტუდენტებიც სამხლვარს-გარედ არ გაიქცნენ სასტიკად დაისჯნენ; მაგრამ ეს საკმაოდ არ იყო გაბრანსებულის მთავრობისათვის. ყოველსავე არეულობას სტუდენტობას აბრალებდნენ და ამისათვის დაკეტეს ტურინისა და გენუის უნივერსიტეტები.

ამ ნაირი მდგომარეობა საუკუნოდ არ გაგრძელდებოდა; ძალიან ბევრი ოჯახობა უკმაყოფილებას აცხადებდა, რომ მათ შვილებს უკრავდნენ განათლების გზას. ამის გამოისად მმართველობამ დანიშნა კამისია, რომელსაც განათლების შესახებ ცვლილებები უნდა მოეხდინა. ეს პირველი ნაბიჯი იყო უნივერსიტეტების აღდგინებისა, მაგრამ საუბედუროდ კამისიაში ისეთი კაცები მოჭყვინდნენ, რომელნიც ხალხსა სძულდნენ, რადგანაც იმათგან კეთილს არას გამოელოდნენ. სწორედ ასეც მოხდა: ორის დაკეტილის უნივერსიტეტის შესახებ კამისიამ გადასწვიტა: პირველად შეემცირებინათ სტუდენტების რიცხვი; მერედ შეევიწროებინათ მათი ცხოვრება.

პირველის განზრახვის შესასრულებლად კამისიამ სტუდენტები ორად გაჭყო: პირველს ისინი ეკუთვნოდნენ, რომლების მშობლებსაც მამულები ჰქონდათ; მერეს ისინი, რომლების მშობლებსაც მამული არა ჰქონდათ. ამასთანავე იმათ დაადგი-

ნეს სტუდენტების ორნაირად გამოცდა: ერთი პირველი ხარისხის სტუდენტებისათვის, მეორე—მეორე ხარისხის სტუდენტებისათვის. მეორე ხარისხის სტუდენტების გამოცდა ისე გააძნეულეს, რომ თვით ძალიან ნიჭიერებსაც კი გაუჭირდებოდათ უნივერსიტეტში შესვლა. ასე იმისთვის გააძნეულეს, რომ მომეტებული მსურველისთვის დაესმეთ განათლების გზა.

მეორე საგნის შესასრულებლად—სტუდენტების შესავიწროებლად—კამისიამ რაღაც-რაღაცა ბავშური დამამცირებელი წესები შემოიღო; იმან სტუდენტობა რამდენიმე ბოროტის კაცების ხელში ჩაყარა. პირველს შემთხვევაში კამისიამ შეისრულათავის გულის წადილი, მეორე შემთხვევაში კი ბევრი კერათუკრი გააჩივს. როგორც კი გამოაცხადეს უნივერსიტეტების გაღება, მაშინვე დიდ-ძალი ეძაწვილ-კაცობა მიაწყდა შესასვლელად. წარსულს წლებში აწადეს ამოდენა მსურველები არა ყოფილან. ეს ორის მიზეზის გამო მოხდა: პირველად იმისთვის, რომ იმ ხანებში, როდესაც უნივერსიტეტები დაკეტული იყო, ბევრი ეძაწვილ-კაცობა მომზადდა ძალიან სწავლის მისაღებად, მეორედ იმისთვის, რომ რაკი გაიგეს, რომ უნივერსიტეტში შესასვლელად მამულები იყო საჭირო, ყველა მშობლებმა იყიდეს მამულები, რომ მით მიეცათ თავის შვილებისათვის პირველის ხარისხის სტუდენტების რიცხვში ჩასაწერი საშუალება. ამ გვარად კამისიის ყოველმხვე მტრადინებამ ამოდ ჩაიარა, მხოლოდ დაისაჯხენ ისინი, რომელთაც მამულების ყიდვის შეძლება არა ჰქონდათ.

სტუდენტობა ეწერებოდა საეხში, რომლებიც ეწყო უნივერსიტეტის ბრწყინვალე სასახლეში, რომელიც ბაღის ქუჩაზედ იყო. მე და ალექსანდრე მაშინვე მივედით უნივერსიტეტში, რომლის კარებთანაც ბევრი სხვა ეძაწვილ-კაცობაც იცდიდა. ბო-

ლეს წალაში შეგვიყვანეს, სადაც იჯდა სეკრეტარი, რომელიც  
 ორმოც-და-ხუთის წლის იქნებოდა. სახე დაღვრემილი და ყუ-  
 ვილისგან დამახინჯებული ჰქონდა და საკმაოდ ჩასუქებულიც  
 იყო. იმან დაგვიღო წინ სია, რომელშიაც ვწერდით ჩვენს სა-  
 ხელსა და გვარს და ქაკულტეტს, შემდეგ მოგვასთავა დოკუ-  
 მენტები, რომლებიც უნდა წავკვდივინა, სინამ ლექციების სძე-  
 ნას დავიწყებდით. ისე ბევრს დოკუმენტებს თხოულობდენ,  
 რომ იმ დოკუმენტების სახელები გადმოვწერეთ, რომ არ დაგ-  
 ვიწყებოდა. ეხლავე წარმოგიდგინო ამ დოკუმენტების სიას,  
 თუმიცა ბევრის სახელები აღარ მაგონდება. აი რა დოკუმენტებ-  
 სს გვთხოვდენ:

- 1) მოწმობას დაბადებისა და ნათლობისა;
- 2) რომ ორი წლის განმავლობაში ვისმენდი თვითნა-  
 თუის კურსს და ეგზამენიც დავიჭირე;
- 3) რომ ყვავილს ნახადი ვიყავი;
- 4) ყოფა-ქცევისა, რომელიც ჩვენს ძველეს უნდა მოეცა;
- 5) რომ მე ყოველ უქმე დღეს ეკლესიაში დავიარებოდი;
- 6) რომ გავლილის ექვსის თვის განმავლობაში ყოველს  
 თვეს აღსარებას ვაძებოდი.
- 7) რომ დიდ-მარხვის უკახასკენელს გვირას აღსარება ვსთქვი  
 და ვეზიარე.
- 8) რომ ჩემს მშობლებს საკმაოდ აქვსთ მამულები, ასე  
 რომ შეუძლიანთ თავით შეიღებონ მისცენ წესდებულებისაგან და-  
 დებული თუელი, — და ბოლოს:

9) პოლიციის მოწმობა მარჯედ, რომ მე არავითარი მო-  
 ნაწილეობა არ მიმიღია 1821 წლის არეულობაში.

იმ აზრმა, რომ მე 1821 წლის პოლიტიკურს მოძ-  
 რანობაში მონაწილეობა არ მიმიღია, რომ დესაც მე მაშინ 12



წლისა ვიყავი, ძალიან გამაკვირვავ და სიცილით შენიშვნა მიკუ-  
 რი ამის შესახებ, რისგამორც სამმა ჩინოვნიკმა, რომლებიც თავ-  
 ჩაღუნულნი სწერდენ, აიღეს თავები და გაკვირვებით შემომხუ-  
 დეს. თვითონ სუკრეტარმაც გაჯავრებით მითხრა, რომ წესები  
 იწერება არა იმისთვის, რომ მათი ღირსება თქვენ გაარჩიოთ,  
 არამედ იმისთვის რომ აღასრულოთ. მე ძალიან გამაკვირვავ  
 ამისთანა კილოთი ლაპარაკმა. იგი ისე შელახვარებულა, თით-  
 ქოს უფროსი უჯავრდება თავის ქვეშევრდომს რამე დანაშაულო-  
 სათვისა.

მაგრამ სუკრეტარი არც სასტიკი კანცია იყო და არც ბე-  
 რული; ის, როგორც ოჯახობის პატრონი, უნდა ასე მოქ-  
 ტეულოყო, რომ ალაგა არ დაეკარგა. მე ძალე მივხვდი, რომ  
 ასე ქცევა უკუაღას წესათა ჰქონდა. კამისიის წევრებიდამ დაწყო-  
 ბილი შევიცარამდის—უკუაღანი ასე იქცეოდენ: ჩვენთვის იმათ  
 ისე უნდა ეცქირათ, როგორც ბაღებისთვის, რომლების შე-  
 ვიწროებაც უკუაღთვის შექმალთ. «სტუდენტობას თავი მაგ-  
 რა უნდა დაუჭიროთ»—ასეთი იყო მთავრობის აზრი. ასეც  
 იქცეოდენ უკუაღანი, ხუთი პრეფესორის გარდა, რომლებიც  
 მთავრობას არ მოსწონდა, რადგან იგინი, მთავრობის აზრით,  
 ცუდს მაგალითს აძლევდენ სტუდენტებს და არ ემორჩილებო-  
 დენ საზოგადო განათლების წესდებულებას.

ერთმა ღმერთმა იცის, რამდენი წვალება ზე გულის-ხეთქს  
 გამკვირვავ, სინამ ხსენებულს მოწმობებს ავიღებდი, განსაკუთ-  
 რებით მუხუთე და მეექვსე ნომრების მოწმობებს. რასაკვირვე-  
 ლია, რომ ჩვენი ძველი წირვის დროს არ ამოვიოთხავდა  
 ხოლო სიას—ვინ დადიოდა კვლესიაში და ვინ არა. იმან ჩ.მ.  
 ცარიელს სიტყვას დაუჯერა; ჩემმა მოძღვარმაც აგრეს  
 შემქმალ მეთქვა იმათთვის: «არა, უკუაღთვის კვლეს

დაკდილი ძეთი; რომ ყოველს თვეს აღსარებას არ კამბობ-  
დი ძეთი, რომ ამების გულისთვის უნივერსიტეტიდამ კამო-  
კრიცხეთ. ესრედ მე დაკითრგუნე სვინდისი და ყველანი მო-  
კატუევი, რომ მესუთე და მექესე ნომრის მოწმობები მიძელა.  
როცა ეს მოწმობები მამცეს, ასე მეგონა მომიზარავს ძეთი.

მე ყველა ეს მოწმობები სეკრეტარს წავუღე, მაგრამ ჩემი  
დავი-დარება ამით არ გათავდა. იმან გამომიცხადა, რომ უნი-  
ვერსიტეტის მთავრობა თხზულაბსო, რომ მოწმობები შემოწ-  
მებულ იყვნენ არქილის კანცელარისაგანაო. მე წავუღე ამ კან-  
ცელარიაში და იქ ერთმა ჩინოვნიკმა, რომელიც ბაყაყას ჰგავ-  
და, ამისრულა თხზვანა, მხოლოდ თითო მოწმობის შემოწმე-  
ბაში თვრამეტ-თვრამეტი კაპეიკი გამოძარტვა. ეს შემოწმება  
კგონებ იმისთვის იყო მოგონილი, რომ ხარჯი გაბეკრებინათ.  
ხოლო ეს შემოწმებული მოწმობები წავიღე და მიუტანე სეკ-  
რეტარს, რომელმაც მითხრა, რომ ყველა ეს მოწმობები უნდა  
წარმედგინა იმ თვეში დანიშნულის კამისარის მერჯინისთვის.  
თუ ეს მერჯინიც შეამოწმებდა ჩემს მოწმობებს, მხოლოდ მა-  
შინ მიმიღებდენ უნივერსიტეტში.

მერჯინი გავლენიანი წევრი იყო ესრედ-წოდებულის პრო-  
ვინციალურის განათლების კომისიისა, რომელსაც ექვემდებარე-  
ბოდა გენუის უნივერსიტეტი. ამ კომისიის წევრებს თითო  
თვეს ჩიგ-ჩიგით უნდა ეწარმოებინათ უნივერსიტეტის საჭმეუ-  
ბი; მაგრამ რაღაც მიზეზებისა გამო, იმ წელიწადების განმავ-  
ლობაში, როდესაც მე უნივერსიტეტში ვიყავი, მორიგე წევრად  
ყოველთვის მერჯინი იყო სოფიე. ამ შემთხვევამ შემაძლებინა  
კარგად შემესწავლა ამ კაცის ხასიათი. ძალიან დასაჯერებელია,  
რომ მერჯინის ამხანაგები კარგად გრძნობდენ იმის უპირატე-  
სობას შეგირდების წვალებასში, და ამისთვის უთმობდენ სოფიე

მას თანამდებობას, რომელსაც იგი გულ-მოდგინედ ასრულებდა.

მეც ალტრადი კანონისამებრ ვიქცეოდით. ისიც ჩემსავით ასრულებდა ყველა მოთხოვნილებას და ძალიან უხაროდა, რომ იმას სკოლიდამ გამოარიცხვა. დამბრკოლებელ მიზეზად არ ჩაუთვალეს. რვა საათი იყო, როდესაც მე მერლინის სახლის წარი ჩამოვრეკე. მწკანე მათდით გაკრული კარები გაიღო და გამოჩნდა ერთი ჩამომხმარი მოსამსახურე.

«ბატონი მერლინი?» — «სუ!» მომიგო მოსამსახურემ ჩუმი ხმით: „ხმა-მაღლა ნუ ლაპარაკობ; თქვენ უამისოდან წარი ძალიან დარეკეთ.“ მე ჯერ მეგონა, რომ მერლინის სიღამლე თუ მოსვლია მეთქი; მაგრამ შემდეგ გავიგე, რომ ის ჯერ ლოგინიდანაც არ ამდგარიყო. მერლინი ძალიან აფასებდა სადილს უკან დასვენებას; სადილს უკან იგი ყოველთვის იძინებდა და რვა საათზედ ადრე არა დგებოდა, — რის შემდეგაც მოთხოვნებს იღებდა. ჩვენ შეგვიყვანეს წალაში, რომლის ისტაკიც ხალიჩებით დაფენილი იყო. რადგანაც გენუში დიდი სიტყები იცის, ამისთვის იქ ხალიჩებს არა ხმარობენ. ჩვენ ხალიჩაზე სიარული არაფრად გვეტანია, რადგანაც აჩრდილებით ჩუმი დავიტოვებოდით. ამ გარემოებამ და მოსამსახურის შეწუხებამ ჩემზედ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე ცოტათი აკვანკალდი. ასე მეგონა, რომ ჩემ წინ ეს-ეს არის საპრობილის კარები გაიღება მეთქი.

ალტრადიც გაუვითლებული იყო. ჩვენ დავსხედით და ერთმანეთს გაჩუბებულნი შევცქეროდით. ცოტა ხნის უკან უფრო ბევრმა უნივერსიტეტში შესულის მსურველებმა მოიყარეს თავი და ყველანი ჩვენსავით შემკრთალები იყვნენ. ერთი საათის შემდეგ გაიღო სხვა ოთახის კარები და ხმაურობა მოისმა, მე დამიძახეს და შევედი.

მერლინი იჯდა სტოლზედ და რაღაც ქალაქებს კითხულობდა. იმის მარცხნივ სეკრეტარი იდგა, რომელიც უუარაღებს ადევნებდა იმის კითხვას და ზოგიერთა შენიშვნებსაც აძლევდა. მერლინი სამოც-და-ათის წლის მოხუცი იყო; აღარც ერთი კბილი აღარა ჰქონდა; იმას გრძელი ნიკაპი და ცხვირი ჰქონდა. თავიც მოსტიტკლებოდა, მხოლოდ აქა-იქ რამდენიმე გინგლი უჩანდა. შეხედვის უმაღლე შენიშნავდით, რომ თმები და ბაკენ-ბარდები შეღებილი ჰქონდა, თავით-თუხამდის ჭანული ეცვა. თავზე ხაკრდის პატარა ქუდი ეხურა. მერლინის მწყემსური ტანისამოსი, შეღებილი თმები და წვერი ამტკიცებდენ, რომ იმას ჰქონდა სურვილი ხალხს უმაწვილ-კაცად სჩვენებოდა.

მე მეგონა, რომ ცივად მიმიღებდენ; მაგრამ ამაში მოგტყუვდი. მერლინი ისე საჩქაროდ წამოდგა და მამეგება, რომ კიდევ წაიბოძოდა. მე ხელი მივაშველე დასაჭერად. „ნუ სწუხდები საყვარელო უმაწვილო. მე ჯერ მაგრათა ვარ, მაღლობა უთვალს.“ ეს მითხრა და ისეთ ნაირად დამაცქერდა, რომ აწერა არ შემიძლიან, თანაც იღიმებოდა. „ამა-შენი რეგორ-და არის?—ერთი საუკეთესო ჩემი მეგობართაგანი! (მერლინიმ ქუდი მოიხადა და, სინამ ისეკ დაიხურავდა, სულ ბოდიშს იხდიდა), თმა ჩამოდის (დიდი ხანია ჩამოსლავდა კიდევ), ხა, ხა!“ და მან კვალად გაიციხა. მე სხვის სიტყვით კარგად ვიცნობდი ჩემს მოსაუბრეს, ამისათვისაც ძალიან მაშინებდა იმის მხიარული ლაპარაკი.

დაიწყო ჩემი ქალაქების გასინჯვა, მე მერლინის პირდაპირ ვიჯექი და რამდენჯერმე შევნიშნე, რომ მან ბევრჯელ მიიტანა შუბლთან ხელი, რომ დაეთარა თვალები სინათლისაგან. მან ძალე ამიხსნა თავისი ამ ნაირი მოქმედება, რამდენჯერმე ბოდიში მოიხადა და მოხლავა იმის მარჯვნივ დაკმჯდა-

რკიყავ. „ხედი მხედველობას სუსტი და შენ კი ისეთი ბჭევრია-  
 ლა დილები გაქვს, რომ იგინი მხედველობას მიკარგავენ.“ მუ-  
 სამედ კიდევ გაიციხა. ამით იმან გამაგებინა, რომ ხემათ მ-  
 სასვლელად შავი ტანისამოსი უნდა ჩაგეცვაო და მე კი მტრე-  
 დის-ფერი მეცვა. თუმცა მერლინის კარგი თვალები და ყურე-  
 ბი ჰქონდა, მაგრამ ისე გვაჩვენებდა თავს, რომ თითქოს ვერ-  
 ცხადვდა და ვერც ესმოდა. ეს იმის ცბიერება იყო. როცა  
 ხედი ქალაქები გასინჯა, მან იგინი კანონიერად იცნო და მო-  
 აწერა ხელი. როგორც თავაზიანად მიმიღო, ისე თავაზიანადაც  
 გამომისტუმრა. თუ გინდ პრინციც ვუფიქროვებ, ის ამხედ  
 თავაზიანად აღარ მამეჩვენებდა. კარებადის მიმაცილა და მითხ-  
 რა კიბეზედ ფრთხილად ჩავსულიყავ. ეტყობოდა დამცინოდა.

აღჭრედს ქუჩაში დაუცნადე, რადგანაც იგი კამისართან  
 ხელს შეძლებ უნდა შესულიყო. იგი დიდ-ხანს არ გამოდიოდა  
 და ეს მე ძალიან მანწუხებდა. ბოლოს გამოვიდა, მაგრამ საწ-  
 ყალს სახეზედ უკმაყოფილებას ეტყობოდა. სინამ იგი მიაძებ-  
 და თავის თავს-გადასაკალს, მე უკვე მივხვდი, რაც ამხავი ყო-  
 ფილიყო იმის თავს. მერლინის სწორედ რომ დაეტანჯა იგი.  
 წინა-პირველად კარგად მიეღო და ალერსიანადაც მოჰქცეო-  
 და. იმან კიდევ აიღო კალაში რომ შეემოწმებინა ხედი ქა-  
 ლაქლებიო, მითხრა ალჭრედმა, მაგრამ უეცრად შესდგა და-  
 მკითხა, სადა სწავლობდიო. „რასაკვირველია საკოროლო კო-  
 ლეგიაში მეთქი“, მიუგო მე: „ისიც რასაკვირველია, რომ შენ  
 სანაქებოდ გაგიკლავს ყველა კლასები და შენი მასწავლებლებიც  
 შენგან კმაყოფილნი ყოფილან!“ რაკი არ ვიცოდი რა პასუხი  
 მიმიგო, დაკრძა და დაუწყო ცქერა. — „კოლეგიიდან რადის  
 გამხვდები?“ მკითხა ინკვირიტორმა, — „ივნისში“, მიუგო  
 მე — „მაშასადამე რი თვით ადრე, სინამ სწავლა გათავდებო-

და“ , მითხრა ჩემმა ჯალათმა. — „კახეთ შუამტყობინებით, სკოლას აგრე ადრე თავი რა მიწევით დაანებეთ?“ — მე გაუჩუმიდი: სკოლატარმა ჩემს მაგიერად მისცა პასუხი: „თუ არა ვსცდები“, უთხრა მან: „ბატონი ალექსანდრე სკოლიდამ გამორიცხეს.“ — „სკოლიდამ გამორიცხეს!“ შეხუვირა გამოსარძმა: — „თქვენ ვი მიხედვით და მითხრით, რომ ქალაქები შეგიძომწმით, რადესაც იცით, რომ მაგით ჩემს მოვალეობას დამარჯვებინებთ!“ და მან განაგრძო უვირილი იქამდის, სინამ არ დაიღალა. მე ვისარგებლე იმის გახუმებით, დაგუჟარ თავი და გამოვიდი.

ამ ამბავმა ცუდად იმოქმედა ჩემზე. მე გულის ის აზრი მიწვავდა, რომ იგი ჩემის გულისათვის იტანჯებოდა და იმის მიუღებლობა ჩვენის გაურის მიწევი გახდებოდა. მართლაც, ერთი კვირის შემდეგ, მამამ იგი ტურინში წაიყვანა, რომ დიდი კაცების დახმარებით იქაურს უნივერსიტეტში შეეყვანა. უფრო ღონისძიება ეხმარა, — ასე გასინჯეთ კორკლისთვისაც ვითხრუნათ, მაგრამ ალექსანდრე უნივერსიტეტში მაინც არ მიუღოთ. მამამ, რომელსაც გულთ უნდოდა ენახა თავისი შვილი ექიმის ტანისამოსში, გაგზავნა იგი პიზანის უნივერსიტეტში, სადაც იგი დაუბრკოლებლად მიუღოთ.

მეორე დღეს დარდიანის გულთ წავიდი უნივერსიტეტის სკოლატართან, რომ სტუდენტობის ბილეთი მიმიღო. ამ ბილეთებს მხოლოდ სამის თვის ვადით ვგაძლევდენ, «რაც ეს დრო გავიდეს», მითხრა სკოლატარმა: «თქვენ ეს ბილეთი უკანვე მომიტანეთ ყუელა ურთქესობისგან ხელ-მოწერილი, ამასთანავე, რი მიწმობაც: ერთი შენის მოძღვრისაგან და მეორე შენის სოფლის ძღვდლისაგან, რომ შენ ერთგულად ასრულებდი სარწმუნოებრივს მოვალეობას. მამის ენახვით, შეიძლება ვი-

დევ მოგვით ბილეთი თუ არა.»

მე წინად გითხარით, რომ უნივერსიტეტში შესვლის მსურველები არას დროს აძენი არა ყოფილან მეთქი. ამ ამბავმა ძალიან დააღონა კამისია და აფიქრებინა, რომ ამოდენა სტუდენტების ერთად შეყრა სასკლამწიფოს დაღუპვა იქნებაო და ამისათვის რა მოეგონეს: დააწესეს მოესმინათ სტუდენტებს ლექციები არა თვით უნივერსიტეტში, არამედ პროქესორების სახლებში.

ეს განგარგულება სტუდენტებს ბევრს დაბრკოლებას გვაძლევდა. პირველად იმით, რომ პროქესორები ერთი-ერთმან-ერთზედ მოშორებით იდგნენ და ჩვენ კი ერთი პროქესორისგან მეორე პროქესორთან უნდა გვერბინა. მეორედ იმით, რომ არც ერთს პროქესორს ისეთი ფართო სადგომი არა ჰქონდა, რომ ყველა სტუდენტი დატეულიყვნენ. პროქესორების სახლში ჩვენ ერთი-ერთმანერთზედ მიჭყუნტულები ვიყავით და ამასთანავე მომეტებული ჩვენგანი ფეხზედ იდგა. სიტყვებში ასეთი მდგომარეობა მეტის-მეტე სამძიმო იყო. ერთს პროქესორს ისეთი გიწრო ოთახები ჰქონდა, რომ მომეტებული სტუდენტები ვიბეებზედ ისხდნენ.

პროქესორებს სასტიკად ჰქონდათ ნაბძანები, რომ ლექციის დაწყების წინად ყველა სტუდენტი მოეკითხათ და ვინც არ იქნებოდნენ დაენიშნათ. თუ რომ სტუდენტი ლექციას სამჯერ დააკლდებოდა, პროქესორები ბილეთზედ ხელს აღარ მოუწერდნენ და ამას ის შედეგი ჰქონდა, რომ იმ სტუდენტს სამსთვეს უნივერსიტეტში მისვლის ნება აღარა ჰქონდა. ამ ნაირი წესები სტუდენტობას მეტის-მეტად ავიწროებდნენ. ეს დამოკლესის ხმაფსა ჰგავდა, რომელიც ყოველთვის ჩვენის კისრის დასწორივ ეკიდა და გვაძიმოვნილებდა პროქესორებს. რომელი სტუ-

დენტი დაიკვებებდა, რომ სამის თვის განმავლობაში სამჯერ არ დაიკვიანებდა ლექციებზე ერთის წამით მაინც! იმ სტუდენტს, რომელიც უფროსების წინ თავს მოიდრეკავდა, ადვილად ახატიკებდნენ სოფელ დაგვიანებას, მაგრამ რომელიც კი არ მოიდრეკავდა თავს, იმას არას დროს არ ახატიკებდნენ.

სტუდენტების ავ-კარგვიანობა კანონის ასრულებასზე იყო დამოკიდებული. თუ რომ სტუდენტი ერთგულად დადიოდა ლექციებზე და განსაკუთრებით თავის უფროსებს ეძინებოდა, — ეს სრულიად საკმაო იყო, რომ იგი კარგ სტუდენტად ჩათვალიათ. სვინიდისიანი სტუდენტი კი, რომელიც უფროსებს თვით-მტკიცად არ უხდებოდა, თუ გინდ კარგადაც ესწავლა, ცოტა რომ კანონის წინააღმდეგ მოქცეულიყო, მოსვენებას აღარ აძლევდნენ თავიანთის სასტიკის საყუდურით. ამისთანა შევიწროების წყალობით უნივერსიტეტიდამ კაცები კი არა, მძინები გამოდიდნენ. უნივერსიტეტი იყო ჭახრაკი, რომელსაც უნდა გამეწურა სტუდენტებიდამ ყოველივე კაცური გრძნობა, დიროსება და თავის-თავისადმი სიყვარული; და როდესაც ვიგონებ იმ პირობას, რომელიც უნივერსიტეტიდამ უვნებლად გამოვიდნენ, ამხარტავნობით ვივსები და იმედი მეძლევა, რომ იტალიის ხალხს მაგარი სასიათი აქვს, თორემ ამისთანა შევიწროებულის ჭახრს ვერ გადურჩებოდა მეთქი.

პროფესორების რიცხვში იმისთანებიც იყვნენ, რომელნიც თავისიანად გვექცეოდნენ და თანაგვიგრძნობდნენ, მაგრამ თავით თანაგრძნობას, როგორც ჩვენ, ისინიც მაღაუდნენ, რომ ადვილი არ წაერთმიათ. პროფესორებიც ჩვენსავით ჯამუშებზე იყვნენ დამოკიდებული, რომლების დასსაც შეადგენდნენ მოსამსახურები, ლაქები და სხვ. ეს წუწები ყოველს დონისძიებას ხმალობდნენ, რომ ჩვენი ლაზარკისათვის უური დაეგდოთ, რომ



შეძევ კადაკათ ზოლიციისთვის და იმსახ ჩაკენიშნეთ, იგინი გრძნობდენ თავიანთ ძალას და ბოროტად ხმარობდენ; იგინი იყვნენ გაუზღელნი და რეგვენები, როგორც შეშვენით უსწავლელს კაცებს. რომელი სტუდენტიც კი მათ ზიწში შეებმებოდა, ვაი იმისი ბრალი! მთავრობა მოსამსახურის სიტყვას უფრო იგონებდა, სინამ სტუდენტისას.

ამისთანა კაცის დამამცირებელს ცუდს მდგომარეობაში, როგორშია ცხლა ვიყავი, თავის დღეში არ ვყოფილვარ. ქვეშევრდის სსსსსსსსსს, პრინციპები და სხვა-და-სხვა რომანიული შემთხვევანი ჩემთვის სრულიად განჭრენ. უნივერსიტეტში წასვლის პირველი დრო ჩემთვის სამწუხარო და უხარულ იყო. მე უბედური ვიყავ და ჩემს თავს უძეგობროდ ვგრძნობდი. საწყალს ცეზარს მხოლოდ პუჩის ჭამის დროს ვხედავდი.

რადგანაც ცეზარი ნოტარიუსად ემზადებოდა, ამისთვის იგი მივიდა ერთს განთქმულს ნოტარიუსთან. ეს ნოტარიუსი ძალიან სასტიკი კაცი იყო და საწყალს ცეზარს ეკლავრში ავიწროებდა, ხშირად რომელსამე ჭაღაღის შედგენისთვის დღე და ღამეს აერთებინებდა, ესრედ ისიც ჩემსავით შევიწროებულს მდგომარეობაში იყო და ერთად-ერთ ნუგეშად ისა ვეჭობდა, რომ ერთმანერთს ვუაძმობდით ხოლმე ჩვენს დარღებს და ვწყვლიდით ჩვენს შემავიწროებლებს. რომ კანტორაში წასვლა არ დაგვიანებოდა, იმას ხშირად შუაღამისას ეღვიებოდა და აღარ იძინებდა.

მე ისე არაფერი მაწუხებდა, როგორც ისა, რომ ყოველ თვე აღსარება უნდა მეთქვა. მე ბევრჯერ არ მინდოდა აღსარების თქმა და ჩემი სვინიდიისიც იტანჯებოდა, რომ მოუძნადებლად წარმდგარეყავ და აღსარება მეთქვა. საბედნიეროდ, მე მივაგენ ერთს მღვდელს, რომელიც მამშვიდებდა ამის შესახებ. ეს

ერთი მოხუცი მღვდელი იყო. ის ხშირად მოდიოდა დედა-  
ჩემთან და იმისი ღაზარაკი ჩემზედ სასიამოვნო შთაბეჭდილე-  
ბას ახდენდა. იმან სრულიად შემარგვა ჩემს სვინილისთან.

«აღსარება სთქვით მაშინ», მითხრა მან: «როდესაც  
თქვენს თავს მომზადებულად გრძნობდეთ, წინააღმდეგ შემთხვე-  
ვაში მოდით ხელმე ჩემთან; ჩვენ ცოტა რამეზედ ვიღაზარაკოდ  
ხელმე. ეს აღსარებაზედ უკეთესი იქნება და მეტი მე მოგცემთ  
საჭირო მოწმობებს.» ამ ამბავმა თითქმის რაღაც მძიმე ტვი-  
რთი მომხსნა.

იმასვე დროს, როდესაც საღამოზედ შინ დაგბრუნდი, დე-  
და-ჩემი ნამტირაკლევი ვნახე. იმას არ უნდოდა ტირილის მი-  
ზეზი ეთქვა. მაშ დედა-ჩემი ბედნიერი არა ყოფილა; და ვინ  
იყო იმის მწუხარების მიზეზი, — ადვილი გასაგებია. მე დედა-  
ჩემი ძალიან მიუვარდა.

ამისთანა მდგომარეობაში ვიყავ, როდესაც მე ერთი სტუ-  
დენტი გავიცანი და რომლის გაცნობაც დიდი ხანია მინდოდა.  
ჩვენი ნაცნობობა ძალე მეგობრობად გადაიქცა და ამან გაჭკურნა  
ჩემი წყლული გული. ამ მეგობრობას ჩემზედაც და ცუზარზე-  
დაც დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა.

## თ ა ვ ი XVII

ფანტაზია. — პოლიციის უფროსი. — ცუზარი ავად ხდება.

მე აქ უნდა გაიშობთ ფანტაზიისთან ჩემი დაახლოება,  
— ამ სახელს დაკუთმებ ჩემს ახალს მეგობარს.

ერთს ცხელს საღამოს, თორმეტ უმაწვილ-გაცამდის, რომ-  
მელთ რიცხვში მეც ვიყავ, წაკედით აკვასოლში გრილის ნია-

ვის საყნოსველად. აქ ცოტადენი გაუმჯობესობა მოეხდინათ. უკავილებისათვის გაწეძმომ მოაჯირი შემოეკლათ, რომ მოსე-  
 ირნებს არ გაექლათ. ჩვენ უკვლანი დავსხედით ზოგი სკამე-  
 კებზედ, ზოგი ძირს. ერთმა ჩემმა ამხანაგმა, რომელსაც ძა-  
 ლიან დასცხა, გაიხდა სურთუკი და მოაჯირზედ გადაჭვიდა.  
 ჩვენ მხიარულად ვლავარაკობდით, როდესაც მოვიდა სერყანტი  
 და გაუთლელად გვიბძანა მოაჯირივამ სურთუკი აგვეღო. არ  
 ვიცე მართლად დავარღვიეთ პოლიციის წესი თუ არა, ეს ვი-  
 ცე რომ სერყანტის ბძანება მოსათმენი არ იყო. სურთუკის  
 პატრონი მაშინვე დაემოწილა სერყანტის ბძანებას, მხოლოდ  
 უთხრა, რომ შეიძლებოდა ზდილობიანად გეთქვამო. სიტყვის  
 შებრუნებამ ჩხუბი გააჩინა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ სერ-  
 ყანტი წავიდა და ჩვენ გვეგონა, რომ საჭმე ამით გათავდა...  
 მაგრამ მოვტყუვდით. ნახევარ საათის შემდეგ სერყანტი უკი-  
 რილით დაბრუნდა: «თქვენა გგონიათ იმითი შემსძინებთ, რომ  
 სტუდენტები ხართ?» ეტყობოდა, რომ იგი გადაკრულში იყო.  
 «თუ ღმერთი გწამთ, თავი დაგვანებე...» უთხრა სურთუკის  
 პატრონმა უმაწვილმა-გაცმა განრისხებულს სერყანტს. როგორც  
 ვი წამოხსთქვა ეს სიტყვები, სერყანტმა იძრო ხმალი ღ უმაწ-  
 ვილს-გაცს მიანჯინა გულში. ამ ამბავზედ ჩვენ უკვლანი წამოვ-  
 დექით და იმ გიყს სერყანტს მივცვივდით არა იმისთვის, რომ  
 დაგვემაკებინა რამე, არამედ იმისთვის, რომ უბედურობა არა  
 მომხდარიყო-რა. როდესაც უმაწვილი ვატი გულადამ ხმალს  
 იძორობდა, იმას ხელი ცოტათი გაუთხაგხა; ამან რასაკვირვე-  
 ლია უაყალ-მყალოდ არ ჩაიარა და ამ ამბავზედ ხალხი მოგ-  
 როვდა და გარს შემოგვეხვია.

სერყანტმა ჩააგო ხმალი და დაიწყო უვირილი, რომ ვი-  
 თომც ჩვენ არეულობის მოხდენა გვინდოდა, იმან ინსტიტუ-

რად გაიგო, რომ რაკი ჩვენ არეულობის მოხდენას დაგვანბნა-  
 ლებდა, იგი ამით განთავისუფლდებოდა ჰასუხის გებისაგან.  
 ჩვენ გაბრანებულები წაკედით რძიერტან, რომ გვეჩივლა, მაგ-  
 რამ ის იქ არ დაგვხვდა. ჩვენ უკანვე წამოკედით, მხლელად იმ  
 სერჟანტს კი შეკატყობინეთ, რომ ამ ამბავს იმის უფროსს  
 შეკატყობინებდით.

მეორე დღეს ჩვენ უკვლამ მოვილასწავრკეთ; გადავსწვი-  
 ტეთ გუბერნატორთან გვეჩივლა, რომ სერჟანტი დაესაჯათ.  
 კანონის ძალით ამისთანა დროს ხმლის ამოღება აკრძალული  
 იყო, და ჩვენც გულ-წრთულად გვეჩივრდა, რომ ჩვენს საჩი-  
 ვარს შეიწყინებდენ, მაგრამ შეიძლება ათი-თორმეტი კაცი სა-  
 ჩივლელად ერთად წავიდეთ? უკეთესი არ იქნება რამდენიმე დე-  
 პუტატები ამოვარჩიოთ?—რადგანაც ამის შესახებ ხმები რად  
 გაიყო, ამისათვის ერთმა ჩვენგანმა წინადადება მოგვცა ჭანტა-  
 ზიოსთან მოგველასწავრკინა, რომელიც იქვე ახლავს სცხორებ-  
 და. ჭანტაზიომ მხარულად მიგვიღო და ჩვენს გაბრანე-  
 ბას თანაუგრძნობდა. ის იმ აზრისა იყო, რომ დეპუტატია უმ-  
 ჯობესი იქნებაო და თვითონაც დეპუტატობის სურვილი გა-  
 ნაცხადა. მეორე დეპუტატად მე ვიყავი, მესამე ის უმაწვილი  
 კაცი იყო, რომელსაც სერჟანტი წაეხსუბა. ჩვენ იმ დღეს რთხ-  
 ჯერ მიკედით გუბერნატორთან, მაგრამ არც ერთჯერ არ გვე-  
 ღიროსა იმის ნახვა. ბოლოს გუბერნატორის სერჟენტმა გვეით-  
 ხა საჩივრის მიზეზი, ჩვენ უკვლავიუ საჭმის გარემოება ვუამ-  
 ბეთ და მან გვითხრა, რომ მაგ საჩივრის გარეგან ქალაქის გა-  
 მენდანტის ვაღია და არა გუბერნატორისაო. ჩვენც! წაკედით  
 გამენდანტთან. ის ისეთი გაუთლელი და გაუზღელი კაცი იყო,  
 რომ არა გვთხოვა დაკმჯდარკიყავით; სამართლის მოცემის მა-  
 გივრად ის გვეუბნებოდა, რომ სამხედრო კაცებს ჰატვი უნდა

სტეთა. ამოდ ვარწმუნებდით, რომ ჩვენ უკვლავ იმის სიტუატი-  
ზედ თანახმანი ვიყავით, იმან უუჩივრ არ გვიგდო, გაბრუნდა ჭ  
წავიდა.

მეორე დღეს დილით ადრე მივიღე წერილი, რომელშიაც  
მწერდენ, რომ პოლიციის დირექტორის განცულისაში მივ-  
სულვიყავი. მე მაშინვე გავიქეცი და ეს ამბავი ჭანტაზიოს შე-  
ვატყობინე. იმასაც ის-ის იყო მივლო ამ ნაირივე წერილი. მე-  
სამე დეპუტატსაც ასეთივე წერილი მისულადა. ჩვენ ბრძანება  
ავასრულეთ, ტალახში დიდის ხნის მოცდის შემდეგ ჩვენ შეგ-  
ვიყვანეს დირექტორთან, რომელმაც პირველადვე ის გვითხრა,  
რომ ჩემი გულგუთილობის ბრალად, რომ აქ მოვიყვანეს და  
პირდაპირ ციხეში არ გავგზავნეთ, ამასთანავე გარგი ლჯანო-  
ბის შეილება ხართ. ამის შემდეგ გვითხრა, რომ მთავრობას  
უთქვენოდაც ბევრი საქმე აქვს. დრო არის შოკისა და აყა-  
მყაფს თავი დაანებოთ. სტუდენტობა იმასევე ვარგს ვერ-  
ფერს იმამს, რომ მშვიდათ იყოს. ამის შემდეგ იმან გვითხ-  
რა, რომ შეგიძლიანთ შინ წახვიდეთ და კარები გვიჩვენა.  
«მაგრამ...» დაიწყო ჭანტაზიომ—«ჩუმი.» განწუკუტინა დი-  
რექტორმა: «ხმა აღარ ამოიღოთ! თორემ», დაუმატა მან და  
სტოლიდამ შარი აიღო: «ესლავე ციხეში გავგზავნით.»

ამ ნაირად დაგვაკმაყოფილეს. ოც-და-ოთხის წლის შემდეგ,  
როდესაც პიემონტის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ერთმა ჩემ-  
მა მეგობარმა, რომელიც პოლიციაში მსახურობდა, მიჩვენა სა-  
იდუმლო მოწერილობა იმ დღის რიცხვით დაწერილი, როდეს-  
საც პოლიციის დირექტორთან მივედი. ამში ეწერა: «ლორენ-  
ცო ბენონი ფიცხი კაცია, —ნიჭიერი, —გულ-ჩათხრობილია (ამ  
სიტუაციას ხაზი ჭეხნდა ქვეშ გასმული), —თვალ-უური ადევნეთ.»  
ჩემს ორს ამხანაგზედ, ვგონებ, ამასვე მისწერავდენ.

ამ ამბავმა მე და მამა-ჩემს შორის უკმაყოფილებას ჩამო-  
 აგდო. მამა-ჩემმა ყოველისთვის იცოდა, რაც მომხდარიყო;  
 იმან მითხრა დაკწინარებულყავ, რომ ჩემზედ ამდენი აღარ  
 უჭირავნათ. ამ სიტყვებით გაკვირვებულმა ვთხოვე გაუგებინებ-  
 ნა ჩემთვის საქმის გარემოება. «შენ დონკიხოტის როლს თა-  
 მაშობ!» მომიგო მამამ. «შენ რას წახარე იმ საქმეში, რომე-  
 ლიც შენი საქმე არ იყო?» — მე მიუგე, რომ დაჩაგრულს ამხა-  
 ნავს გამოკვსარჩლე მეთქი და რა ვიცოდი, რომ ამისთვის გამ-  
 კიცხავდენ მეთქი. — «ყველა ეგ კარგი და პატიოსანი», მითხრა  
 მამა-ჩემმა; მაგრამ პოლიციის ყბაში ჩავარდნა ყმაწვილის კაც-  
 სათვის კარგი არ არის. გესმის თუ არა?» თუ რომ პოლი-  
 ციას მაგისტანს ცუდი ხმები აქვს დაუარდნილი, ეგ იმათთვის  
 არის ცუდი, ვინც მაგის მიზეზნი არიან. რა საქმისათვისაც მე  
 მამტყუნებთ, იმ საქმეში ჩემდა უნებურად მივიღე მონაწილეო-  
 ბა. ასეთი ლაპარაკი იქამდის გაგძელდა, სინამ მამა-ჩემმა არ  
 მიბრძანა გაკრებულყავ. სისხლი ამეძღვრა; კულარ მოვიტმი-  
 ნე და ვუთხარ მამა-ჩემს, რომ მაგისტანს ლაპარაკი მხოლოდ  
 პოლიციის უფროსებს შეშვენით მეთქი. ამ სიტყვებზედ მამა-  
 ჩემი წამოვარდა და გაბრაზებული ჩემთან მოვიდა. მე მაშინ მე-  
 გონა, რომ შემომკრაკდა, მაგრამ ეხლა ვი არა მჯერა. მაინცა  
 და მაინც ის მეტის-მეტად გაბრაზებული იყო. დედა-ჩემი საჩ-  
 ქარზედ წამოვარდა და შუაში ჩაკვიდგა და თანა მთხოვდა  
 გარედ გასულიყავ. მე იმავე წამს დავემოწილე.

ამ საქმის შემდეგ მე და ჭანტაზიოს ძალიან შეგვიყვარ-  
 და ერთმანერთი. თუ მე და ის რა ნაირი ვიყავით გომენდან-  
 ტზედ და პოლიციის დირექტორზედ გაბრაზებული, ეს თვითონ  
 მკითხველმა წარმოიდგინოს. ამ დღიდან მე და ჭანტაზიომ  
 შევფიცეთ ერთმანერთს, რომ ერთმანერთისათვის თავი სასიკ-

კდილოდ არ დაგვეზოგა. ჩვენის წყალობით ჩვენი მშობლებიც დაუახლოვდნენ ერთმანეთს: დილით მე მივდიოდი ჭანტაში-ოსთან, საღამოთი ის მოდიოდა ჩემთან. დედა-ჩემსა და ჩემს ძმებს იგი ძალიან უყვარდათ და განსაკუთრებით უფრო ცუ-ზარს. ეს უმაწვილი კაცი ერთის ხახვით მოინადირებდა ხოლ-მე კაცის გულს.

ჭანტაშიო ერთის წლით ჩემზედ დიდი იყო. იმას ჭქონ-და ლამაზი თავი, დიდი შუბლი, შავი თვალები, რომლებიც სიციცხლით სავსენი იყვნენ. სახე შავკერძანი და გრძე-ლი შავი თმები ჭქონდა. იმის დათვიერებულს სახეს ხანდისხან დიდილი გადურბენდა ხოლმე. იგი კარგად და ბევრსა ლაპარა-კობდა; და რომესაც რომელიმე საგანი გაიტაცებდა, მაშინ იმის თვალების მოძრაობაში, ხმაში, — რაღაც მიმზიდველი ძალა სჩან-და, ის სულ ჭკუის ვარჯიშობაში ატარებდა დროს, იმას ჭეი-ფი არ უყვარდა. წიგნები, სიგარა, ყავა და მთვარის ლამეში სურნის შეადგენდნენ იმის საყვარელს დროს გატარებას. იგი იყო უსაკუვლის ხასიათის კაცი და პირ-დაცული. თუ რომ ვინმე ამხანაგი ურიგო სიტყვას ეტყოდა, ჭანტაშიო მაშინვე აჩუბებდა ხოლმე.

ჭანტაშიომ კარგად იცოდა ისტორიის და ლიტერატურის არამც თუ მარტო თავის ჭკუენისა, არამედ სხვა ჭკუენებისაც. შექსპირის, ბაირონის, ჭოტეს, შილერის თხზულებანი ისევე ჭქონდა შესწავლილი, როგორც დანტესი და ალფიერის. თუმი-ცა სუსტი აკებულობისა იყო, მაგრამ სულ-გრძელი და ძლიე-რი იყო. იგი პრეზათაც და ლექსათაც ბევრსა სწერდა და კარ-გადაც სწერდა. გაგვიყობით თავისუფლების მოყვარე, იგი კერ-იტანდა მტარვალობას ჭ წამებას. იგი იყო ალერსიანი, მგრძობ-ბიარე და დიდ-სულლოვანი; იმის ბიბლიოთეკა და ჭი'ა ძეგობ-

რებისათვის ყოველთვის ღია იყო; ერთის სიტყვით იგი იყო ყოველსთვის კეთილშობილის სულისა და გულის კაცი.

იმის წყალობით მე წავიკითხე, რამდენად საჭირო იყო, დანტე და შეკიუვარე კიდევ. ჭანტაშიის გაცნობადის, რამდენჯერ შეკუდიე «ღვთაებრივის კომედიის» კითხვას, მაგრამ სიძნელისა გამო ვერც ერთხელ თავით ბოლომდის ვერ წავიკითხე, მხოლოდ ადვილად გასაგებ ადგილებს წავიკითხავდი ხოლმე. ერთის სიტყვით მე ამ წიგნს დროს გასატარებლად კვითხულაობდი. ჭანტაშიომ კი მითხრა, რომ მეკითხა იგი ჭკუა-გონების გასავითარებლად. ამ დღიდან იტალიის ხსენებაზედ გულში შემიტოვდებოდა ხოლმე, რადგანაც იტალია დანტეს თხზულებაში ხშირად იხსენებოდა. ძნელად გასაგებ ადგილებს ერთად კვითხულაობდით. ჭანტაშიომ მშვენივრად ხსნიდა გაუგებარს ადგილებს და იმის მჭკვრ-მეტყველურს ლაპარაკს აღტაცებაში მოკვავდი.

ამ დროს კლასიკურ და რომანტიულ სკოლების შორის ბრძოლა იყო ატენილი. მელანი უხვად იღვროდა; რაკო პოლიტიკური ასპარეზი დახშული იყო, ბრძოლა ლიტერატურის მიდანიზედ დაიწყო. კლასიკები ავტორიტეტებს თაყვანს სცემდნენ და არისტოტელის და გორაციის სახელს ფიცხულად ეძინებოდა. რომანტიული სკოლა კი ლიბერალებისაგან შესდგებოდა, რომელიც ავტორიტეტებს თაყვანს არა სცემდნენ. იგინი ამბობდნენ, რომ ყოველთვის ძველების ბაძვა ჩვენს სისუსტეს ამტკიცებს.

ჭანტაშიომ რომანტიულის სკოლის დასს მიემხრო. მან ყურნალებში რამდენიმე ცხარე სტატიები დასწერა. ჩვენგან იმის ქებას დასასრული აღარა ჰქონდა და ჩვენი წინამძღოლისათვის თაყვანს ვსცემდით. შექსპირს, რუსინის და სხვ. ჭანტაშიომ საჩქაროდ შეადგინა ყურნალის პროგრამა, რომლის რედაქტორ-



რად ის უნდა ყოფილიყო და მე უზირატეს თანამშრომელად. მაგრამ რაღაცამ დააბრკოლა ეს საქმე და სხვა დროსთვის გადასდო.

ჩემის სწავლის უკანასკნელს წელიწადს ჩემის ძმის ცეზარის ცხვრებაში ცვლილება მოხდა. ერთს საღამოს, მთელი დღის მუშაობის შემდეგ, იგი შინ წამოსვლას ემზადებოდა; ამ დროს ნოტარიუსს იმისთვის რაღაც ქაღალდები მიეცა, რომელნიც იმ ღამეს უნდა მოემზადებინა. ცეზარი უქეიფოდ ყოფილიყო და უარი განეცხადებინა. ნოტარიუსს ეთქვა, რომ ეგ ავადყოფილებით ვი აწა, სიზარმაცით მოგდისო. ცეზარს კიდევ ეთქვა, რომ დღე რაც შემოდის ვმუშაობო, ღამე ვი ძილისთვის აწის დანიშნულიო. ამ სიტყვებით ნოტარიუსი გაბრაზებულიყო და ჩემი ძმისათვის ზარმაცი და ვაგლახი დაეძახნა, ცეზარიც მოთმინებიდამ გამოსულიყო და ეთქვა: «თუ რომ ხვალ მე შენს კანტორაში კიდევ მოვიდე, კიდევ ზარმაცი და ვაგლახი დამიძახეო და თუ გინდა კანტორიდანაც გამომაგდეო.» ამის შემდეგ აუღო ქუდი და წამოსულიყო.

მეორე დღეს ძამა-ჩემს მოჭმუხვნილს სახეზედ შევატყუე, რომ იმან ყველაფერი იცოდა. მართლაც იმან ძაღუ ჩამოგვიგდო ამ წერილის შემთხვევაზედ ლაპარაკი და უთხრა ცეზარს, რომ მეორე დღესვე წასულიყო და ნოტარიუსის წინაშე ბოდიში მოეხდა. ჩემმა ძმამ ამასზედ უარი განაცხადა. » იმ მხერც მოუთხრო ბოდიში! უთხრა ცეზარმა. რისთვის? იმისთვის რომ შეურაცხყოფა მომაყენა? აწას დროს! მე იმასზედ უფრო დაკთანხმდები, რომ ნაჭერ-ნაჭერ ამკუწონ და იმას ვი ბოდიშს აწ მოვსთხოვო.»

— შენ ის უნდა აასრულო, რასაც მე გეუბნები, თუ აწა და რც-და-რთხს საათში ჩემი სახლიდამ უნდა წახვიდე! დაიუვირა

მამა-ჩემის ძალის ხმით.

— თუ გინდა ეხლავე; მაგრამ სადაგულს და კაცის დამამცირებულს საქმეს კი არ ჩაუიღებ.

ამის შემდეგ საშინელი აშხავი მოხდა. მამა მოთმინებიდან გამოვიდა, ცუხარი გახრახულებული იყო. ჩვენ იგი ძალის-ძალად გავიყვანეთ გარედ. საღამოზედ ცუხარმა გვითხრა, რომ სიტყვი მამცნაო და ადრე დაწვა. თვალები გასდიდებოდნენ და უბრწყინავდნენ. «რა ხარ მომეშვებოდა გულზედ, რომ ტირილი შემეძლო!» მითხრა იმან რამდენჯერმე.

ჩვეულებრივს დროზედ მამა-ჩემი შინ მოვიდა. ვახშამი გაშალეს.

— ცუხარი სადღაა? რატომ თავის ადგილას არ არის?» ჰკითხა მამამ დედა-ჩემს. «იგი გააცხელა და ლოგინში წიქს», მიუგო დედა-ჩემმა. — «გააცხელა?» სთქვა მამა-ჩემმა მწარის დილით. «თუ რომ გააცხელა იმისთვის მოიგონეთ, რომ მე მამატყუროთ—ტყუილად გითქვიანათ. მე ვერ მამატყუებთ.» დედა-ჩემმა ვასუსი არ გასცა და ისეთი თვალით შეხედა, რომ ის შეხედვა სიკვდილამდის არ დამავიწყდება. მამა-ჩემმა თვალი ვერ გაუშტერა; მან თავის-თავი დანაშაულად იგრძნო და თავი ჩაღუნა. ვახშამმა მშვიდობიანად გაიარა და ვახშამის შემდეგ მამა-ჩემი ადგა და თავის ოთახში წავიდა.

როდესაც ცუხართან შეკუდიოთ იგი სიტხისაგან ბოდავდა. «მე მაგ ქალადს ამაღამ ვერ დავსწერ», შეჰყვირა მან, როდესაც მე დამინახა. «მე ჭკუა-გონება მერევა. წადი და ბატონს მარგოს უთხარი, რომ ეს შეუძლებელია.» ადგილად წარმოიდგინეთ დედა-ჩემის შეწუხებას. მე გამოკული გარედ იმისთვის ვიარა, რომ ცუხარის სურვილი შემესრულებინა; არამედ იმისთვის რომ ჩვენი ეჭმი მომეყვანა; ეჭმმა გვითხრა, რომ ცუ-

ზარისთვის სისხლი გამოგვეშვა და თუ კიდევ იბოდებდა რც-და-რთხი წურბელა მოგვეკიდებინა. ჩვენ დაკუძახეთ თერძაღს, რამეღმაც სისხლი გამოუშვა. ბოდვას მაინც არ მოუკლო, რისაგამრც იმ ღამეს რც-და-რთხი წურბელა დავასხით. თან-და-თან უფრო უარესად ხდებოდა. მერე დღეს ექიმი ადრინად მოვიდა. იმან გვითხრა, რომ სხვა ექიმებიც უნდა მოვიწვიოთ და ვითათბიროთ. ექიმებმა გადასწყვიტეს, რომ კიდევ გამოგვეშვა სისხლი. ეს მესამედ გამოუშვეს სისხლი და ავად-მყოფი ცოტათი დამშვიდდა, იმის ავად-მყოფობა ტვინის ანთება ყოფილიყო.

ხუთი დღე და ღამის განმავლობაში ცეზარის სიცოცხლე ბეწვზედ ეკიდა. იგი ხანდისხან მაინც კიდევ ბოდავდა. იმის საბოდავი სულ ის იყო, რომ ნოტარისს ეჩხუბებოდა და ეუბნებოდა, რომ ამდამ ჭაღაღდს ვერ დავწერო. ჩემის ძმის კრატის გვერდით ნაალი დავაგებინე და როდესაც თქვებზედ დგომს აღარ შექედლო, მასზედ ვწკებოდი ხოლმე დასაძინებლად. ამის მეტად ავად-მყოფის მოკლა ჯერ არ მეცადნა. ჩამოშვებულ იფარდები, ყურში ჩურჩული, ხელ-ხელა სიარული, რამეღმაც უფრო აშინებდა კაცს, — ყოველივე ეს ჩემთვის ახალი სახსავი იყო. ვინც საყვარელის ავად-მყოფის თავით არას დროს არა მჯდარა, იგი ვერ გაიგებს რა არის ტანჯვა.

მე გამოვცადე ყოველივე ცვალება იმედისა და შიშისა, როდესაც დილით, მექვსე დღეს, ექიმმა გააჩნია თავი და გვიჩინა მღვდელისათვის დაგვიძახნა. ამ ამბავს თავ-ზარი დამცა. «მოკვდეს! ჩემი ცეზარი! ჩემი ძმა! ჩემი საყვარელი ამსანაგი! მოკვდეს ის, რამეღმაც ამ ერთის გვიჩინა წინად სიცოცხლით სავსე იყო! არა, ეს შეუძლებელია; ღმერთი ამას არ ინდობებს! რა იქნება ჩემს თავს უცეზაროდ?» მე წინად მეგო-

ნა, რომ სრულად შევსვი მწუხარების თიალა, მაგრამ თურმე  
 ნუ იტყვი მომეტებული მწუხარება შემდეგში მომელოდა; და  
 რა მწუხარება! რომლის მზგავსიც მე თავის დღეში არ გამო-  
 მიცდია. «როგორ! ცეზარი კვდება—და ცა კი ისევ ლურჯია,  
 მზე ისევ ბრწყინავს, ჩიტები ძველებურად გალობენ! მთელი ბუ-  
 ნება ასე შემკულია და მხიარული! არა, ეს შეუძლებელია.»

სასულიერნო პირნი რა რიგად შემოვიდნენ ანთებულის  
 სანთლებით ჩემის ძმის ოთახში, დაიჩოქეს და დაიწყეს თსალ-  
 მუნების გალობა, შემოსილი ძვკდელი მივიდა ახლო და აზი-  
 რა მომაკვდავი. შემდეგ ყველანი ჩუმად გავიდნენ, ოთახი და-  
 ცარიელდა, აღწარის ხმა არ ისმოდა, გარდა საათისა. ეს  
 მართლად იყო თუ მომელანდა? გული მიკვდებოდა; გახეთქას  
 ლამობდა: ღმერთმა შემიბრალა და ცრემლები მამკვარა! მე მა-  
 შინვე გავიქეცი მეორე ოთახში, პირქვე დავეცი ხალიშხედ და  
 დავიწყე მწარედ ჭვითინი.

ამ დღეს ცეზარი უძრავად იყო. რომ შეგესუნა ძკვდარი  
 გეგონებოდა. სუნთქვა აღარ ეტყობოდა; სარკე, რომელიც ხან-  
 დისხან იმის ტუჩებთან მიჭჭონდათ, ძლივს იორთქლებოდა.  
 შუალამისას იმან მიგნაკებულის ხმით წყალი მოითხროვა. ამ ამ-  
 ბავმა კიდევ დაგვიბრუნა დაკარგული იმედები, მაშინვე გაკვზავ-  
 ნეთ ეჭიმთან, რომელმაც ხახა ავადმყოფი და გვითხრა, რომ  
 ცოტა უკედ არისო. ბუნება «დიდი მკურნალიაო», დაუმატა  
 მან: «თუ მთელს ღამეს ასე იქნება, უსათუოდ გადაჩვენაო.»  
 დედა-ჩემი დაემხო ეჭიმის თერხთა წინ და ხელები ცრემლით  
 დაუსველა. ამ დროს ბეჭი ვინახე, რომ ეჭიმობა არ შევის-  
 წავლუ.

მთელს ღამეს მშვიდობიანად იყო, მეორე დღით სრულ-  
 ლად აღწარა ბოდავდა; მაგრამ ისე სუსტად კი იყო, რომ კერც

ლავარაკობდა და კერძ იძროდა ორის დღის განმავლობაში. ცეზარი ძალიან ხელ-ხელა რჩებოდა. ერთის თვის შემდეგ იგი პირველად წამოდგა და დედი-ჩემის შემწეობით ოთახში გაიარა. როგორც კი შეიძლო მოძრაობის ატანა, იგი მაშინვე სოფელში გაგზავნეს, სადაც ზათხულში მეც წავედი, როდესაც დამითხროეს. ჩემდა სასიხარულოდ ცეზარი სრულად მოჩენილი დამხვდა.

მამა-ჩემი, ვგონებ, ძალიან ხანობდა, რომ ცეზარის ავადმყოფობის ღამეს ისე მკვასხე სიტყვები წარმოესთქვა და დედა-ჩემიც გააჯავრა. მამა-ჩემი ხშირად ჯდებოდა ხოლმე ცეზარის კრატის ახლოს, თუმცა არათუ ვი არ ამბობდა; მაგრამ როდესაც შენიშნა, რომ იმის იქ ჯდოდა ცეზარს არ უამებოდა, ამის შემდეგ მამა-ჩემი მხოლოდ კარებიდან იკითხავდა ხოლმე იმის მდგომარეობას. რაც შეეხება ნოტარიუსთან ცეზარის ჩხუბს, ამასუდ მამა-ჩემი ხმასაც აღარ იღებდა; მხოლოდ როდესაც ცეზარი კარგად გახდა, ჰკითხა, რა საქმეს უნდა შეუდგეო. ცეზარმა მიუგო, რომ ეჭიძობის სწავლა მინდაო და მამა-ჩემიც დათანხმდა. ცეზარი ჩვეწერს უნივერსიტეტში ეჭიძობის ჭაკულტეტზედ. მეც მალე ავიღე ახალი ბილეთი და მე და ცეზარი ერთად დავდიოდით უნივერსიტეტში.

### თ ა ვ ი XVIII

მოულოდნელი ნახვა. — სანანურო დილემა.

უნივერსიტეტი ნამდვილად ამ წელიწადს გაიხსნა. პრეფესორებმა, რომლებსთვისაც თავით სახლში ლექციების კით-

ხვა სამხელე იყო, სთხოვეს სამაზრო გომისიას და იმანაც მა-  
ლაღს მთავრობას, რომ ტურინში ხალხის განათლების წესები  
შეეცვალათ. დიდის ფიჭვის შემდეგ მაღალი მთავრობა დათან-  
ხდა სწავლის წესების შეცვლას, თუმცა ძალიან შიშობდნენ,  
რომ ერთს სახელში ასი და ორასი სტუდენტის მოგროვება  
სახელმწიფოსათვის სახიფათო არ იქნებოდა. ამის შემდეგ ლექციების  
გითხვა თვით უნივერსიტეტის შენობაში დაიწყო.

თუმცა უნივერსიტეტში ლექციების გითხვის ნებართვამ  
ძალიან გაგვახარა, მაგრამ ამას სხვა სამწახარო ცვლილება მოჰ-  
ყვა: აღადგინეს ესრედ წოდებული კონგრეგაცია, ე. ი. სტუ-  
დენტების ერთად თავის მოყრას ღ კვირა-უქმიით წირვასე წასვლა.  
წირვასე სიარულს სასტიკად თხოულობდნენ. კონგრეგაციასთან  
ერთად კონგრეგაციის პრეზბიტერის თანამდებობაც აღადგინეს;  
ამ თანამდებობას ყოველთვის რომელსამე მღვდელს აბარებდნენ,  
რომლის ვალდებულებაც იყო შეეტყო—ყველა სტუდენტები  
იყვნენ ეკლესიაში თუ არა. ამისათვის აი რა მოიგონეს:

კვლავსედა რამეები ბლამად ჩამოჭვიდეს. ყველა ჭაკულ-  
ტეტებს, — იურიდიულს, ექიმობისას, ლუთის მეტეოლოგიისას, —  
ჭქონდა ერთი ან რამდენიმე ამისთანა რამეა; ამ რამეებში ის-  
ხდა პატარ-პატარა ქალაქებსედა დაწერილი სტუდენტების გვა-  
რები. სტუდენტი, შესული კონგრეგაციაში, დაიძახებდა თავ-  
ის ჭაკულტეტს და გვარს, პრეზბიტერი ანუ მოსამსახურე იღებ-  
და რამეიდა იმ ქალაქს, რომელსედაც მოსულს სტუდენტის  
გვარი ეწერა. რომელი ქალაქებიც რამეაში დაჩემოდნენ იქი-  
დამ გაიგებდნენ, რომელი სტუდენტიც არ მოსულყო კონგრე-  
გაციაში. კონგრეგაციის პრეზბიტერისაგან სტუდენტის ბილეთის  
შემოწმება საჭირო იყო, და თუ სამის თავის განმავლობაში წირ-  
ვა-ლოცვას ორჯულ დააკლდებოდა, ეს სრულყოფილ საკმარ იყო.

რომ ახალი ბილეთი აღარ მოეცათ.

რასაკვირველია, რომ განმარტოებული ლოცვა კარგი საქმეა, ერთად ლოცვა კი—ვაღდებულების აღსრულება; მაგრამ რადგანაც კაცი ყოველთვის გუნებაზედ არ არის, ამისთვის კაცის ნებაზედ უნდა იყოს დამოკიდებული თუ რა დროს ილოცოს.

გულ-წრთულად მოგახსენებთ, რომ მე არ მესმის ძალის დატანებით ლოცვა. სტუდენტების მოძებნული ნაწილიც ამ აზრისა იყო და ამისთვისაც ძალიან უკმაყოფილოდ მიიღეს ეს ახალი დაწესებულება. ხანდისხან მთელი კონგრეგაციის გაჰკვირდებოდა ხოლმე სტუდენტობის სიჩუმი: ეკლესიაში გალობის დროს ხმას არავინ არ აძლევდა. ხანდისხან კი მთლად სტუდენტობა ისე შებღაულებდნენ ხოლმე, რომ მათის ხმისაგან, როგორც წარბაზნისაგან, შუშები დაიზრიალებდნენ ხოლმე. ხანდისხანაც ქადაგების დროს ყველანი ისეთ ხველას ან ცხვირცემინებას ასტებდნენ, რომ მქადაგებელის ხმა აღარ ისმოდა.

ლოცვას დასასრული აღარა ჰქონდა, დღეში ორჯერ იწყობოდა: დილითა და საღამოთი. ჩვენ დიდად გვენახებოდა ჩვენის თავისუფლების დაკარგვა. ამ წესის აღსრულება განსაკუთრებით წავხუფობით გვიძნელებოდა. სადილს უკან სამს საათზედ სიტხუ-პაპანაქებაში ისე უნივერსიტეტში უნდა წავსულიყავით, მესუთუ საათზედ ისე უკან ვბრუნდებოდით. ჩვენ ოთხი საათიღა ვკრჩებოდა დღის ყამიღამ და არ ვიცოდით ეს ოთხი საათი როგორ მოგვეხმარა. სიამოვნებისთვის გასეირნებას ხომ თუქრდაც ვერ წარმოვიდგენდით; სახლამდის მისულა ადვილი არ იყო, რადგანაც უნივერსიტეტი ქალაქს გარედ კარგა მოშორებით იმყოფებოდა. სტუდენტობა კი შუაგულს ქალაქში სცხვრებოდა. ჩვენ ყავახანაში შეკდიოდით და იქ ვიც-

დიდით სინამ დაბინდებოდა, რომ შინიდან ხელმეორედ წამოსვლა არ მოგვდომოდა.

მე ამას მთლად სტუდენტობაზედ მოგახსენებთ; თორემ მე და ჩემის ძმის ცეზარისთვის კი აგრე გასაჭირი არ იყო. კონგრეგაციის შეძევ, ჩვენ ქანტაზიოსთან მივდიოდით და იქ კატარბდით შუადღის დროს, როდესაც ძალიან ჩამოცხებოდა ხოლმე. ქანტაზიო აკვავრდეს მედნის ახლოს იდგა, უნივერსიტეტზედ ცოტა მოშორებით; იმისი სახლი ძალაობაზედ იდგა, საიდანაც ქაჯაქი, ზღვა და ცის დასავალი სჩანდა. იგი ორს ოთახში იდგა: ერთი საწოლად ჰქონდა და მეორე თავის ბაჯკონით სასტუმროდ, ჩვენ ბაჯკონზედ ხშირად დავსხდებოდით ხოლმე და სიგარას შეკექცოდით.

უნივერსიტეტში ყოფნის მეორე წელიწადის ორმა მესამედმა ნაწილმა მშვიდობიანად გაიარა. ერთად-ერთი უსიამოვნება კონგრეგაციის პრეტიკტთან მომიხდა. ეს ამბავი ისე უბრალო იყო, რომ მე არც კი მიხდოდა ამასზედ ლაპარაკი; მაგრამ, ჩადგანაც ამ ამბიდან დაინახავთ თუ უნივერსიტეტის მთავრობას სტუდენტებს როგორ გვექცეოდა, ამისათვის გგონებ ურიგო არ იქნება გაიშოთ. ერთხელ პრეტიკტთან წავუდი ზ ვსთხოვე ჩემს ბილეთზედ ხელი მოეწერა. ის უნივერსიტეტის სასახლეში იდგა, ზემო ეტაჟში, და რომ იმის სახლამდის ასულაყავ, ას ნაბიჯზედ მეტი უნდა გადაგედგა. იმან თვითონ გამიღო კარები, ხელში ლოცვანი ეჭირა. — «რა გინდა?» — უკაცრავად რომ გაწუხებთ, თუ შეიძლება ჩემს ბილეთზედ ხელი მოაწერეთ. — ეხლა არ შემიძლიან, ამისთვის რომ ლოცვანს ვკითხულობ, და ლოცვანის კითხვა, როგორც უკვლამ იცის, ისეთი საქმე არ არის, რომ ძღველმა უბრალო საქმისათვის ჩამდენჯერმე გაწუხებოთ. — ჩემი საქმე ერთი წუთის საქმეა,



მივუბნე მე.— «მე შენ გეუბნები, რომ შენს ბილეთზედ ეხლას ხელს ვერ მოვაწერ.» მე ძალა დავატანე. პრეფექტი, რომელიც ბრძანა და დაღვრემილი კაცი, გაბრძანდა და მითხრა: «თქვენ ვერც ეხლას და ვერც შემდეგ ხელს ვერ მოგიწერთ.» იმან თავის სიტყვას ასრულა. ყველა ჩემს თხოვნამ ამაოდ ჩაიარა; — თუ რომ ჩემს მოძღვარს არ ეშუამდგომლა, მე ის ბილეთზედ ხელს არ მომიწერდა.

ამ უსიამოვნების გარდა ჩემი სსქმე სხვათაგან კარგად მიდიოდა. ერთს დილას, რომდესაც, მე ისევე ლოგინში ვიწექ, კარების დარაკუნებაზედ გამამეღვიძა. ბებერმა ეკატერინემ შემატყუებინა, რომ ვილაც არის და შენი ნახვას უნდაო, წერილიც ხელში უჭირავს. მე ვუთხარ წერილი გამოერთმია, მაგრამ ეკატერინემ მითხრა, რომ იმას ნაბძანები აქვსო რომ წერილი პირდაპირ თქვენ მოგცეთო. მე საჩქაროდ ჩავიცვი ტანისამოსი და მივს ჩაკედი, რომ გამეგო რა ამბავი იყო. წიგნის მოძიების უნივერსიტეტის შევიტარის თანაშემწე იყო, ძალიან ყმაწვილი კაცი და თავაზიანი. იმან ჯერ ბოდიში მოიხადა შეწუხებისათვის, მერე აიღო და მამცა წერილი. «ეს რა არის?» კითხე მას.— «არათუკი არ ვიცი», მომიგო იმან. «მხოლოდ შემიძლიან მოგახსენოთ, რომ ოთხი წერილიცა მაქვს, რომლებიც დანიშნულებისამებრ უნდა გადავცე.» ამის შემდეგ იგი წავიდა.

მე დავხედე განკურტს. ის დიდი განკურტი იყო, გატალახიანებული და უნივერსიტეტის ბეჭდით დაბეჭდილი, იმის ერთს ვუთხეში ეწერა: «საკუთარს ხელში», და განკურტში ვიდევ ეს სიტყვები სჩანდა: «სუკრეტის განცუღარია». გულმა ბუკა დამიწყო. აი იმ წერილის შინაარსი:

«გენუის საკოლოლ უნივერსიტეტის სეკრეტრის კანცელარია.

«მოწყალე ხელმწიფე!

«უმაღლესმა ხალხის განათლების სამსახრე კომისიამ, ამის დასაწყისში... (წინა დღით) დაადგინა: გამოიწვიოს თქვენცხრა თვით საკოლოლ უნივერსიტეტიდან.

«მაქვს პატივი ზრძანებისამებრ შეგატყობინოთ ეს გადაწყვეტილება ამ ქალაქდით, რომელიც პირდაპირ ხელში გადმოგეტყობათ.

«სეკრეტარი გენუის საკოლოლ უნივერსიტეტისა.

«სტუდენტს ბატონს ლორენცო ბენონის.

ამ ქალაქში მწერდენ, რომ ის სამი თვე, რომლებშიც წათხულობით დათხოვნილები ვიყავით ამ ცხრა თვეში არ ჩაითვლებათ.

მე ამ ამბავმა თავზარი დამცა. ვისი ბრალისა ესა? ერთ წელიწადმა ტყუილად უნდა ჩაიაროს და ჩისთვის? მე ვიწმენდავდი თავლებს, ვთვლილობდი თავლები ხომ არ მატყუებენ მეთქი. მე კიდევ წავიგოთხე კანკერტზე, რომ შემეტყო შეცდომის ხომ არ არის მეთქი. არა! იმასეუდ ნამდვილად ჩემი სახელი და გვარი, ქუჩის სახელი, და ჩემი სახლის ნომერი ეწერა. ნეტა რა დანაშაული მიმიძღვის? მართალია ცოტა რამ დანაშაული მიქონდა, რომელსაც ეხლავე გაიძობთ; მაგრამ თუ გინდ რომ იდეც გაეგოთ ეს დანაშაული, — ბუერი, ძალიან ბუერი, სასჯელი გოცნათ, — ასე ვსთქვათ ქადაგება ეთქმევიანებინათ. მე მაშინვე მაკუდი სეკრეტრის კანცელარიაში, რომ გამეგო ჩემი სასჯელის მიზეზი. აქ რამე საიდუმლოება იმალება, რომელიც შეიძლება გამოამკარავდეს და იქნება კიდევ გაუმართლდე მეთქი. თუმიცა გულის კი დაწმუნებული ვიყავ, რომ ვერ გავი მარჯუებდი. ძა-

ღიან გვიან დავრწმუნდი, რომ უსამართლობა, თუ გინდ რომ იგი კიდევ იგრძნონ, მაინც უსამართლობად რჩება და არ ცდილობენ იმას გასწორებას. ასეთი კაცის ბუნება: რომ უბედურების დროს გული გაკვივდნოთ, ათას ნაირს იმედებს ვაძლევთ ჩვენს თავს. ადრე იყო და სეკრეტარი ჯერ არ მოსულა. მე მას ქუჩაში ვუხდოდი, რომ არ ამცდნოდა. ბოლოს იგი გამოჩნდა; მე პირდაპირ იმისკენ წაკვიდი და ძალ-დატანებულის დამშვიდებით ვკითხე, თუ ასე სასტიკად რა დანაშაულობისათვის დამაჯუჯეს მეთქი. «ეგ შენზე კარგად ვის ეცოდინება», მომიგო სეკრეტარმა ამაყად და წავიდა თავის გზაზე; მაგრამ მე ასე გაბრაზებული ვიყავ, რომ უზასუხოდ წასვლის ნება არ მივეცი. მე თვებ და თვებ უკან მივეყე. «დემეტოს გეფიცებით, მე იმდენადვე ვიცი ჩემი დანაშაული, რამდენადც ბავშვმა, რომელიც ჯერ არ დაზადებულა. მე მცირე საოხროვარი მატყვას, მე მიხდა გავიგო ასე რისთვის დამსაჯეს. კაცის ძველესაც ვი აქვს ნება გაიგოს, თუ მას რისთვის აღჩნობენ. ჩემი გამორიცხვის მიზეზები კამისიის ქალაქებში გეჭნებათ ჩაწერილი და მე გთხოვთ წამიკითხოთ ის ქალაქები, ამაზედ უარის თქმა არ შეგიძლიანთ.»

მე შეუძლებელს ვთხოვლობდი: კამისიის კრებები საიდუმლოდ ყოფილიყვნენ. კამისიის ქალაქების ჩვენება ვაღებულების აუსრულებლობის დარღვევა იქნებოდა. სეკრეტარმა ბევრი უსათუოდ სიტყვები მითხრა; ბოლოს მომიკეტა იმ ოთახის კარები, სადაც მეც მიხდოდა შეყულობდი.

გაბრაზებულმა საჩქაროდ ჩამოვირბინე უნივერსიტეტის კიბეები და იქ ერთს ჩემს ამხანაგს შევხვდი.

— რა დაგმართნია? მითხრა იმან:— შენ თითქმის ავად ხარ!

— რა დამმართნია? აი რა: მე უნივერსიტეტიდამ ცხრა თვით

გამოძრისეს და არ ვიცი ვი რისთვის.

— თქვენ კიდეც რა, სხვები უფრო სასტიკად დასაჯეს, — სამუდამოდ გამოძრისეს უნივერსიტეტიდან, და დამისახელა რივი ამხანაგი, და აგრეთვე ისინიც, რომელნიც ჩემსავით დაუსაჯათ. ეგულანი იმ საქმისათვის დასაჯეს, ამ კვირას რომ მოხდა, ხომ გახსოვს.

ესლა ვი გავიგე საქმე რაშიაღ მდგომარეობდა.

წარსულს კვირას კონფრედაციაში დიდი არეულობა მოხდა; არეულობის მიზეზნი მთავრობას ვერ ეპოვნა და იმათ მაგონად მუ დავესაჯეთ.

წარსულს კვირას უნივერსიტეტის ეკლესიაში წირვა შესწავიტეს ერთი საკვირეული შემთხვევისათვის. შუა წირვის დროს, ტრახუნისა და საგალობლების გარშემო ისეთი ცუდი სუნი დადგა, რომ მწიკველმა მღვდელმა შესწავიტა წირვა და შევიდა ტანისამოსის საცავში. გაშინჯეს ეკლესია და ტრახუნს უკან დიდ-ძალი გაჯის თესლი იზოვეს. გაჯის ერთ-ნაირს ხეს უძახიან, რომელნიც წვრილს უკავილს ისხამს. ამის თესლი თუ დაჭყლიტეთ და დაკეტილს ალაგას შეინახეთ რამდენიმე ხნის შემდეგ ისეთს საძაგელს სუნს აუძეებს, რომ გაცს შეზნედავს.

ეს ისეთი დიდი ამხანაგი იყო, რომ მერჯინიმ მაშინვე მოიწვია კამისიის დანარჩენი წევრები ამ საქმესად მოსალაპარაკებლად. რა საბუთები ჰქონდათ იმათ, როდესაც ზოგიერთი შეგირდების გამოძრისვა გადაწყვიტეს, — არ ვიცი. ის ვი ვიცი, რომ ჩემს შესახებ ისინი შემცდარნი იყვნენ; იმ კვირას მუ კონფრედაციაში არ მივსულვარ.

თუძცა, როგორც მოგახსენეთ, ერთს მღვდელსა ჰქონდა ჩაბარებული გაგო ვინ დაიარებოდა კონფრედაციაში და ვინ არა, მაგრამ, როგორც ხედავთ, შეცდომა აქაც შეიძლებოდა.

«კამოიწა კანონი—განდა დანაშაულიცო» ამბობს იტალიური  
 ანდაზა, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ჩემს უბედურს სამშობ-  
 ლში მომეტებულად უხეირო კანონები იყო; მართლაც და  
 რამდენიც კანონი მძიმეა და კაცის შემავიწროებელი, იმდენად  
 კაციც ცდილობს მოიგონოს ხერხი, რომ კანონს გვერდი აუჭ-  
 ციოს და არ დაისაჯოს, კაცის ზნეობითი მხარე რომ ეცემა  
 შემავიწროებელი კანონების წყალობით. კანონით თითონ ჰრე-  
 ჭკეტს ან იმის თანაშემწეს უნდა ამოელა რამკიდამ სტუდენ-  
 ტის დაწერილი გვარი დასამტკიცებლად იმისა, რომ იგი გონ-  
 ღრულებიაში იყო. შემდეგ ამ წესს აღარაფერს უურადლებას არ  
 აქნებდენ, ასე რომ თვითონ სტუდენტი იღებდა რამკიდამ თა-  
 ვის გვარს ჰრეჭკეტის თანა-დასწრებით. აქედამ ის პოლოტებს  
 წარმოსდგა, რომ ორი სტუდენტი, რომლების გვარებიც ერ-  
 თად ისხდა რამკაში, პირიბასს სდებდენ ერთმანერთში, რომ  
 ერთი მათგანი წასულიყო გონღრულებიაში და თავის გვართან  
 ერთად წაუსვლელი სტუდენტის გვარიც ჩუმიად ამოელა. ამ ჰს-  
 ტარს სიკეთეს უზამდა ხოლმე ერთი სტუდენტი მეორეს, იმის-  
 თვის, რომ ეს სიკეთე შემდეგ იმასაც გადაეხადნა. ხსენებულს  
 კვირას ამისთანა ეშმაგობის წყალობით მეს გონღრულებიაში არ  
 წავუდი.

თქვენ მეტყვით, რომ ადვილად შემქმლთ თავის გამარ-  
 თლებს იმით, რომ მე იმ კვირას გონღრულებიაში არ ვიყავ. ეს  
 ადვილი არ იყო, ჩემო მკითხველო. პირველად იმისთვის, რომ  
 არ შემქმლთ დამკსახელებინს ის ადვილი, სადაც იმ კვირას ვი-  
 ყავ. თუ გინდ რომ ასეც მოგქცეულიყავ არა მგონია თუ გამა-  
 მართლებდენ, რადგანაც ხსენებული კვირა ბილიარდის თამაშო-  
 ბაში გავატარე ერთს ჩემს ამხანაგთან, რომელსაც ამ თამაშო-

ბაში ვეჯობობდი. ეს ვაჯობობს ძვირად დამიჯდა. გარდა იმისა რომ ცხრა თვით სასწავლებლიდამ გამომრიცხეს და ჩემს მშობლებს შეწესება მივაყენე, — გარდა ამებისა, — მე არ შეძლებდი ჩემი უღანაშუალობა დამემტკიცებინა.

ტყუილად-და ვთქვამობდი, ვთქვამობდი და ვთქვამობდი; ჩემს თავს ველანათური ვუშეკვე. ცხრა თვის გსვლამდის უნდა მომეცადნა. ოჰ, შეცანს რომ სდომოდეს და მე ჩემის ჭკუით შემოქედნა! მე ბურს დამცირებას ავიცილებდი თავიდან; მაგრამ ბედმა სხვა ნაირად წარმართა ჩემი საქმე.

ჩანტაზიო, რომელთანაც მე წავედი, რომ ჩემი უბედურება მესმინა, სრულიად ჩემი აზრისა იყო. „ამ მდგომარეობაში გამოსვლა ძნელია, ორ-წყალ-შუა იმყოფები“, მითხრა იმან. თქვენ ყავასხანის პატრონს ვერ დაიმოწმებთ, ვერც იმ ორს თუ სამს ამხანაგს დაიმოწმებთ, რომლებიც, თქვენსაგით, კონტრელაციასში არ იყვნენ, მაგრამ იქ მყოფების რიცხვში კითხვებიან. ეს სისულელე იქნებოდეს და ვერც არათქვამს გიშეკვდიდა. ვაჟ-ვატურად აიტანე შენი უბედურება: აი ყოველივე, რაც ესტყვა თქვენ შეგიძლიანთ.“

სადილობის დრო მოვიდა; სახლში უნდა დავბრუნებულყავი. რას იტყვის მამა-ჩემი? ეს აზრი დიდიდამეკ არ მანებებდა თავს და ესტყვა კიდევ გულს მიტანჯავდა, რადგანაც მამა-ჩემის ნახვის დრო მოახლოვდა. მე თქვამობდი ძვირად-და ვითქვამობდი. „ნეტავი იმან კი არათქვამს იცოდეს და, ვთქვამობდი მე; მაგრამ თუ ეს ამბავი უკვე იცის, საქმე ცუდად იქცება!“ მე ოჯახობაში განსაკუთრებით იმისთანა ჩხუბისა მეშინიან, როგორც ცეზარისა და ნოტარიუსის წაკიდების დროს მოხდა. მე ძალიან დაღონებული დავბრუნდი შინა და ყოველისთქერი ვუამბე დედა-ჩემს და ცეზარს, რომლებიც ცდილობდნენ ნუგეში ეცათ

ჩემთვის და გაკმსნიკებინეთ. სახედნიეროდ მამა-ჩემმა ჯერ არა-  
ფერი იცოდა და სადილმა მშვიდობიანად ჩაიარა. დიდი სიც-  
ხეების დროს მამა-ჩემს ჩვეულებად ჰქონდა სადილს უკან თავის  
ოთახში შეკვლა და დიდ-ხანს მოსვენება. მე გავიმაგრე გულ<sup>ე</sup>  
და გავეყე იმას უკან, პირველად იმან ვერ შემიძინა. სწორედ  
ოთახის კარებში ვუთხარი: „მე თქენთან მოლაპარაკება მინდა,  
თუ ნებას მომცემთ.“ იმან მანიშნა, რომ ოთახში შეუყოლოდი.

საუბედუროდ, დროთა-ვითარებას ვერ შეეგვალა მამა-ჩე-  
მის ხასიათი სახლობის შესახებ მაინც. მე ვამბობ სახლობის  
შესახებ მეოჭი, ამისთვის რომ გარედ ის ისე მოღრუბლული  
და წაბ-შეკრული არ იყო ხოლმე, როგორც შინ. პირიქით,  
იგი იყო მხიარული, ტკბილი მოსაუბრე და ხანდისხან დაცინ-  
ვაც უყვარდა. ამის გამო ის დიდებსაც და პატარებსაც მოს-  
წონდათ. ამისათვისაც, როდესაც კი სახლობაში რამ უსიამოვ-  
ნება მოგვიხდებოდა ხოლმე და სხვები გაიგებდნენ, ყველანი მა-  
მა-ჩემს ამართლებდნენ და ჩვენ კი ვკამტყუნებდნენ. „როგორ მე-  
ცოდება, რომ იმისთანა საუკარელს ვაცს იმისთანა ჯიუტი შვი-  
ლები ჰყვანანო“, ამბობდნენ ხოლმე მეზობლები.

მამა-ჩემმა, როგორც გითხარი, ცუხარის ავად-მყოფო-  
ბის შემდეგ უფრო ცუდი ვხე დაიჭირა. იმის შუბლი ყოველ-  
თვის მოკმუნხული იყო. ყოველი იმის სიტყვა, როდესაც კი  
იმასთან ლაპარაკის შემთხვევა გვეძლეოდა, შესაძლო იყო სავსე.  
იმის შიშით, რომ ის არ გაგვეჯავრებინა, ან რამე უსიამოვ-  
ნების მიზეზი არ მიგვევა, ჩვენ ყოველთვის ჩუმად ვიყავით,  
ლაპარაკში არავითარს მონაწილეობას არ ვიღებდით. ამისთანა  
მდგომარეობამ დაბადა ჩვენში ერთი-ერთმანერთის მორიდება ჭ-  
კრძალვა, ასე რომ მე იმოდენა გამბედაობა არა მქონდა, რომ  
მამა-ჩემთან თამამად მელაპარაკნა.

— რა გინდა? მითხრა იმან ციკად და დადგა შუა ოთახში, თითქოს ამით მანიშნებდა, რომ მოკლედ მოქცა, რაც სათქმელი მქონდა. მე დავიწყე კრძალულებით:

— მე დღეს დილით წერილი მივიღე, რომლის შინაარსიც ვაღდებულდი ვარ შეკატყობინათ. მინდა, რომ ეს ურამოვნო ამბავი....

— შეაკვალს თავი დახნებე, მითხრა მამამ:— შენ დიდი ხანია შემახვიე იმ აზრს, რომ შენგან კეთილი არავფერი გამოვა. რაშია სჯმე?

— აი წერილი, მიუღებო მე:— მკვრამ სინამ მაგის კითხვას დაიწყობდე, ნება მიბოძეთ ერთი რამ გითხრათ, სასულდობრისა, რომ, როდესაც მაგ წერილის შინაარსი გაიგოთ, გთხროთ ერთს წუთს ჩემს დახარკვასაც ყური დაუგდოთ.— მამა-ჩემმა არც ვერ მითხრა და არც არა, აიღო წერილი და საჩქაროდ გადაკითხა. შემდეგ დაასოროსოლა ხელში ქალაღდი და გაბრაზებულმა დაიყვირა: «შენ იქამდის არ მოისვენებ, სინამ საფლავში არ ჩამოვიან. დამეკარგე აქედამ!»

— თუ ღმერთი გწამთ, მამა, დამშვიდდი, ჯერ მეც გამიგონეთ!

— გადი მოქა აქედამ, გუბნები. შენი ყურებს აღარ შემოძლიან. მე შენს უბედობას ყურს არ დაკუგდებ.

და თვითონაც კარებისკენ წავიდა, თითქოს თვითონ უნდა ოთახიდან გავიდესო.

ჩემმა უდანაშაულობამ გამბედაობა მომიძიტა. მე ჩავდექე კარებისა და მამა-ჩემის შუა და ვუთხარ მამას: „თუ გინდ წახლით შემდეგით, ბატონო, ოღონდ ვი გამიგონეთ. მე ღირსი ვარ შემიბრალოთ და არა გამიჯავრდეთ. ნუ გეზიზღებათ მს, ვისიც გული საკმაოდ არის დატრეილი. ღმერთს გეფიცე-



ბით მე დანაშაული არა ვარ! და დავიწვე ცხარის ცრემლებით ტირილი.

— მაგით თავს ვერ შეხბრალე. განმათავისუფლე შენის ცრემლებისა და სივრუვისაგან.

— ღმერთი ხომ მოწამეა, რომ მართლაც გეუბნებით! მიუგე მე გულ-მსურვალედ. — მე დამსაჯეს იმ არეულობის გულსათვის, რომელიც კონტრელაში უკანასკნელს კვირას მოხდა და რომელზედაც მე არ დავსწრებივარ.

როგორც ვი წარმოგოსთქვი ეს სიტყვები, მაშინვე მივხვდი, რომ მოუკრეთავში გადაკედი. მე ძალიანაც მინდოდა უკან წამეღო ჩემი სიტყვები, მაგრამ გვიანდა იყო.

— შენ იქ არ იყავ? მითხრა მამახემმა დამშვიდებულის კოლოთი. — ძალიან გარგი, თუ მაგას მართლაც ამბობ, საქსე კიდევ ეშველება. შენ ადვილად შეგიძლიან დაამტკიცო, რომ იქ არ იყავ. მამ სად იყავ?

უკან დასევს აღარ შეიძლებოდა. უკელათერი უნდა მეთქვა.

— მე იქ ვიყავ, მამახემო, სადაც ყოფნა არ შემიძებოდა. მე ყოველისთვის ვიამბობთ, მაგრამ ცოტა მოტეკება უნდა იქონიოთ.

და მე გულ-წრთულად ყოველისთვის ვუამბებ. მამახემს სობრანისაგან აღარ იცოდა რა ეთქვა. იმან მითხრა, რომ მე მოურჯულელი მოთამაშე ვარ, რომ მე ფულებს ტყუილ უბრალოდ ვაბნევ, რომ მე ქალადის სათამაშო სახლებში დავგუდივარ და ამით იმის ჭაღარა თმებს და გვარს ჩირქსა ვცხობ.

მამა-ხემის ღანძლვას ყურს გულ-გრილად ვუგდებდი, რადგანაც არც ერთი ის ხაკულუკვანება არა მქონდა, რომელსაც ის მახბრალებდა. მე არც ერთი სიტყვა არ შევუბრუნე და არც ჩემს დანაშაულს ვამცირებდი. მე ცუდად მოვიქეცე და მამახე-

მის ლანძღვა ჩემთვის სასჯელი იყო. ბოლოს, სიბრძნისაგან დაღლილმა მამაჩემმა, აიღო შლიაჟა და წავიდა. მე თუძცა მამიჩემისგან ძალიან გავილანძღე, მაგრამ იმით ვნუგეშობდი, რომ დედჩემი და ჩემი ძმები დავისსენ ამ წსუბის ნახვისაგან.

მეორე დღეს მამიჩემი ანც დამლაშარკებისა და ანც შემოუსუნია; მესამე დღეს კი შემოვიდა იგი ჩემს ოთახში. „აბა“ მითხრა იმან: „გუშინ შენს საქმეს გერათუერი უშველე?“

— ჯერ გერათუერი, მიუუბე მე.

— შენ სწორედ ფილოსოფოსის გულ-დამშვიდებით უყურებ ამ საქმეს, რომელსაც შეუძლიან შემდეგ მოთმინებიდგან გამომიყვანოს, მომიგო მამა-ჩემმა ტუების კანტით.

— ნუბა თქვენი იყოს, მამა-ჩემო, მხოლოდ დარბება მომუხით, ჩამაგონეთ, მითხარით როგორ მოვიქცე და მე მზად ვარ.

— როგორც თქვენი ლაშარკიდამ სჩანს, შენ ვილასიც გულისათვის ისჯები, მაშინ, როდესაც შენ არათუერი დამნაშავე არა ყოფილხარ.

— სწორედ რომ ეგრეს. მე გამჭრიახობა არ მაკლია, ოღონდ კი დამარბე რომ თავი გავიძარტლო. ვითომ იმითი გავიძარტლო თავი, რომ იქ არ ვიყავ? ამით ხომ მთელი ქალაქის საჭოროა გავსდები.

— მაგას ვინ გეუბნება? შენ ყოველთვის აგრე იცი. შენს ქცევაში ყოველთვის სიბრძნე სჩანს. გულ-დამშვიდებით არ შეგიძლიან ლაშარკი.

რავი დავინახე, რომ მამა-ჩემი ჩემის ლაშარკით გაბრძნებულა, მე ავდექ და გავჩუმიდი, ერთი სიტყვაც აღარ ვსთქვი რა. მამიჩემმა განაგრძო: „შეიძლება ბევრი საშუალება იხმარო. პირველად, სამაზრო კამისიის წევრებთან წადი. იქნება ჭკუა-

ზედ მოვიდენ. რაკი აგრე დაგსაჟეს, იმათ არ შეუძლიანთ შენი  
გასამართლებელი საბუთები არ მოისმინონ. შენ უნდა აღვი-  
ლიდამ დაიძინა, გეუბნები, გულსელ დაკრეფილი შინ ჯდომი-  
სთანა ცუდი არასეურია.»

— ბატონი ბძანდებით, სკალკე წაკალ სამაზრო პროვინციის,  
წევრებთან.

### თ ა გ ი XIX.

ბიძა ჩემი ჯოვანი უდაბნოში ჰქადაგობს.

ესრედ, მე წაკედი კამისიის წევრებთან, მაგრამ, მერლინის  
გარდა, სხვებს არც ერთს ჩემი მიღება არ უნდოდათ. ყველა-  
ზედ თავაზიანებმა მითხრეს, რომ მიძემართა იმ წევრისათვის,  
რომელიც იმ თვეში განაგებდა უნივერსიტეტის საქმებს.

მე დამარცხებულად არ ვსთვლიდი ჩემს თავს. მე გადავწყვიტე  
ბოლომდის გამომეცადა ჩემი ბედი. რაკი ვიცოდი, რომ იმ  
ხალამოზედ უნივერსიტეტში კამისიის წევრების გრება იყო  
დანიშნული, მე ყელა მათგანს ვყარაულობდი და რა წამსაც  
რომელსამე მათგანს დაუინახავდი, მაშინვე ჩემი საქმის შესახებ  
ვეკითხებოდი. მომეტებულა მათგანი ყურსაც არ მიგდებდენ  
და მერიდებოდენ ისე, როგორც ჭირიანს, რამა სამმა კი  
რჩოდე სიტყვა მითხრეს, როგორც მაგ. «მე არაფერი არ  
შემიძლიან», — «კამისიამ გადაწყვიტა», — «ჩემს ამხანაგებს მიძა-  
რთე». ამ სიტყვებს მოსდევდა ხოლმე ერთნაირი მოძრაობა,  
რომელიც ნიშნავს: «კმარა მაგაზედ დაჰანაკიო.»

ყოველივე ჩემი კაცური ღირსება გაჭქელეს. გულიდამ  
თითქოს სისხლი მწკუთავდა. ჰგონებოდა შენი თავის სიმარ-  
თლეს და ასე კი გაქცეოდენ შენი ჯალათები, — ეს ისეთი ტან-

ჯვან, როგორც კაცი თავის დაუძინებელას მტრისთვისაც არ ისურვებს. ჩემი სული და გული ღელავდა სიბრძნით. მე ამ დღეს გავიგე, რასაც ნიშნავს სიძულვილი.

მე მაინც ჩემსას არ ვიშლია. რაღა მანდოდა რომ მქონიყო ნება მეოქვას მამიკემისთვის: «რაც კი გაცხს შეუძლიან, ყოველივე ღონისძიება ვიხმარე მეოქვა», — მე შეუთხურე ძალიან თავაზიანი წერილი, რომელშიაც ვწერდი ჩემს სიძარბოვად და ვთხოვლობდი, რომ ჩემი გამამტყუებლები ჩემთვის პირში წამოეყენებინათ. მამახემმა ეს წერილი ძალიან მოიწონა. მე ამ წერილიდამ იმდენი გოპიო ავიღე, რამდენიც გამისიაში წეკრები იყვნენ და ყველას სათითაოდ სახლში გაუგზავნე. არც ერთმა გამისიის წეკრმა ჩემს წერილზედ პასუხი არ მამცა, არც ერთმა არ შემატყობინა, რომ წერილი მიეღო.

ამ წერილმა მამახემი დროებით დააშოშმინა, იმან გადაწერა ჩემი წერილი და ყველა თავის ნაცნობს წაუკითხა. საკვირველი იყო, — მაგრამ ნამდვილად კი ასე იყო, — მამა ჩემი, რომელიც თავის დღეში არ მოგველერსებოდა, ჩვენის ნიჭიერებით ამპარტავნობდა და ბურის ოდენა ჩვენს გამარჯვებას აქლემად გახდიდა ხოლმე.

მერღინი, როგორც უკვე ვათქვი, იმ წეკრებში ერთად ერთი კაცი იყო, რომელმაც მე მიმიღო. ვგონებ მერღინი მაშინ მხიარულს გუნებაზედ იყო და ჩემთან სუძრობა უნდოდა. მერღინის სიცილი უყვარდა. ამ კაცში მაიმუნის და მგელ-გაცხასთვისება ერთმანეთში იყო არეული. ის ისე გაუომამებოდა, როგორც კატა თაგვას. იმას ჩვენ ყველანი ვძულდით, ამისთვის რომ ყმაწვილები ვიყავით. ის განზრახ იდენდა ბოროტებას, ამისთვის რომ ეს იმას ასიამოვნებდა. მაგალითად, იმის ტალანნი, სადაც ჩვენ თითო საათობით ვიჯდოდით ხოლმე, წავიხურე-

ღობით ყოველთვის დახშული იყო და წამთრობით კი ყველა მხრიდან გაღებული. იგი მაშინაც ამშვიდებდა ხოლმე სტუდენტს, როდესაც მას გადაწყვეტილი ჰქონდა მოეწერა ხელი იმ სტუდენტის გამოძრისკის ქალღმრთელად, ან როდესაც მოწყობილიცა ჰქონდა.

მერლინიმ დიდის სიამოვნებით მიძილა. «რითი შემიძლიან ვემსახურო, ბატონს ძარინას?» მკითხა მან, და ისეთი სხე მიძილა, ვითომ და სხვა ვეგონე. — «უკაცრავად, ბატონო, ჩემი გვარი — ბენონია,» — ჰო! დიად; მესსაერებს ცოტა სუსტი მსქეს (მაგარი ჰქონდა, როგორც ჩვენს) «კარგი! რითი შემიძლიან დაუხმარო ბატონს ბენონის?»

მე მივუგე, რომ იმას შეუძლიან ძალიან დიდს საქმეში დაუხმაროს, თუ მამცემდა შეძლებას, რომ ჩემი სიძარითლე დაძემტვიტებინა და გაიფანტა ის ცილის წამებანი, რომლების გულსათვისაც გამოძრისქეს.

ამ კაცმა ისე მოიკატუნა თავი, თითქო ჯერ არა იცისრანო, იმან ისე დაძიწყო ლაზარაკი თითქოს ჩემი საქმისა არათუერი იცოდეს; ასე გაშინჯეთ ის მზადაც იყო დაკერწმუნებინე, რომ ამასთანა საქმე არ მოხდებოდა. «უეჭველად», მითხრა იმან, «ეგ როგორღაც ეგრე არ უნდა იყოს!» მე იძულებული ვიყავ ყოველივე ის დაწვრილებით მუამხნა, რაც იმან ჩემზედ უკეთესად იცოდეს. მე გავათაკე მასთან საუბარი იმით, რომ გამოუცხადე ჩემი უდანაძაულობა. მერლინი მიგდებდა ყურს რაღაცა საიდუმლო დიმილით.

— შენ ისე ხათლად ლაზარაკობ, მითხრა იმან: — რომ, ესლას კი მაგონდება ის საქმე, რომელზედაც შენ მელაზარაკეცხადია, რომ თქვენ თქვენი თავი დანაძაულად არ გინდათ იცნოთ, ეგ თქვენი ნებაა. რომელი დასჯილი კაცი იქნება ისეთი

სულელი, რომ თავის თავი დანაშაუდ იცნოს? ხა! ხა! ხა! თქვენ მე მაგონებთ ჩემს უკანასკნელს საქმეს სისხლის სამართალში, სადაც არ დავიკვირებ, — ჩემს გასამართლებელს სიტუაციას დიდი გავლენა ჰქონდა. საქმე მამის მოკვლას შეესებოდა. კისიც დამცველი ვიყავ ისა მთხოვდა მხოლოდ იმაზედ მელაპარაკნა, რომ იმისთვის სასჯელი შეემსუბუქებინათ. «ღმერთმა დამიფაროს!» მიუგო მე იმას. თავის საბედნიეროდ იმან სრული ნება მამცა... და გაამართლეს.

და მურღინიმ კიდევ გაიციან და ქათამივით დაიკავანა.

სწორედ მოგახსენებთ, მე ვერ გავიგე იმის საქმე ჩემს საქმეს რაში შეესებოდა; მაგრამ მე მას მაინც არათუ ვუთხარა.

— მას შენ ამბობ, რომ დანაშაული არა ხარ? განაგრძობ მურღინიმ: თქვენ მაგის თქმის ნება გაქვსთ; მაგრამ სად არის დასამტკიცებელი საბუთები?

— უკაცრავად, ბატონო, გამამტყუნებელმა გამამტყუნებელი საბუთები არ უნდა წარმოადგინოს? უდანაშაულობას არ ამტკიცებენ: იგი მხოლოდ თქვენად აქვსთ წარმოდგენილი, — ასე არ არის?

— უოხად! კვ კარგათა სთქვი, მაგარი საბუთია, ჩემო ძვირფასო ბატონო ბენონი. კაცი პირველადვე მიხვდება, რომ შენს ძარღვებში ადოკატის სისხლი სდუღს; ჩემს გულს უხარია, რომ შენ ამ მცირე დროს განმაგლობაში აგრე დიდი ნაბიჯი წადგი წინ. რაც შეეხება შენს საქმეს, მაგაზედ იმას გეტყვი, რომ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას უკვე წარმოასთქვა, მაშასადამე შენი საქმე გათავებულა, ხა! ხა! ხა!

— მაგრამ თუ სასამართლომ ისე დასაჯა კაცი, რომ დასაჯილის საბუთები არ მოისძინა, — მაშინ?

— ეკ, ჩემო ძვირფასო, სასამართლოს თქილებზედ არის დამოკიდებული. სალსის განათლების გამატეტი ჩვენი სამშობლოს სამმართველოებსა ჰგავს; იგი არასდროს არ შესწდება და იმას გადაწყვეტილებასაც ახელანთა არა აქვს, გაიგეთ თუ არა?

— ვითქვამთ ეკ ეკრეს, მიუხედავად: მაგრამ განა განათლების გამოსია ვერ დაარღვევს თავის გადაწყვეტილებას, როდესაც ნამდვილს საბუთებს გაიგებს?

— რომ გამოსიამ თავის გადაწყვეტილება დაარღვიოს, მაგისტრის ძალიან მტკიცე საბუთების საჭირო. მხოლოდ ამას ვი ვიტყვი, რომ ერთად ერთი საშუალება დაარღვევს ჩვენს გადაწყვეტილებას: ეს ისა რომ დამისახელოთ დამნაშავეთ გუარები.

— ჩემს ამხანაგებზედ ენა მოგიტანოთ? შეეუირო მე და დავიწიე უგან, მე არ ვიცი დამნაშავენი ვინ არიან და თუ გინდა ვიდუც ვიცოდე, მე ვერაგინ ვერ ჩამადენინებს მაგისტრის საზოდარს საჭმეს.

მერღინიმ შესწევითა ალერსიანი ჯაშარაკი და თავის ბრჭყალები დამხანავა.

— შენ იცნობ დამნაშავეთ, მითხრა იმან: და თვითონ თქვენც იმით რიცხვში ურეკისართ; მაგრამ თუ გინდა ვიდუც მათს რიცხვში არ ურით ამის შემდეგ, თქვენის სამაგელის სიტყვების გამო, მათს რიცხვში ჩაითვლებით. ახლა ვი წადით, ბატონო, თქვენ ისე დაუსჯინართ, როგორც ღირსი ყოფილხართ.

რად უნდა მეთქვას იმისთვის ამისთანა უსათუქლო სიტყვების შემდეგ? მე აღარაფერი არ ვუთხარი და გამოკედი აღულებულის სულითა და გულით. მამახემს ყოველისფერი ვუამბუნუგემის ცემის მაგივრად იმან მითხრა, რომ საქმისთვის ისე ვერ მოგიჭიდნია ხელი, როგორც საჭირო იყო. ამ დღიდ-

გან მე ისე ხელ-ხელა ვიტანჯებოდი, როგორც იტანჯებოდენ წმინდანები, რომლებსაც ხელს ცეცხლზედ სწვამდენ ხელე. მამიჩემის მწარე-მწარე სიტყვები ჩემთვის ცეცხლზედ უარესი იყო. თუ რომ სახლში ცუდად იქნებოდა რამე, — დანაშაული მე ვიყავი; თუ რომ სამს დღეს ავიდრობდა, — ამის მიზეზიც მე ვიყავი, რადგანაც, მამიჩემის თქმით, ღმერთი გვსჯიდა ჩემი ცუდი ყოფიანებისათვის, ერთის სიტყვით თუ რომ ან აცოდებოდა და ან დაცხებოდა, ყოველისთვის დანაშაული მე ვიყავი. არც ერთი უქმე დღე ისე არ გაივლიდა, რომ ჩემთვის არ ეთქვა: ზოგიერთს კაცისათვის ყოველივე დღე უქმეა. თუ რომ სტოლზედ ვაძლებს ან ატმებს დანახავდა, მაშინვე იტყუადა; «შეხედეთ ბილიარდის შარებს არა ჰგვანან, აბა ღორენცის ჰგვითხეთ.»

მღვდლის ბიძაჩემის წერილმა უფრო გაცხროვლა მე და მამაჩემის შორის უკმაყოფილება. იგი ჩემთან წაიკითხეს. უფრო ცუდი ის იყო, რომ რამდენიმე დღის შემდეგ თვითონ ბიძაჩემიც მოვიდა. სხვათა ნაკლულეკანებათა შორის იმას ჰქონდა კიდევ ერთი ნაკლულეკანება, რომელიც წინად დამავიწყდა და ვერ გითხარი, სახელდობრ: იგი თქვამდა, რომ ერთი იმის დანახვა საკმაო იყო წესიერების აღსადგენად. გაჭირვების დროს იგი ხშირად იტყუადა ხელე; «მე თვითონ წავალ!»

მე მგონია, რომ იმის სახით თვითონ ეშმაკი მოვიდა ჩვენს სახლში. მღვდელი ყოველ დღე მიკითხავდა დაუსრულებულს ქადაგებას და ჩემდა საჭეზურად უნდა გითხრათ, რომ იმის ქადაგებას დიდის სულგრძელებით ვისმენდი. ხანდისხან კი, მოთმინებიდამ გამოსული, მეც სიტყვას შეკუბრუნებდი ხელე, მაშინ ის გაცხარდებოდა ხელე და იფიცავდა ყველა წმინდანებს, რომ იგი თავის საცხროვებელს სხვას დაუმტკიცებს და ჩვენ კი



გლახებად დაკავებდა. მამახვილც თავის მხრივ გამოგვიცხადებდა ხოლმე, რომ დაგვანებებს თავს და სოფელში წავა.

ეს ამბები ჩვენ ყველას გააწუხებდა და განსაკუთრებით საწყალს დედაჩემს. დედაჩემი დაუცხრომელად ცდილობდა ჩემს ნუგეშის-ცემას ისე, როგორც ცეზარი, ქანტაზიო და ბიძაჩემი ჯოჯანი, რომელმაც ჩემი მხარე დაიჭირა და ჩემს საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. მაგრამ იმისი თანაგრძნობა შხამით სავსე სტაქანში ჩაშვებულს თაველის წვეთს ჰკავდა. სახლში ყოფნა მამძულდა და ერთს სადილსა და ვახშამს თუ ვჭამდი შინ, თორემ დანარჩენ დროს ან ქანტაზიოსთან და ან ბიძაჩემ ჯოჯანისთან ვატარებდი. «გამხსენდი საყვარელო ბავშვო», მეუბნებოდა ხოლმე ეს კეთილი ნათესავი, როდესაც შემატყუებდა რომ სასოწარკვეთილებას ვეძლეოდი..

„იდექ ისე, ვითა ციხე მაგარი,

რომელსაც ვერაზს ავნებს ქარი“.

ნუ ათქმევინებ იმ ვაგლახს მერლინის და იმის გამძვინიას, რომ შენ სასოწარკვეთილებამდის მიგიყვანეს. ინუგეშე იმით, რომ შენ იმათზედ ათასწილად უკეთესი ხარ.

—ოხ, ბიძა ჩემო, ნეტავი ვი შეძელოს ნამდვილად იმათი ჯავრის ამოყრას და სხვა არა მინდარა.

—მერე იმით რა მოგემატებოდა? თუ გინდ რომ ვიდრე თავები დასჭრა ვამისიის ყველა წევრებს, რა გამოვიდოდა. მოკლეულის მერლინის მაგივრად ათასი სხვა გამოჩნდებოდა. მერლინი და გამძვინია—ხის ნაყოფები არიან; ბოროტებს ვი თვასებში იმალება.

დიდება დმერთს, ბოლოს ძველელი ბიძა ჩემი წავიდა და მეც გულზედ მომეშვა. რაკი ცხრა თვე უსაქმოდ უნდა ვყოფილიყავ, მე ვცდილობდი რამე საქმე გამეჩინა. მე დავიწყე ლექსე-

ბის, კომედიების და ტრაგედიების წერა. მათი შინაარსი სულ ერთი და იგივე იყო. ყუელგან მართალი კაცი იბრძოდა; დანაგრუელთ ესაჩხლებოდა, მაგრამ მაინც მარცხდებოდა. მე გამკულუბული კვითხულობდი იტალიურად და თურანციცულად გადმოთარგმნილს შექაზიბის, ჭოტკის და შილერის თხუზულებებს. ჩემს გულის განსაკუთრებით შილერი უფრო იზიდავდა. მე დიდის აღტაცებით კვითხულობდი იმის ყმაწვილობის დროს დაწერილს თხუზულებებს, როგორც მაგალითად «აუსააკებს». მე ძალიან მომწონდა ამ ტრაგედიის გმირი კარლ მორი, ეს მტერ მოყარე-აუსააკი კაცი და იმის სახე დღე და ღამ არა მშორდებოდა.

— განა ჩვენ ოცდა ოთხი მილიონი არა ვართ? ამბობდა ჭანტაზიო, — განა ჩვენ ისეთივე ჭკვიანები და ისეთივე ძამაცები არა ვართ, როგორც ბერძნები? წაიკითხეთ ჩვენი დროების ისტორია და თქვენ დაინახავთ, რა შესძლებიათ იტალიელებს, როდესაც მათ კარგი გამგებელი ჭყოლიათ. თქვენ ნახავთ გმირობის სასწაულებს, რომლებიც მოიხდინა იტალიელების ჯარმა ისპანიაში, რუსეთში და ბერგან სხვაგან.

ამისთანა გრძნობები წარმოითქვა იმ ერთგულ მეგობართა შორის, რომლების რიცხვიც კიყავით ცეზარი, სტორცა და მე. ჭანტაზიოს გულმხურვალობა სხვასაც ჭირვიით გადაედებოდა ხოლმე. სტორცა, რომელსაც სახესეოდ გულგრილობა ეტყობოდა, ჭანტაზიოს ლაპარაკმა ესლას რუელიად გაიტაცა. მხოლოდ მე არ ვეთანხმებოდი ჭანტაზიოს ზოგიერთ აზრებს. მაგრამ იმისმა მჭკვრემეტყულობამ მეც დამიმორჩილა. ამ დღიდან პოლიტიკამ შეიზურა ჩვენი გული და გონება და მარტო ამასეულა ვლავარაკობდით.

ეს ჩვენი განზრახვა გაუგებარი არ დარჩა ბიძა ჩემი ჯოვანისათვის, რომელსაც როცა ვლავარაკობდი მთავრობას უძა-

რთებულა და ცხარე სატყეობით ვიხსენიებდი ხოლმე. იგი ცდილობდა ჩემს დაშოშმინებას. «შენ ისე ვერა ხედავ საჭმეს», მტყუადა ხოლმე იგი ხანდისხან, «როგორც ნამდვილად არის. მოხუცებულნიც უკმაყოფილონი არიან მთავრობისგან, მაგრამ იქნება გგონია, რომ ეს თავისუფლების სიუკარულით მოსდით? იგინი უკმაყოფილონი არიან იმისთვის რომ თვითონ სწადიანთ სახელმწიფოს განაგებდენ. უმაწვილი თავადები კიდევ სულ ცხენებზედ და საუკარლებზედ ფიქრობენ. დანარჩენი წოდების ხალხიც სულ გამდიდრებაზედ ფიქრობს. თავის «მე» მათი ღმერთი გამხდარა.

— ხალხი?

— მე ესაა ხალხზედ ვილაპარაკებ. ხალხი გაუნათლებელია და ცრუმორწმუნე (რასაკვირველია ეს იმის ბრალი არ არის, მაგრამ ნამდვილი კი არის). ის დილით წირვას ისმენს, საღამოთი კი ითვრება, და ჰგონია რომ იგი არა სცოდავს არც ღმერთს და არც სვინიდისს. რა რჩება ბოლოს? ისა რომ რამდენიმე უმაწვილი კაცი, ალტაცებულნი საბერძნეთისა და რომის ისტორიით, განიზრახვენ რამე საჭმეს, მაგრამ ვერაფერს კი ვერ აკეთებენ, გარდა იმისა, რომ თვითონ ადიან საღრჩობელაზედ. ქველმოქმედების უქონლობა ჩვენი უძლურება არის. გეუიციებთ რომ ხალხის მომეტებული ნაწილი წამხდარია. ვსთქვათ შენ ესაზნდელი წყობილება დაარღვიე, იმის მაგივრად რას დააწესებდი ამისთანა ხალხის წყალობით? შენობა, რომელიც დამზალს ხეებზედ სდგას, დიდხანს ვერ გასძლებს და ერთის ხელის ვერისაგან დაიჭტეკა. ბოროტება თვით საზოგადოებაში იმალება.

— კარგი! შეკვირე მე გულმხურვალედ: — მას თვითონ ბოროტება ამოვუხრათ ძირიანად.

— შენ მართლად აძობ? მითხრა ბიძაჩემმა და შემკრთაღის სახით წამოდგა ზეზედ, — ნუ თუ გგონია რომ საზოგადოების თამაშობა ისევე შეიძლება, როგორც ბურთისა. ღმერთმანი შენ იმ გზაზედ ადგინარ, რომელიც მსხვედრულეში მიგიყვანს: (გუნიყის საგოყეთია).

— რახან არც ერთი შეიძლება და არც მერე, მას გულხელი უნდა დაკვირდეთ და დაკსხდეთ?

— მე მაგას არ გეუბნები. განათლება თვითონ მოდის, ასეთია ღვთის განგება. ზნეობითს მხარესაც, როგორც ფიზიკურსაც, თავის საიდუმლო განონები აქვს, რომელნიც ჩვენს უნებურად და ჩვენს ჩუმიდ მოქმედებენ. ამ საიდუმლო განონების წყალობით საქმე ეხლა უფრო უკეთეს მდგომარეობაშია, სინამ ამ მრმაც და ათის წლის წინად. ეხლანდელი ბეზრატება უნდა ავიტანოთ და ყოველისთვის დროს მივანდოთ. დაე უკუა ეცადოს, რომ თვითონ გაუმჯობესდეს. ეს, მხოლოდ ეს იქნება საფუძველი ჩვენის აღდგენისა. რაც შემეხება მე, ჩემო მეგობარო, იმას ვიტყვი, რომ ჩვენმა გაჭრებმა რომ წესიერი გაჭრება ისწავლონ და ხასყიდ საქონელში ერთი მრად მეტს თვას არ გვართმევდენ, — ათას წილად უკეთესი იქნება, სინამ სხარტისა და ათინის წესების შემოღება.

ბიძაჩემის ლაზარაკი ზოგი მართალი იყო და ზოგი გაზვიადებული. ამასთან ბიძაჩემს ხალხის მოძულედ კოვლიდი და ამისათვის იმის აზრს ჩემზედ იმოდენი გაკლენა არა ჰქონდა, რამოდენისაც ღირსი იყო. თუ გინდ ეს ასეც არა ყოფილიყო, მაინც ბიძაჩემის გამოცდილება და საბუთები ვერ დამარწმუნებდენ, მე ვერავის საბუთები ვერ შემარბებდენ იმ დროის წყობილებასთან.

## თავი XX.

ძველი მეგობარი განსაცდელშია. — კარაბინერების მზრუნველობა იმ მოქალაქეებზედ, რომლებიც ცივდებიან.

იტალიაში ნამდვილად მლოცველსა თუ ფარისეველებს ჩვეულებად აქვსთ — ყური უგდონ ქადაგებებს და ლოცვებს, რომლებსაც ამბობენ და კითხულობენ ყველა ეკლესიაში დიდმარხვის უკანასკნელის კვირის განმავლობაში. სტუდენტებიც ვალდებული იყვნენ უნივერსიტეტის ეკლესიაში ეკითხათ ლოცვები. რადგანაც ეს სულის მოსახანებელი დრო მასშინ დადგა, რომელსაც მე გამომრიცხეს, ამისათვის მე ამ ლოცვების კითხვას არც უნივერსიტეტის და არც სხვა ეკლესიებში არ ვესწობოდი ხოლმე.

ვერ წარმოიდგენთ ჩემს შეწუხებას, რომელსაც ერთი წლით გამომრიცხვის ვადა შესრულდა და სხვათა მოწმობათა შორის მამკითხეს მოწმობა მასზედაც, უოკელთუის დაკდიოდი ეკლესიაში ლოცვების კითხვის დროს თუ არა. საბედნიეროდ, სეკრეტარი კარგს გუნებაზედ იყო და მასწავლა რომელი გამესწორებინა შეცდომა.

ესლა, მითხრა იმან, კეთილ-მსახურთა მონასტერში ლოცვებს ისევე კითხულობენ იმათთვის, რომელნიც ბერობას აპირებენ. სახლსაცა და საჭმელსაც მუქთად მოგცემენ — (როგორც მუქთად! ჩვეულებისამებრ, წინდა-წინვე უნდა შეგეტანა ფასი, რომელიც უხვად აჯილდოვებდა მათს სტუმრის მოყვარეობას). — თუ რომ იქილამ მოიტანო მოწმობას, დაუბრკოლებლივ მიგიღებენ. მე სეკრეტარს მადლობა გადაუხსადე და მასშინვე

წაკედი ხსენებულს მონასტერში, სადაც ადვილად მიმიღეს და  
 ოთხი დღე და ღამე სულ იქ ვიყავი.

ერთს სადამოს, — მისულის მეორე დღეს, მე დავეწაწა  
 ლოცვების კითხვას. დაჩოქილი ლოცვას უურს ვუგებდი. უეტ-  
 რად დავეანკაღდი, რომესაც მომესმა ხმა! «არ დაიძრათ, მი-  
 ხრას იმ ხმამ,» მე ვადონი ვარ. მე მიინდა მოგელოება. ამ-  
 ღამე შენი ოთახის კარები ღია გაუშვი. მითხარით რომელს  
 ტაღანში და რომელს ოთახში სცხორებთ» მეორე ეტაყ-  
 ში, მარჯვნივ, მივუბე მე.

მეოთხეულს ეხსომება, რომ ვადონი ერთი ჩემი ამხანაგ-  
 თაგანი იყო, რომელიც თავებზედ ნადირობდა ხოლმე. სასწა-  
 ლებლიდამ გამოსულის შემდეგ მე იმას იშვიათად ვხვდებოდი;  
 შემდეგ სრულიად დამეკარგა თვალიდამ, ასე რომ აღარც კი  
 მეგონა თუ ცოცხალი იყო, ამისთვის უეტრად იმისმა ნახვამ  
 ცნობის მოყვარეობა აღმიძრა; მე იმას დიდხანს ველოდი და  
 თვალები არ დამიხუჭნია. იმისმა თერმკრთაღმა სახემ და ჩა-  
 ცვიენულმა თვალებმა შემატყობინეს, რომ იმას ცუდი საქმე  
 უნდა მოხდომოდა. ჩვენი საუბარი ორს საათს გაგრძელდა. მე  
 მოკლედ ვიამბობთ ამ ამბავს.

რაც ამბავი ვადონს მოხდენოდა, იმისთანა ამბავი ეხლაც  
 ბევრს უმაწვილს კაცს მოსდის. იმას არც დედა ჭყავდა და არც  
 მამა. ერთად ერთი ნათესავი იმას მტარვალთ ბიძა ჭყავდა, რომ-  
 ელსაც მიუკედლა სკოლიდამ გამორიცხვის შემდეგ. ეს ბიძა,  
 რომელიც ძუნწი, სასტიკი და გულ-გაქვავებული კაცი იყო,  
 ყოველს ლუკმა ზურს შხამად ადენდა. მართლაც, სამწუხარო  
 იყო ამ უმაწვილის კაცის მდგომარეობა! იმის ბიძის ნაცნობები  
 მხოლოდ მღვდლები და ბერები იყვნენ და ვადონი ერთ ამ ბერ-  
 თაგანს ძალიან დაუძეგობრდა. ვადონი თან და თან გაუძეგობ-

რდა დანარჩენს ბერებსაც და ძალიან შეუყვარდა მონასტრის გამგებულს. იქ ვადონს ყველაფერი კარგად და წესიერად ეჩვენა, ასე რომ ბიძასთან ცხოვრებას ჯოჯოხეთად სთვლიდა და აქ ცხოვრებას ვი სამოთხეთ. ვადონს სუსტი ხასიათი ჰქონდა, ახალი ძეგობრები უფრო უცხოვლებდნ მას სარწმუნოებრივს გრძნობას; ისინი ეუბნებოდნ, რომ შენ ღვთის განგებამ გამოგარიცხვინა სასწავლებლიდან, რომ უოკულივე ქვეყნიური დაგვივიწყნა და სულის საქმეს შესდგომოდინ; ერთის სიტყვით იმით ისე წაიყვანეს საქმე, რომ ვადონმა განიზრახა ბერად შედგომა. ბიძამაც ხელი მოუძარტა და საწყალი ვადონი ოცის წლისა იყო, რომდესაც ბერად შედგა

ექვს თვეს მონასტერში ცხოვრებამ იმას თვალები აუხილეს, ის ბერობისათვის არ იყო დაბადებული. ის ოცნება, რომელმაც ბერობა ატვირთებინა მას, სრულიად გაიფანტა და ყველაფერი დაწვრილებით გაიგო. იგი წავიდა მონასტრის გამგებულთან და გამოუცხადა, რომ მიეტანება დაწვრუნებოდა წუთი სოფელს; ეს ამბავი არათურად ეჭაშნიკა მონასტრის უფროსს, რომელსაც ძალიან უნდოდა რომ ვადონი ბერად შემდგარიყო.

მოხუცი ვადონის გულს უოკულთვის ორი საგანი აღელვებდა: თულის სიყვარული და ჯოჯოხეთის შიში. რომ იმას თავის ანგარება დაეკმაყოფილებინა და ამასთანვე ეშმაკის ბრჭყალებს ასცდებოდა, იმან განიზრახა მთელი თავის საცხოვრებელი შეეწირა ხსენებული მონასტრისათვის იმ პირობით, რომ ამ მონასტრის გამგებულს დაერწმუნებინა უმაწვილი ვადონი ბერათ შედგომაზედ. მოხუცს ვადონის ჯერ კიდევ ეშინოდა ქვეყნის უაყანისა, რისაგამოც ვერ გაბედა არ მიეტანა უმაწვილის ვადონისათვის თავის ქონება. რაკი უმაწვილი ვადონი ბერად შედგა, ამისათვის თვითონ იმას პირადად არ შეეძლო მეძვიდრეობის მიღება, მაგრამ

იმ საზოგადოებას, რომელსაც ის ეკუთვნოდა, შეეძლო მძიმე-  
დროების მიღება. ასეთი პირობა იყო და ეს პირობა უმაწვილს  
კადონის შეატყობინა ერთმა ბერმა, რომელიც ამ ცოტახნის  
წინათ მოძვედარყო. ეს პირობა გაეგონა მოძვედარს ბერს  
იმ დროს, როდესაც ის სულს ებრძოდა და მოხუცებული კა-  
დონი და მონასტრის გამგებელი კი თავს ადგენ მას და ამ  
პირობასზედ ლაპარაკობდენ. ამის შემდეგ მკითხველი თვითონაც  
მისვდება თუ მონასტრის გამგებელი უმაწვილს კადონის ხელი-  
დამ რად არ უშვებდა.

უმაწვილი კადონის მონასტერში დასადგომად უოკელიკე  
დონისძიება იხმარეს: დარიგება, თხრობა, ალერსი და მუქარა,  
მაგრამ უკუაბრუნდა ამოდ ჩაიარა. მაშინ უმაწვილს კადონის უა-  
რულები მიუჩინეს რომ მონასტრის გარეშე ხალხთან და ასე  
გაშინჯეთ ბიძასთანაც არაფერი კავშირი არა ჰქონოდა. ამაკე  
დროს უკუაბრუნდა მხელს საჭმეს იმას აკეთებინებდენ და სხვათა მო-  
რის ეს სასჯელიც განუწყესეს, რომ უოკელ დღე იატაკზედ რა-  
მდენჯერმე ენით ჯვარი გამოესახა. სასმელ-საჭმელიც შეუმცო-  
რეს; უკუაბრუნდა წიგნები წაართვეს; ერთის სიტყვით სამწუხარო  
ქმნილებათ გადააქციეს.

ამდროს კადონის სრული წლოვანებაც ახლოვდებოდა—  
და მასთან ერთად ახლოვდებოდა ის საზარელი დრო, როდეს-  
საც მას ბერობაზედ სურვილი უნდა განეცხადებინა. უკანასკნე-  
ლად მონასტრის უფროსმა კიდევ სცადა იგი ბერობაზედ და-  
უთანხმებინა, მაგრამ კიდევ ამოდ. მაშინ იგი ჩააგდეს დედა-  
მიწაში გათხრილს საპურობილეში, რომელსაც მკვდარის კაცის თა-  
ვისაგან გაკეთებული ლამაზა ანათებდა. იმის საჭმელი ხმელი  
პური და წყალი იყო; ღოგინად—ხამჭა. ღამ-ღამობით იმას  
ჯაჭვების ჩხარა-ჩხურით და საუკუნო ტანჯვით და შეჩვენებით  
აშინებდენ.



საწყაღს ვადონის ვერ აეტანა ასეთი მდგომარეობა. იმას უთხრა გამოეშვათ და აღთქმა მიეცა, რომ რასაც ეტყოდნენ უკუაღუერს აასრულებდა.— „ერთი თვის შემდეგ“, მითხრა იმან გრძელი ამბის შემდეგ: „მე სრული წლოვანი გავხდები და... ბერად შევხდები. დიაღ, მე ვგრძნობ, რომ წინააღმდეგობა არ შემიძლიან. მე ბრძოლისათვის არ ვარ დახლებული. ამით მამაჭკუიანეს, გამოეღეს, გამამტკერეს, მე დავიღუპები, თუ შენ არ გადამარჩენ. რადესაც მე შენ დაგინახე, ჩემ გულში იმედის ნახერწყალმა კიდევ გაიფლავა. მხოლოდ შენ შეგიძლიან ჩემი დაღსნა.“

მაგრამ რას ვუშუქავდი მე საწყალი ღარიბი სტუდენტი, რომელსაც არც ფული მიქონდა და არც ხმა საზოგადოებაში. ვადონიმ შეადგინა პლანი, რომელიც მე უნდა აღსრულებოდა მომეყვანა. მე უნდა მიმეტანა იმისთვის ტანისამოსი, თოკის კიბე და ამერიკაში გემით გამეგზავნა. მე უთხარი რომ ამ პლანის აღსრულება არ შემიძლიან მეთქი. მე შევეცადე გამემხნეებინა იგი, რომ ბერების სურვილს წინააღმდეგობა დამეხდა, მაგრამ ამოდ.— „მე სამუდამოდ დაღუპული ვარ“. მითხრა იმან განწირულის ხმით: „მინდა რომ მუკანდეს კაცი ჩემის უძლურების დასაცუკლავდ. მე ბრძოლა აღარ შემიძლიან. მე ვგრძნობ, რომ ნახევარ საათსაც რომ კიდევ ჩამავდონ, საზურობილეში სრულიად ბოლო მომეღება.“

— თუ გინდა მე ბიძა-შენს ვნახავ, უთხარი მე.— მისწერეთ იმას წერილი, მე წავიღებ. მე მოკვლავაჩაყები მას და უკუკვლავად დონის-მიებას ვიხმარებ, რომ აქედამ გაგიყვანოს.

— ვსცადეთ, მომიგო ვადონიმ განწირულებით:— ხვალ საღამომად, ეკლესიაში, წერილს მოგცემთ. მე წერილისაგან არაფერს შეკლავს არ მოკვლი, მაგრამ მაინც ვადსუნეთ ღმერთ-

თი. თქვენ მე ყოველთვის გულკეთილად მექცეოდით. მე რომ უხეირო ბერი ვიქნები — ეს ნამდვილია, მაგრამ იმედი მაქვს უხეირო მეგობარი არასდროს არ ვიყო. მეორე საღამოს იმან მომცა წერილი და გულ-სუკდიანი გამოველ მოხასტრიდამ.

იმასვე დღეს ვადონის ბიძასთან წავედი, მაგრამ შინ არ დამხვდა. მეორე დღესაც მივედი, მაინც ვიდეკე შინ არ დამხვდა. მაშინ ვადონის წერილი გაკუშვი სახლში, რომელზედაც დავაწერე, რომ თქვენთან მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს თქვენთვის წულის შესახებ მეთქი. ბოლოს, სწორედ იმ დროს, როდესაც მესამედ ვაპრობდი მასთან წასვლას, მივიღე იმის წერილი, რომელიც თავისთან მისვლას მთხოვდა. დანიშნულს დროზე წავედი. მე დამხვდა კაცი სამოც-და-ათის წლისა, გამხმარი და გაუკითხველი, როგორც ეტრადი. შევხვედი თუ არა მას, მაშინვე შევტყუე, რომ ჩემი მეგობრისთვის ვერაფერს ვაკარგობდი.

— თქვენ ვარჯილხართ, ბატონო, და მოგიტანიათ ჩემთვის წერილი, რომლის შინაარსიც გეცოდინებათ (უკანასკნელს სიტყვებზედ მან ხმა აუმაღლა). თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ხაირად გამაკვირვა ამ წერილმა, როდესაც წავიკითხე ეს მეორე წერილი, რომელიც მივიღე დღეს ჩემის ძმისწულისაგან და ძლიანაც მასიამოვნა.

მე ავიღე წერილი და წავიკითხე. ეს ნამდვილად ვადონის წერილი იყო. იგი სწერდა, რომ ვნახობ წინანდელის წერილის გამოგზავნას, იმის წერის დროს სხვა გუნებაზედ ვიყავი; ესლა გულის წმინდითა გწერთ, რომ ვიტვირთებ ამ წოდებას, რომელიც ჩემის ნებით ამოვირჩიე.

— მე არ შევხები, დაუმატა მოხუცმა, ჩემის ძმის-წულის გზავნის არეკას, რომელზედაც წერილიცა მწერდა. მე და-

წმენებულები ვარ, რომ თქვენ ჩემის ძმისწულის საქმეში არ გეკრძალოდით, რადგანაც ვიცი გეცოდინებათ, რა ძნელია სულის საქმეში გარკვა.

ამის შემდეგ იმან თავი დამიკრა და კარებადის მიმაცხილა, რისაგამოც ვადონებედ კელარაფერი კელაზარაკე. ცხადად სჩანდა, რომ საწყალი ვადონი საზურობილეში ჩაკვდოთ და ძალით ეთქმევიანებინათ ბერობაზედ სურვილი. ერთი თვის უკან ნამდვილად გავიგე, რომ ვადონი ბერად შემდგარიყო.

ჩემი მეორე შემთხვევა, რომელიც ასე სამწუნარო არ იყო, საგულისხმო არის. მთელი ქალაქი ორი კვირის განმავალაობაში ჯაზარაკობდა ერთს საკვირველს სერენადაზედ, რომელიც აღარ მახსოვს, ვისთვის მზადდებოდა. ჭანტაშიომი მოინდომა იმის მოსმენა: მე და ცეზარსაც მამამ ნება მოგვცა იმასთან ერთად წავსულიყავით. სერენადა კარგი იყო, მაგრამ ხომ მოგვხსენებათ ვაცს ბეგრჯელ კარგიც სწყინდება. ჩვენც ორჯელ მოვისმინეთ მუსიკა და მოგვწყინდა. „ცოტა გავისეინოთ“ სთქვა ჭანტაშიომი. ჩვენ მოუვიდეთ სიგარებს და წავკედით. დღესათ მშენიერი ნათელი ღამე იყო, მთვარე უხვად ახეკდა სხივებს წმინდა მარიაძის ეკლესიას და კერცხლის ფრად ჭებრავდა ზღვის ტალღებს. ჩვენ გაგვიტაცა ამ მშენიერმა ღამემ და დავიწყეთ ხიდზედ სიარული. ღამის პირველი საათი იყო. ორი მიმავალი კარაბინელი შესდგა და დაიწყეს ცქერა.

კარაბინელებს მართებლობა კარგის თვალთ უყუდებდა; იგინი მთავრობისაგან კარგს ჯამაგირს იღებდენ და ასრულებდენ უძალესის პოლიციის თანამდებობას (მაღალსა და დაბალს პოლიციას რიცხვი არა ჭქონდა). მართებლობას ისინი უყვარდა, მაგრამ ხალხს ვი სძულდა. იგინი ყოველთვის ორ-ოცნი დადიო-

ღენ ბერის ტანისამოსით და სახეზედ თავაზიანობა ეტყობოდათ, თუძცა გულთ ვი მურტაღნი იუვენ. განსაკუთრებით იგინი სდევნიდენ იმ სტუდენტებს, რომელთაც 1821 წ. არეულობაში მიიღეს მონაწილეობა. კარაბინერები ეხლაც ბერნი არიან, მაგრამ საბედოლოდ ისინი ეხლა ცოტა არ არის გამოიცვალენ.

ჩვენ განვაგრძეთ სეირნი და სიგარის წევა. ამ დროს კარაბინერები პირ-და-პირ ჩვენთან მოვიდენ.

— თქვენ აქ რას აკეთებთ? გვითხრა ერთმა იმთგანმა.

— ვსეირნობთ.

— ეხლა რა დროს სეირნობას.

— ამისთანა მშვენიერ ღამეს უოკულთვის დრო არის.

— ღამე ძილისთვის არის გაჩენილი, მოგვიგო კარაბინერმა: — თქვენ უკეთესს იზამთ, წახვიდეთ და დაიძინოთ.

— ჩვენ არ გვეძინება, მიუგოთ ყველამ.

— სულ ერთია, გვითხრა კარაბინერმა: — კარგს იზამთ, რომ შინ წახვიდეთ.

— გვიბრძანებთ?

— დიაღ, გვითხრეს იმათ.

— თქვენს ბრძანებას რომ უური არ ვუგდოთ?

— მაშინ იმუჯებულვი ვიქნებით პოლიციისში წაგყვანოთ.

რა უნდა გვექნას? მივიყვანოთ ისინი იქამდის, რომ პოლიციისში წაგყვანონ და მით შევაწუხოთ ჩვენი მშობლები? წახვიდეთ პოლიციისში იმისთვის, რომ ხვალ მკვასხე-მკვასხე სიტუებები გვითხრან და მერე შინ გაგვგზავნონ? აქ არათუკი სასიამოვნო არ იყო. უკეთესი იყო დაკომარხილებოდიოთ მათ და კიდევ დაკომარხილებოთ და წაუკდით ხიდიდამ ქალაქში; კარაბინებიც თქვ-და-ხეხ უკან მოგვდევდენ, რომლებსთვისაც ვნატობოდიოთ დედა-მიწა გამსკლარყო და თან ჩაეტანა.

## თ ა გ ი XXI

მოკლე განხილვა პიემონტის მდგომარეობისა კონსტიტუციის დაწესებამდის

პიემონტი იტანჯებოდა მართველობისაგან. სამხედრო გუბერნატორები და კომენდანტები ისე იქცეოდნენ, როგორც სურდათ: სამოქალაქო და სამხედრო მართმსაჯულება ხელში ეჭირათ და რაც უნდოდათ იმას სჩადიოდნენ. ერთს ამბავს გაიმბობთ და იქიდან გაიგებთ, თუ რა კოჭები იყვნენ ეს კაცები. ერთმა გენუის მოქალაქემ არ მოიხადა ქუდი იმ დროს, როდესაც გორილის კარეტამ გამოიარა: გუბერნატორმა იმავე წამს დაუძახა მას, გალანძლა და გადაუგდო ქუდი. გამოჩნდა, რომ ეს მოქალაქე დიდი გვარის კაცი იყო და პირად იცნობდა რუსეთის ხელმწიფეს ალექსანდრე I-ს, რომელთანაც იგი ხშირად დაიარებოდა. უმაღლესის ქომავის წყალობით იგი დააკმაყოფილეს იმით, რომ ის გუბერნატორი გენუიდან სხვა საგუბერნატორში გადაიყვანეს. რამდენი ამისთანა და ამისევე უარესი საქმეები ხდებოდა და დამნაშავენი კი არ ისჯებოდნენ.

პატარა ქალაქის კომენდანტების უფლებაც ისე განუსაზღვრელი იყო, როგორც გუბერნატორებისა და ისევე სტანჯავდნენ ხალხს, როგორც უკანასკნელნი. დიდ ქალაქებში თვითუფლი პირა თავს არიდებდა კომენდანტს, პატარა ქალაქებში კი კერა, რადგანაც კომენდანტმა თითქმის ყველას სახელი და გვარი იცოდა და დიდ ცოდვად სთვლიდნენ. კომენდანტები დიდს დანაშაულად სთვლიდნენ, თუ მოქალაქე ვინმე უბრალო სამხედრო კაცს გვერდზედ გაუკლავდა და ქუდს არ მოუხდიდა.

სამხედრო სამმართველოს შემდეგ სასულიერო წოდება

იყო—უკუდასრულდნების ბერები და განსაკუთრებით იეზუიტები. ამ იეზუიტებს მთელს სახელმწიფოში ჰქონდათ ფესვი გადაღებული. მათი სამუდამო ბანაკი იყო კოგერი, ნიჭა, ალსტი, შემბერი, ტერინი და გენუა. თავი-და-თავი მათი ბანაკი უკანასკნელი რჩეული ქალაქი იყო. ამას გარდა მათ ეძღვრებოდნენ ქალებისა და კაცებისა ჰატარ-ჰატარა საზოგადოებანი. ხალხის განათლებას მათ ხელში ჩაიგდეს. უნივერსიტეტები, კოლეგიები და სკოლები იმათ უფლების ქვეშ იყო. იეზუიტების სუნი უდიდესად დიდ-კაცებსაც და სასამართლოებსაც. ვისაც თავის გულის წადილის შესრულება უნდოდა, უსათუოდ იეზუიტების საზოგადოებას უნდა მიჰქედებოდა. აღსარებითა და მოსამსახურების მოსყიდვით, იგინი იგებდნენ სახლობის საიდუმლოებას და ატყობინებდნენ პოლიციას; ამის შედეგი იყო ჩხუბი, საჩივრები და სხვა და სხვა გვარი აყალ-მყალი, რეგულაციები, მჯახობაში, ისე ხალხში. რამა იეზუიტმა გენუის პოლიციის უფროსს უთხრეს, რომ უკუდასრულ გვარ ცნობებს, რასაც კი ისურვებ, შეგატყობინებთ.

ეპისკოპოსები, რომელნიც იეზუიტებს ეკუთვნოდნენ, იფარავდნენ მათ და ისინიც მათს სამაგელს საქციელს ამართლებდნენ. აკვირის ეპისკოპოსმა უბრძანა ძალად წაერთმიათ დედ-მამისათვის ჰკუთხედ შემცდარი ემწვილი ურის ქალი იმ განზრახვით, რომ ვითომ იმ ქალმა ქრისტიანობის მიღება ისურვან. ამ უბედურის ქალის დედა და რჩეული ძმა, რომლების დანაშაული მარტო ის იყო, რომ ქალის დაბრუნებას თხოულობდნენ, საზურობილეში დააჭერინეს. ნიდერლანდის ადვოკატის ერთად ერთმა ქალმა შეიყვარა ერთი ემწვილი კაცი, რომელსაც, თავის ნაკლები შეძლებისა გამო, იმედი არა ჰქონდა, რომ იმ ქალს მიათხოვებდნენ. დიპლომატი პრეტესტანტი

იყო. ეძინებოდა ქალმა საიდუმლოდ უთხრა ერთს ქალს, რომელიც იეზუიტების მომხრე იყო, რომ აღონდ გი ჩემს საყვარელს კაცზედ გაუთხოვდე და კათოლიკობას მივიღებო, — და ამისათვის იგი მოიტაცეს დედ-მამის სახლიდან. დიდი ხნის ძებნის შემდეგ, გაიგეს, რომ გაქცეული ქალი მოლოზნების მოვარკულობის ქვეშ იმყოფებოდა; მთავრობის ცდამაც კერ დააბრუნა ის ქალი თავის დედ-მამის სახლში.

კანონების შესახებ საკმარა ითქვას, რომ იმის საფუძვლად 1770 წლის დადგინებანი იყვნენ. გორგოლმა ვიქტორ ეძინებოდა, რომლისაგან კვალად ავიდა ტახტზედ 1814 წ., აღადგინა მათი ძალა წინააღმდეგ საფრანგეთის კანონებისა, რომლებსაც იტალიაში ხმარობდნენ 1790 წ. ამ კანონების აღდგინებამ წასქეზა ბერები, მღვდლები და სხვა. წვალება შემდეგში გადაადგეს, მაგრამ დადაღვა, დაღრჩობის წინად ხელების დაჭრა და სხვ. ისევე დარჩა. ასეთი იყო ვიქტორ ეძინებოდას რეფორმები. ეს სუსტი ხელმწიფე ამბობდა ხოლმე: „მე თხოთმეტი წელწინა დეძინაო“, ე. ი. საფრანგეთისაგან პიემონტის დაჭერის დროს. ამას მეტის-მეტად ეჭვარებოდა ფრანცუზები. იმან უბრძანა დაეგრიათ მშვენიერი ხიდი, რომელიც ნაპოლეონისაგან მდინარე პოზედ იყო აშენებული. ერთი ჩინოვნიკი სამსახურიდან იმისთვის გამოაგდეს, რომ ერთს ასოს ფრანციცულად სვამდა და არა იტალიურად.

თვით მნებულობამ და არმყოფამ დაიჭირა მართლმსაჯულობის აღდგენი და ბევრჯულ სასამართლოს კანონიერს გადაწვეტილებას კარგლი დაარღვევდა ხოლმე. ერთი სიტყვით თუძცა კანონები იყო, მაგრამ კარგლი იმ კანონებს, რომცა უნდოდა, არღვევდა.

კერძო პირების თავისუფლებაც არ იყო დაცული. გუ-

ბერნატოს, კომენდანტს, პოლიციის უფროსს, მოძიებულ მოსამართლეს, კარაბინერს, უბრალო პოლიციელს და ჯაშუსს მოქალაქის დატუსაღების ნება ჰქონდათ. საპროცესოში ჩასმაც ადვილი იყო, მაგრამ იქიდან გამოსვლა კი ძნელი. სასამართლოს განკარგულებით გამოშვებულს ტუსაღს, მერე დღესვე იტყვიან პოლიციის უფროსის განკარგულებით. ათასი დგან ერთს ამბავს გაიმბობთ.

მარკოზის ქვრივმა \*\*\* დაუწყო საჩივარი მერსა და მუნცივიზალის სოკეტნიკს იმაზედ, რომ ვითომ იმათ იმისა საკუთრება ძალად მიუთვისებინათ. სენატმა იმის საჩივარი კანონიერად არ იცნო და პასუხის მკებელი გაამართლა. ქალმა ეს გადაწყვეტილება გვარის შეურაცხყოფად ჩათვალა. ერთხელ მერიც და მუნცივიზალის სოკეტნიკიც საპროცესოში დაატუსაღეს. ადვოკატი, რომელიც იცავდა იმათ, გაიტყა პოლიციაში და უჩვენა გადაწყვეტილება, რომლითაც ისინი გამართლებულიყვნენ. პოლიციის უფროსმა სიცილით უთხრა: სენატს ძალიან კარგად გადაუწყვიტია, მაგრამ მე უფრო უკიდ გადაწყვიტე!» ამის შემდეგ იმან ადვოკატი გამოაგდო. ეს ტუსაღები იქამდის არ განთავისუფლეს, მინამ მარკოზის ქვრივმა არ მოინდომა და იმათაც ფიცა არ მისცეს, რომ შემდეგ მაგისტანს საჭმეს აღარ ჩავიდნით.

ფოსტაში უკვლავ წერილებსა ღსნიდნენ, ამას არა ძალავდა.

ამისთანა დროს, ჩასაკვირველია, ბეჭვდაც შევიწროებული იყო ტურინში. მართებლობის სამი გაზეთი შეადგენდა დრო გამოშვებით ლიტერატურას. წიგნები თითქმის არ იბეჭდებოდნენ, პიემონტში გარდა სამეცნიერო თხზულებებისა და უხეირო რომანებისა. თვატრალური ტენზიონი სისულელემდის მიდიოდა; იმან, მაგ.,



„ნორმაში“ ამოშალა სიტუაცია თავისუფლებას. მართლაც, მის წინააღმდეგ დაწერილი წიგნის გადმოთარგმნისათვის, მთარგმნელს სჯიდენ კატორგაში გაგზავნით და ხანდისხან სიკვდილითაც. ვისაც კი ამისთანა წიგნი ექნებოდა და არ წაადგენდა მთავრობასთან რაი წლით იჭერდენ ციხეში.

მე ეხლა იმასევე არატურს ვილახარაკებ, თუ როგორ ეჭვობდნენ პოლიტიკურს დამნაშავეებს. იქნება ამ ჩემს მოთხოვნაში სადმე შეგეხონ ამ საგანს.

(შემდეგ იქნება).

საპი ძველი ვარიანტი ქართულის  
ოთხ თავისა ანუ სახარებისა. <sup>1)</sup>

სწავლულთ შორის ესა მხოლოდ გიორგი მთაწმინდელისაგან მე-XI საუკუნეში თარგმნილი ქართული სახარება არის ცნობილი. ზოგი მათგანი კი ფიქრობს, რომ სახარება არც კი იყო ქართულს ენაზე გიორგი მთაწმინდელამდე <sup>1)</sup>. ხოლო რომ სახარება უნდა ყოფილიყო გიორგიზე ადრე, საბუთად შეიძლება კაცმა მოიყვანოს: პირველად ის გარემოება, რომ გაკრძელება რომელსამე ხალხში ქრისტიანობისა, რომელსაც საფუძვლად სახარების სწავლა აქვს, საჭიროდ ხდის ამ სწავლის გადაღებას და გადათარგმნას იმ ხალხისავე ენაზე, მაგალითებრ, ბერძნულ თარგმანსაც რომ თავი დაკანებოთ, პირველსავე იქნის საუკუნეში სახარება გადათარგმნა ლათინურსა და სირიაკის ენაზე მე-V საუკუნეში იგი იქმნა გადმოთარგმნილი გოტიურად, კობტურად, ეტიოპურად და სომხურად <sup>2)</sup>; მეორედ ისა, რომ ჩვენი ქართული მატთანენი მოწმობენ, როგორც ქართულად თარგმნილ სახარებაზე მე-V საუკუნის პირველს ნახევარში მეფის არჩილის მეუღლის სანდუხტისათვის, ისე კახტანგ გორგასლანისაგან ამავე საუკუნის მეორე ნახევარში მდიდრულად მოართულს სახარების არსებობაზე, რომელიც შეძგეგ მე-VI საუკუნეში. მეფე ფარსმანს შეუწირავს შიო-მღვიმე

<sup>1)</sup> ეს რეფერატი ეკუთვნის ბ.ნს დ. ზ. ბაქრაძეს და მომზადებულია მისგან წასაკითხავად „კავკასიის არხეოლოგიურ საზოგადოების“ სხდომაზედ მომავალს სექტემბერში.

ლის ერთის მონასტერთაგანისათვის<sup>3)</sup>; მესამედ, მიწერილობა, მრავლად გაფანტული გიორგი მთაწმინდელისაგან ნათარგმნი სახარების ხელნაწერებში, რომლებშიაც ან მოხსენებულა რომ მან ხელ-ახლად გადათარგმნა წმ. სახარება, ან რომ მან მხოლოდ შეამოწმა უწინდელი თარგმანი და გაასწორა „უწინ გადათარგმნილი სახარება“.

ქართულის ოთხ-თავის ხელ-ნაწერთა შორის მე-XI საუკუნეზე უწინარესი მხოლოდ ერთი არის ცნობილი, რომელიც გადაწერილია 936 წ. მეფე სუმბათისათვის და რომელიც დაცულია ეხლა ჯრუჭის მონასტერში, იმერეთში. ეს ხელ-ნაწერთ უნასავს განსვენებულ აკადემიკოსს ბაროსეს 1848 წ. 4) უფრო უძველესი ხელ-ნაწერები სახარებისა, ვიდრე თვით ჯრუჭის მონასტრის სახარება არის, აღმოჩნდა ორი მისი ხელ-ნაწერი, რომელიც თქვენ წინ სძევს. რადგან ერთი მათგანი ნაპოვნია ქსნის ხეობაში, ხოლო მეორე (უჩუბნისში, ამისათვის მე პირველს ქსნის სახარებად მოვიხსენიებ ხოლმე და მეორეს უურბნისის სახარებად. ძალიან საინტერესოა როგორც ერთის ისე მეორის ხელ-ნაწერის თავგარდასაკალი. ქსნის ოთხ-თავი აღმოჩენილ იქმნა ერთს ახალ-გორის დანგრეულს ეკლესიათაგანში 1880 წ.; შარშან ზოგიერთა ფურცლები კიბოვე კიდეც იმისი იმავე ადგილას ეკლესიის გალავანში. რომ მას დიდი ხანი გაუტარებია ცის ქვეშ, ქარსა და წვიმის ქვეშ გდებულა, ამას თვით ამისი გარეგნობა ამტკიცებს; მაგრამ მისი უბედობა კიდეც ამით არა თავდება: თბილისში რომ იქმნა მოტანილი, ერთმა ქართულ სიძველეთა მოყვარულმა, რომლის სახელიც ჯერ აქ არ მინდა მოვიხსენო. ამოგლიჯა იქიდან ერთი ნაწილი, როგორც მე შემდეგ გავიგე, და წაიღო პეტერბურგს. ეხლანდელი მდგომარეობა ხელ-ნაწერისა ასეთია: მათეს სახარებიდგამ

8 უკანასკნელი თავის დაჩენილი, მთლად სახარება მარკოზისა, სახარება ლუკასი, გარდა IX-XVII თავისა, და სახარება იოანესი, თუ არ ჩავთვლით ძალზე დაჩენილულს და სინესტიკან ნახევრად დამზალს 8 უკანასკნელს თავს.

რაც შეეხება ურბნისის სახარებას, მან ჩვენამდე მოაღწია სრულიად კარგად შენახულმა. ფურცლებზედ მას მრავალი მინერალიზაცია აქვს, რომელიდამაც სჩანს, რომ მის პირველ-დაწყებით ,,სამშობლოდ ყოფილას ჩოროხის ატე-მარე, (ბასეინი) საიდანაც შემდეგ, ვგონებ, ჯერ საბურზაყანოში და იმერეთში გადაუტანიათ, შემდეგ უკანასკნელს ხანებში რუსეთს წაუღიათ, ხოლოდ იქიდან ურბნისში მოუტანიათ. ამ მიწერილობებში მოხსენებულ ისტორიულ პირობათა შორის უფრო ცნობილი არიან I. წევრნი ძველისა და სახელგანთის კაკასიძეების გვარისა, რომელთა საგვარეულო მამულშიაც არსებობდა შესანიშნავი ფარხალის მონასტერი. ეს მონასტერი ესლას ოსმალეთის ხელშია დაჩენილი. 2. ბუდიის მთავარ-ეპისკოპოზი ანტონ უკანიძე, რომელიც მოხსენებულას ბუდიის მე-X საუკუნის ძეგლის ზედ-წარწერაში სამურზაყანოში, 5) და 3. ქუთაისის მთავარ ეპისკოპოზი სვიმონ ჩხეიძე, რომელიც სცხორობდა მე-XVI საუკუნის დამდეგს. ეს სახარება წაუღია რუსეთში ხარჭაშელს ეპისკოპოზს გრიგოლს, რომელიც რუსეთში ყოფილას გაგზავნილი 1784 წ. მეფე ერეკლეს მინდობილობით. გრიგოლი აღარ დაბრუნებულას რუსეთიდან და გადაცვლილას ასტრახანში 7) იმის ხელთ მხედრულის ასოებით მიწერილ წარწერაში ურბნისის სახარების პირველსვე ფურცელზე ვკითხულობთ შემდეგს: ,,წელი 1798. მე მშვიდი გრიგოლ ხარჭაშელი ეპისკოპოზი ვაცხორობდი ქ. ასტრახანს და წმინდა ესე სახარება გარდაუეცა ასტრახანის წიგნთ საცავში.“ გარდა-

ცვალებს გრიგოლისა სხვათა წყაროთა მიერ, რომელნიც ჩვენ ხელში გვაქვს, ნახვენებია 1797 წელი. ცხადია, რომ ეს შეცდომაა, რადგან ამ მიწერილობიდან სჩანს, რომ ის ცოცხალი ყოფილა ჯერ ისევ 1798 წ.

ვიძეოებ, რომ ყოველივე ეჭვი შეუძლებელია როგორც ქსნის, ისე ურბნისის სახარების დროს სიძველის შესასებ: აქ საკმაოა მოგისვენოთ, რომ ორივე სახარება დაწერილია ასომთავრულის ხუცურის ასოებით. სასოგადოთ ქართული ხელნაწერები მთლად ხუცურის ასომთავრულის ანბანით დაწერილნი მე-X საუკუნის შემდეგ თითქმის. არ მოიპოვებინ მრავალ ხელნაწერთა შესწავლამ კერძოდ მე მანც დამარწმუნა, რომ მე-XI საუკუნეში ხუცური ასომთავრულ ანბანით წერა თითქმის მოსპო ყველგან საქართველოში მისგანვე წარმოდგარმა უფრო მარტივმა გაკრულმა ხელმა (ისევ-ხუცურმა). მართალია ეს უკანასკნელი ხელი წინანდელ ხელ-ნაწერბშიაც შეხვდება კაცს, მაგრამ მის ანბანს ეტყობა რომ მხოლოდ ახლად შედის ხმარებაში.

გარეგანსა და პალეოგრაფიულ ნიშნებს რომ მივაქციოთ ყურადღება, ამ ორს სახარებაში ქსნის სახარება უფრო ძველი სჩანს. ეტრადი ანუ პერგამენტი, რომელზედაც ეს სახარება არის დაწერილი, უფრო უხერხოთ არის ნაკეთები; ასოები ტალახქად გამოყვანილებია; დასაწყისი ასოები ანუ ინიციალები შემკულნი არ არიან სხვა და სხვა მხატრობით; სასოგადოთ მისი ასოები ძალიან წააგვანან ნუმიზმატების მიერ გარგად ცნობილ ასოებს სასანიდების დინასტიის დროის ფულებზედ; ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სახარებაში ნიშანიც არსადა სჩანს ხუცურის გაკრულის ხელის ასოებისა, სულ ასომთავრულით არის დაწერილი: ადვილი მნსახვედრია, რომ

ეს უკანასკნელი იმ დროს, როცა ეს სახარება დაწერილი, არა სცოდნიათ და ჯერ სულ შემოღებული არა ყოფილა. ურმნისის სახარების შესახებ უნდა ვსთქვათ შემდეგი: ყოველი გარკვეანი მისი ნიშანი და შეხედულება ერთად ამტკიცებს, რომ იგი ეკუთვნის შემდეგს დროს ქსნის სახარების დაწერისას: მისი ასოები უფრო სწორე და ლამაზი ასოებია, ინიციალები დასძულა სახარებისა და თარგმანის შემწეებით, თუმცა კი სამკუთხედით არ უსარგებლიათ მათ დასმის დროს. ამასთან ინიციალები ნახატებით არის მოწოდებული თარგმანის საღებავით, თუმცა კი ეს ინიციალებიც სილამაზით და ხელოვნებით მანტა ბეჭდად ჩამოუარდებიან მე-X-XI საუკუნის ინიციალებს; მიწერილობანი გადამწერელისა და შინაარსი თითოეულის მახარებელის მიერ დაწერილისა, მოყვანილი ამ სახარებაში, სრულიად არ მოიძებნება ქსნის სახარებაში და დაწერილიც არის გაკრულის ხუცურის ხელით ანუ წერილის ხუცურის ანბანით.

იქნება დრო ქსნის სახარების დაწერისა არის მოყვანილი რომელსამე ბეტერბურგში წაღებულ ფურცელზედ: ჩვენ ეს ჯერ არ ვიცით. ურმნისის სახარებაში კი ქორონიკონი თავშიაც არის და ბოლოშიაც ნახვენები. ორთავე ალაგას მიწერილობა, რომელშიაც მოგვითხრობს თავის თავზედ გადამწერელი, ვინმე იოანე თათანელი, თავდება სიტყვებით. «დასახამიდგან ბრი — ე. ი. 6110.» ქართულ წელთ-აღრიცხვით 6110 წ. შეთანასწორება 506 წ., ხოლო ბერძულის წელთა-თვლით 602 წელსა ქრისტეს აქეთ. აქ, მე მგონია, ჩვენ უნდა მივიღოთ უფრო ბერძული წელთ-აღრიცხვა, ამიტომ რომ ჩვენ არა ვგაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მასინ ქართველებს ჭკონდათ თავიანთი სწუთარი ქორონიკონი. საზოგადოთ, როგორც ვხედავთ, სიძველე და მოხუცებულობა ორთავ სახარე-

ზათ დიად ღირს შესანიშნავია. ქართულ მანუსკრიპტებისა და  
 ლხენაწერების-შორის, რომელნიც კი ცნობილნი არიან ევრო-  
 პაში, რუსეთში და საქართველოში, ჯერ არ არის ნახვენი  
 არც ერთი ასეთი ძველი ხელ-ნაწერი და მასთან ქორონიკო-  
 ნის აღნიშვნით, რომელიც, — აქ უნდა შევნიშნათ, — რაც უფ-  
 რთ ძველია ხელ-ნაწერი, მით უფრო იშვიათად არის ნახვენი-  
 ბი, თუმიცა უძველეს ხელ-ნაწერებში ქორონიკონებითურთ, ეს  
 უკანასკნელი აღრიცხულნი არიან ქვეყნის დასახამითგან. სამწუ-  
 ხაროდ, ურბნისის ოთხთავის ქორონიკონი ცოტა არ იყოს  
 საეჭვოა: განახლებულია გადასული ძველი ქორონიკონი, თუ  
 არა — ძველია კაცმა გადასწკეიტოს; მხოლოდ ძველი რომელი-  
 თაც ქორონიკონია დაწერილი, იგუარაკვია, რომელითაც დაწე-  
 რილია გრიგოლ ხარჭაშენელის მიწერილობა.

ასეა თუ ისე ჩვენ შევადარეთ ორთავ სახარებას, რომელც  
 ერთმანეთს, ისე გიორგი მთაწმინდელის თარგმანს, რომლის  
 რამდენიმე ძველი ეტრადზე დაწერილი ეგზემპლარია გვაქვს  
 ჩვენ ესაა ხელში და ამ შედარებაში და შემოწმებამ აღმოაჩინა  
 უოკულსაკე ეჭვ გარეშე, რომ სამივე სახარება განკერძოებულ  
 ვარიანტებს წარმოადგენენ, და იქნება სულ განკერძოებული  
 თარგმანებიც არიან, ისე ძრეულ განიჩევიან ერთმანეთ-შორის  
 და უფრო უძველესი მათ შორის შინაარსითაც არის ქსნის  
 ოთხთავი, შემდეგ ურბნისისა და ბოლოს გიორგისა.

აქ წინდაწინვე უნდა შევნიშნათ, რომ ჩვენ არა გვაქვს  
 მტკიცე ცნობა იმის შესახებ, თუ რომელ ენიდამ არის ქარ-  
 თული სახარება თავ და პირველადვე გადმოთარგმნილი; უფ-  
 რთ საფიქრებელია, რომ სომხურიდამ არის თარგმნილი, რად-  
 განაც, პირველად მასში მოიძებნება კვალი სომხურის ენის გავ-  
 ლენისა და, მეორედ, გიორგიმთაწმინდელის ცხოვრებაში, რომ-

მელმაც მოაღწია ჩვენამდე და აღწერილია ერთის მის მოწაფე-საგან, კვითხულაობთ შემდეგს: «ჩვენ თავდაპირველადვე გვქონდა წერილობანიცა და ჭეშმარიტი სარწმუნოებაცა, მაგრამ რადგან ბერძნებზედ მოშორებით ვიყავით, სომხები დაგვიძეგობრდენ, ცბიერებით მოინადირეს ჩვენი გული და ვითომ სულიერის სარგებლობისათვის, ჩვენს ხალხში ღვარძლსა სთესავდენ. მათგან გვქონდა ჩვენ ზოგიერთა წიგნებიც, მათმიერვე თარგმინიანი, მაგრამ უფაღმა ჩვენ შორის დაჭადა მერვე რქობიერი, მამა ევთიმი, რომელმაც განსწმინდა ჩვენი ქვეყანა ღვარძლისაგან სამღვთო წერილის თარგნითა, უკეთუ სომხურ ენიადამ გადათარგმნილი წიგნთა შორის ჩვენ ჩაკრიცხამთ ოთხ-თავსაც, მაშინ ამ უკანასკნელის გადმოთარგმნა უნდა მივაწერეთ იმ დროს, როცა სომხებმა დაიწყეს თარგმნა სახარებისა თავიანთ ენაზე ბერძნულიადამ, სახელდობრ მე-V საუკუნეს<sup>9)</sup> ამ მოსაზრებას საფუძველი ეძლევა ზემო-მოხსენებულის ქართულ მატრიანეთა თქმულებით.

მხოლოდ ქართული სახარების გულ-დაღებული შემოწმებით სომხურ ძველ თარგმანთან შეიძლება ცხადათ აღმოჩნდეს გავლენა სომხურის ენისა ქართულ სახარების ენის მიმოხერხაზედ და სხვა. ჩვენ აქ შევხერდებით მხოლოდ ზოგიერთა სიტყვებზედ, რომელთაც ჩვენ. თუ არ სომხურის გავლენით, სსვაფრივ ვერათურით ავხსნით. ეს სიტყვები უძველეს თარგმანიდამ შემდეგ თარგმნილ სახარების ვარიანტებშიაც შემოხარულა: პარაკად (მათეს XXVII, 32 მუხ. ესე წარიქციეს პარაკად, რათა აღიღოს ჯვარი მისი); პეროინ (ლუკასი IX, 32 და სულმან უკეთურმან შეიპყრა ევე და მეყსეულად ლაღად ყვის და დაჰკვეთის იგი და პეროინ და ძნიად განეშორის). რაჲ-ძი, ვინ-ძი (ლუკასი, I, 58) რაჲ-ძი უნ-



დეს სახელ-დებად მისა; IX, 46 ვინ-ძი იყოს უდიდეს. ამას გარდა ქსნის ოთხ-თავში ისეთი ფორმები იხილება სიტყვებისა, რომელთაც საფუძვლიანად მცოდნე ქართულის ენის თვისებისა, არ იხმარდა და რომელნიც საღარ იხმარებინ შეძლებ თარგმანებში: მუნ თქვესვე ჩარ, მეყსეულად (მათესი, V, 27; მარკოზისა I, 10; VII, 34; X, 52; XV, 1. ეს სიტყვა მხოლოდ ერთხელ შემხვდა მე გრიგოლ ღვთის-მეტყველის ქმნილებათა ხელთ-ნაწერში, რომელიც თარგნილია მე-X საუკუნეში, როცა ქართულის სახარების თარგმანი ჯერ არ იყო გასწორებული გიორგისაგან <sup>10</sup>) შოვრის, შოვრსა, განე-შოვრა, იყოფოდა, უფლებედჩარ, უფლებენ; მიეგებოდა, თაყვანისცეს, სცხომდეთ ჩარ, სცხონდეთ, ამბოვრის-ყოფად, მარჯულ და მარცხლ; ეს ორი სიტყვა «ქართლის ცხოვრებაშიაც» შეხარულა, 265 გვ. აღვიდ-აღვიდ (მარკოზისა X. 38; ლუკასი VI, 7; VII, 43; XII, 46; XIX, 11, XXI; <sup>11</sup>) 24; XXIV, 35; იოანესი, IV, 2; V, 34; II, 25; XII, 19, 21). ზოგიერთს საკუთრებითს სახელს ქსნის ოთხ-თავში სომხური ფორმები აქვს, მაგ. იოსეფ ჩარ. იოსებ (იოანესი VI, 43). იოჯანე ანუ იოვანე ჩარ. იოანე (მარკოზ., I, 29,) ნოვე, ჩარ. ნოე (ლუკა, III, 35.) შესანიშნავია, რომ სიტყვა გაპერნაუმ ქსნისაშიც და ურზნისის სახარებაშიაც ყოველთვის იწერება ამ სახით: კათარნაუმ, და არა იმ სახით, როგორც გიორგის თარგმანში და ყველა სხვა თარგმანებშიაც — ბერძნულ-ლათინურ და სლავიანურში.

ზოგიერთს ტექნიკური სიტყვები ქსნისა და ურზნისის სახარებაში განმარტებით არის მოყვანილი; მაგ. ტალანტი, რომელ არს ქანქარი (მათესი XXV, 14; დრაქმა რომელ სატირი (ლუკასი XV, 8) ჰასქაჲ, რომელ არს გნებაჲ (მათესი XXVI, 19; (იოანესი XIII, 1, XIV, 1) გიორგის თარ-

გმანში უკანასკნელი განმარტება მხოლოდ მარკოზის სახარებაშია დატოვებული სხანს რომ ესეთი განმარტება სიტყვისა ჰასქა უბკელეს ბერძნულ ტექსტებშია ც ფოფილა, რადგან გრიგოლ ღვთის-მეტყველი ერთს თავის მოძღვრებაში მკაცრად წინააღმდეგება ამ გვარ უსაბუთო <sup>11)</sup> განმარტებას, რის გამოც უსათუოდ, მოსპობილა სახარების ყველა შემდეგ ხელნაწერებში და მათ შორის გიორგის თარგმანის ხელნაწერებშიც.

ქსნის ოთხ-თავში მრავალ ალგას თარგმანი არ ეთანხმება დედანს, ბერგან შემოკლებულია და გამოტოვებულია არამც თუ მხოლოდ თითო წინადადება და ფრაზა, არამედ მთელი მუხლი, ისე რომ ეს არ აიხსნება სრულებით გადაშვრელების შეცდომით და ამასთან ყოველივე ეს გასწორებულია, ურბნისის სახარებაში; ხოლო რაც საერთოთა ორსავე სახარებაში ან შეცვლილია, ან გამოტოვებულია, ან შემოკლებულია — ყველა ესეები სრულებით გასწორებული იქმნა მე-XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელისაგან, რომელმაც განაგრძო და დაათავა სამღვთო წერილის თარგმნა, დაწყობილი ათონზე ეკთიმესაგან.

იმ ცვლილებათა რიცხვიდამ, რომელიც ორთავ სახარებაში იპოვება, ზოგიერთს მოვიხსენებ და მათ მივსჯტეკო თქვენს ყურადღებას.

1) ქსნის ოთხ თავში ყოველ სახარებას ახილებული სათაური აქვს, რომელიც ცოტათი შეცვლილია ურბნისისაში და შემდეგ ხელნაწერებში ვი სულ აღარ განიმეორებინ, სახელდობრ: ქსნისაში — სახარება მარკოზის თავისა: თავი; სახარება იოანეს თავისა: თავი; (ერთად თავი ესა და ესაო). ურბნისისაში: სახარება: მარკოზის თავი, სახარება იოანეს თავი; ამისი ცხადი აზრი ის არის, რომ ყოველი თვითოეული სახარება

რება ძველად მიღებული ქონათ, როგორც ერთი ვრცელი თავი, რომელიც იყოფოდა თავის რიგზედ კიდევ თავებად და მუხლებად. აი ამით ახსნება სიტყვა ოთხთავი, რომელიც ეწოდებოდა სახარებას ძველად და შემდეგ ქართულის მწერლობის სხვა ხელ-ნაწერებშიაც იხმარებოდა.

2) მათეს სახარებაში, თავი XXVII, მუხლი 2, არის ფრანსა: პონტი ანუ პონტოელი პილატი, ხოლო ეს სიტყვები არც ქსნისა და არც ურბნისის სახარებაში არ არის. ეტიკი არ უნდა იყოს, რომ სიტყვა პონტი, პონტოელი შეცდომით არის ხმარებული და დამკვიდრებული სახარებაში. როგორც ცნობილია, პილატეს სახელი იყო პონსი პილატი და უსათუოდ სიტყვა პონსი შეცდომით იქმნა ხმარებული რომელსამე ძველს ხელს ნაწერში პონტად და მერე იქიდან გაკრცულად მისგან გადაწერილს სხვა ხელ-ნაწერებშიაც. ყველა ჩვენგან ცნობილ სახარებებში, რომელნიც გამოცემულნი არიან ევროპიულ ენებზე, ჩვენ მხოლოდ ფრანცუზულს თარგმანში ვპოვოთ შეცვლილი სიტყვა პონტი სიტყვად პონსი.

3) ყველა ჩვენ მიერ ცნობილ სახარებაში 25 მუხლი, მკ-X თავი მარკოზის სახარებისა ასეა: უადვილეს არს აქლემ ხვრელსა ნემსისასა განსვლად, ვიდრე მდიდარი შესვლად სასუფუველსა ღმრთისასა; *удобѣ бо есть вельбуду сквозѣ иглины ушы проити, неже богату въ царствіе Божіе внити; facilius est camelum per foramen acus transire, quam divitem in regnum Dei introire*, ასევე გიორგის მიერ თარგმნილ ხელნაწერებშიაც. ქსნის სახარებაში კი ეს მუხლი სრულიად არ არის, ხოლო ურბნისისაში ასეა: უადვილეს არს მანქანისა საბელი ხვრელსა ნემსისა განსვლად... *удобѣ бо есть веревкѣ отъ клина проити...*

4) მათეს სახარებაში მოხსენებული იგავი იესო ქრისტესი (თავი-XXI, მუხლი 28-31) რძ ძეგად, გამგონზე და გაუგონარზე, რთთავე სახარებაში მოყვანილია უკუღმა, და არა ისე რეგულარულად უკუღმა სხვა შემდეგ ხელ-ნაწერებში და დაბოლოებითი მუხლი ამ იგავისა თავდება ასე: ვინ რთთა ამთგანმა ყო ნებად მამისა თვისისა. ჭრჭვეს მას: უგანასკნელმან მან, უნდა ვი ეწეროს: პირველმან მან.

5) ქსნის სახარებაში უგანასკნელი მე-XVI თავი მათეს სახარებისა თავდება მეტვე მუხლით და არა მეტით და მამასადაძე აკლია 7 შემდეგი მუხლი. ურბნისის სახარებაში ეს გამეტრებულად აღილი შეესებულა. მეტვე თავში ირანეს სახარებისა არც ქსნისაში და არც ურბნისისაში სულ არ არის პირველი ათი მუხლი.

ამ სახით, ცხადია ახლა ჩვენთვის, რათ დაიწყო გიორგიმ მე-XI საუკუნეში შემოწმება ძველ-თარგმანთა სხვათა თარგმანთა თანა და შესწორება მის დრომდე გადათარგნილი სახარება. გიორგის თარგმანი, რეგულარულად მოგვითხრობს მიწერილობას ერთის ეტრატზე დაწერილის მანუსკრიპტისა იმის დროსვე, შავ-მთაზე, ანტიოხიაში და რამდენიმე მე ვიხივე რუისის ეკლესიის შესამოსელის დასაცველ სენაკში, სამჯერ შემოწმებია თავათვე ბერძნულ თარგმანთან და ყოველიფრით კარგად არის გადმოღებული, ისე რომ არათერში არ განსხვავდება თითქმის სხვა თარგმანთაგან, ბერძნულისა, ლათინურისა ვი სლავიანურისაგან.

ყოველივე შემო ნათქვამის შემდეგ ღრმა სიძველე ხუტურის ასომთავრულ ანბანით დაწერილ ქართულ სახარებათა დღეის იქით ყოველსავე ეტვის გარეშე უნდა იყოს, და ამიტომ ფრიად სასურველია, რომ ყველა ამ გვარი მანუსკრიპტები. გაფანტუ-

ლნი საქართველს მონასტრებში და კერძო ოჯახებში, შეიკ-  
 რიბოს თბილისში, გულ-დადებით შეთანხმდეს და შედარებულ  
 იქმნას ურთიერთ-შორის და შესანიშნავი ვარიანტები მათი  
 დაიბეჭდოს პარალელურად ერთს წიგნად. ამ გვარ ვარიანტე-  
 ბის რიცხვს უნდა მიეკუთვნოს, ჩვენ გვგონია, აგრეთვე ზემოთ  
 მოხსენებულის ჯრუჭის ეგზემპლარის გარდა, ზუგდიდის ეგ-  
 ზემპლარიცა, რომელიც დაცულია იქ თ. მინგრესის წიგნი  
 საცავში (V, arch, VII, 65) მათი შედარების დიდი მნიშ-  
 ვნელობა ცხადია: ამ შედარების შემწეობით უნდა მოეთინოს,  
 პირველად, ნათელი ზოგიერთა საგნებს სახარების ისტორიულ  
 ლიტერატურისას, რომელიც დღეს შეადგენს გამოკვლევის სა-  
 განს ევროპიულ მსწავლულთათვის. (იხ. Tischendorf, *De la  
 date de nos 'Evangiles*; მეორედ უნდა განიმარტოს და  
 გამოიკვეს ბნელი საგანი ქართულ ლიტერატურის ისტორიის-  
 სა, რომელიც იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა მიუღიათ  
 სომხებს, და იქნება სირიელებსაც თავ და პირველ სამღვთო  
 წერილის თარგმანში ქართულს ენაზედ, ისე იმის შესახებ, თუ  
 რა ზედ-მოჭმელება ჰქონია სომხურსა და სირიულ ენას ქარ-  
 თულას ენის ბუნება-წყობილებაზედ, რომელიც იხატება ლექ-  
 სიკონში და ლექსათა თხზულებაში: ჩვენ არ ვიჭვნიებთ,  
 რომ სულ პირველად ქართულ მწერლობაში გადმოთარგმნილ  
 იყო სახარება და რომ მასში ხმარებული ენა ნიმუშად მიღე-  
 ბული იყო მწერალთათვის. მას ჰხადავდენ სასულიერო და საერო  
 თხზულებათა მთარგმნელები დიდხანს, რადგანაც იმ ენის გავ-  
 ლენა არ შემცირდა პირდაპირ ბერძნულის ენიდამ მე-X და XI  
 საუკუნეში გადმოთარგმნილის სამღვთო წერილის ენის შემწეო-  
 ბითაც კი. ამის გარეშე თვით მართლ-წერა უძველეს თარგმანე-  
 ბისა დაეტყუა შეიძვეს ქართულს მწერლობას და მართლ-წერის

ცვლილების ისტორიის კერძო შესწავლებას ისე თუ არმწიკდობის შესწავლით დასაწყისიდანვე.

---

I.

- 1) Кондаковъ, *Исторія визант. искусства*, Одесса, 1876, стр. 240.
- 2) Martigny, *Dictionn. des antiq. chret.*, Paris, 1877, p. 434; Langlois, *collection des. hist. armén.*, I, XXI—XXIII; Tischendorf. *De la date de nos Evangiles*, 1866, Toulouse, p. 63, 266, 270.
- 3) *Histoire de la Georgie*, I, 147, 208.
- 4) Brosset, *voyage archeol. en Georgie*, XII, 84—86.
- 5) Brosset, *voyage archeol.*, VIII, 92, 94.
- 6) *Hist. de la Geor.* II, I livr., 265, 293.
- 7) *Акты кавк. археогр. комм.*, V, 1091.

II.

- 8) *Сборникъ жизнеописаній святыхъ груз. церкви*, рукопись Шіомгвимскаго монастыря, листъ III.
- 9) Langlois, *Collection, des hist. arm.*, I, XXII—XXIII.
- 10) *Поученія Григорія Богослова*, рукопись принадлежащая Мцхетскому собору, л. 374.

- 11) Ib., л. 21. ჰასკა შემოღებულ იყო სახსოვრად კბრას-  
კლუბის გამოსულისა კეკიპტედან და ნიშნავს გამოს-  
კლასს. См. слово „Paque“ в Diction. de la  
langue française, Litre.
-

## ლაშის მხრე.

ლაშის მხრე ვარ, ტლუ ბიჭი, ნახადში გახვეულია,  
გუთნის ხარ-გამბეის ვდარაჯობ, უნდა ეხნათ ანუელია...  
მზე რა კი ჩავა გუთნუელს გამოვაყოლებ ჭაღასა,  
თუ მგელი ამოგვედუნა, ფინთათ აუშლი ბაღანსა!..  
რო დაღამდება, ყურს უგდებ, არ ისმის ჩქამა-ჩქუმიან,  
მარტოვა მშიერს ხარ-გამბეის გაუდის ხრამა-ხრუმიან!..  
ხანდის-ხან ჭოტის ხმა ისმის და გუელს მიღონებს წყეული,  
ისე საზრალათ გასძახის, როგორც თიკანი ეული!..  
ჯეჯილის სანაპიროზე ჭსძოვს და ჭსძოვს გუთნუელია,  
იმათ ცოხნაზე ხანდისხან მოძეკიდება რულია..  
ვმაგრებ და ვფხიზლობ, თავს ვიჭერ, თან დაკლიდინებ წყნა-  
რათა, —

შავხედამ ხარი-ზარამ ლამაზათ გამოანათა!...  
მერძე აღარა მიჭირს-რა, გატყდება ლამე და ძილი,  
მრავალიც გადაქანება, დიდი არ ჭრჩება მანძილი...  
მასუკან დილის რიყრავი ცას განმინათლებს და გუელსა,  
ტორღლაც შინავარდებს, ძირს ვეღარ ვნახავ ნახუელსა!..  
მზე ყურს ამოჭყდოს, გუთნუელს დავირეკ შესაბძელათა,  
ორი დღის აღო მერგება, გადამიხნამენ ხელათა.

თ. რაფ. მრისთავი.



## ზინაური მიმოხილვა

უცნაური დრო—თუ ჰგონიათ—ლიბერალობის ნიშნად—გადასა-  
დები ჭირი თუა—მძიმე ზარბაზანი და უშველებელი ყუმბარა—ტყუილი  
«უფრო»—რა სახუთი—სასწაულთ უარ-ყოფა—ერთგვარი ლოლიკა შორს  
მანძალზედ—კაი პასუხი—ვერაფერი ჭაშნიკი—რომ ესინჯა—როდისღა  
ბატონო—ანირებულად ნამბობი — «მიაქუსს და მიაჭექას» ამბავი  
—ხან ასე და ხან ისე—მიზეზ-მიზეზ—ხან ტყუილია, ხან მართალი  
—ორში ერთი—მოდით და აქ გაიგეთ რამე—თხოვნა.—ათვალწუნებუ-  
ლი ბანკები—მინისტრთა კამიტეტის განაჩენი—სასტიკი კანონი, ქუ-  
თაისის ბანკზედ მიმართული—ჭორია—ბევრი დი ცოცა რა შუაშია  
—ქუთაისი და ოსტროგორსკი—ბანკისა რა ბრალია—მეტის-მეტის  
ფასებიო—პოლისი—უმიზეზნო მიზეზნი—იყავნ ნება ჩემიო.

ყველაფერი საოცარია ამ უცნაურს დროში, თითქმის ყო-  
ველისთვის აირივ-დაირიარ და ლოლიკა სამარცხვინო დანაშაუ-  
ლობად გადაქცაო. აქედ მიიხედავ თუ იქით, შეჭნიშნავთ, რომ  
ზოგი კაცი კაცსა ჰკიცხავს, ზოგი საზოგადო საქმეს სახეულს  
უტეხავს, ჰსძრახავს და ყოველივე ეს მარტო ლიტონის სიტ-  
ყვით, იმისთანა თრახმებით, რომელთაც განსაკუთრებული,  
განსაზღვრული აზრი არა აქვს რა. არ ვიტყვით, დემოკრატის  
იტყვის, რას მივაწერეთ ამისთანა სამწუხარო და სავალალო ამ-  
ბავი? ეს სენი ჰყარში ტრიალებს, თუ ქვეყანამ უკუღმა დაიწ-  
ყო ტრიალი და ყველაფერი შესცვალა. თუ ჰგონიათ, რომ  
იგი, რაც არსებობს, უსათუოდ საკიცხავიაო, სად წავა? თუ

ჭკობით კიდევ, რომ იგი, რაც არსებობს, თუ არ გაკვირ-  
ხულ, ლიბერალად აღიარებინ ჩამაგდებსო, სასაცილოა. არც ერ-  
თი და არც მეორე იმისთანა სანუგბარნი არ არიან, რომ წაი-  
ცდინონ ადამიანის კეთილ-გონიერება და დამჯდარი ჭკუა. მამ  
რადა ჭსჭირს ეს ჭირი დიდსა და პატარასა ეხლანდელ დრო-  
ში? მამ დიდსა, თუ პატარას რად დაუხვევია ხელზედ ლიტო-  
ნი სიტყვა და მარჯვნივ და მარცხნივ თავისუფლად და რაღაც  
თავ-მოწონებით ისურვის, ჭკობსა კაცს: კაცო, ეს რომ არ  
მოგწონს, ახლა შენი მოწონებული ჭსოვიო! ის პასუხის მა-  
გიერ ან გეტყვის: მიუჩუ და მიტანიო, ან არა და კილაც სვი-  
მონაზედ ზღაპარს მოგიუკება. წადი და გამოიტან...

ეს ამისთანა ქცევა მიუტეება გამოუცდელს კაცს, მაგ-  
რამ კაცს ცხორებით და საქმით გამოცდილს კი რა მოგახსე-  
ნათ.

ჩვენში ლიბერალების ნიშნად აღიარებულია ჩვენის საად-  
გილ-მამულა ბანკების ეხად აღება. ლიბერალთა ლიბერალმა  
თ. ღაკით ერისთავმა თავის სიტყვებში ამის მეტი კი არა  
აკეთა რა და ბოლოს თავი შეათარა «ოფიციალურ რედაქ-  
ტორებს» და აინუნშიაც არ მოსდის რომ ესეთი სათარგული  
და ლიბერალებს შორი შორს არის. ან რად იტყვენს უტვი-  
ვარს თავსა? რაკი ბანკზედ გამოილაშქრებს ხოლმე თავისის  
მხვილის კალმით, ულიბერალებს კინ შეჭსწამებს, თუ არ  
უბირი და ცრუ-სამსონი. მას აქედ რაც მისმა ბანკის თავმჯდო-  
მარეთ ყოფნის სურვილმა თაღია აიღო და ჩაილულის წყალი  
დაღია ეს სატვივარი დასხემდა და ყოველს შემთხვევაში, რაცა  
ბანკს ახსენებენ, ხელმეორედ შეაქცევს ხოლმე, თუნდ ცოტას  
ხნობით მოჩიომილიც იყოს. კვ სატვივარი გადასადები ჭირი  
ხომ არ არის, ნეტა კიცოდეთ.

ამ ხელს დას ბანკი დიმიტრი ივანესძე უიფიანძე გამაქანა თავისი მძიმე წარბაზი და ერთი მძიმე უშველებელი ყუბაწა უთავაზა ჩვენს ბანკსა. «მე არა თანაუგრძნობ თბილისის თავად-აზნაურთა ბანკის ეხლანდელს მიმართულებასა.» თ. დავით ერისთავიც მაგას ბძანებს სოფელს. «რატომ, ბატონო?» ამიტომ—რომლო «მე მინდოდა ბანკის დაასრულებს მიწის მოფლობელთა და მიწის მოქმედთათვის და ეხლანდელი ბანკი კი ხელს უწყობს უფრო ქალაქის სახლების პატრონებს.» ეს სომ ლიტონი სიტყვას. არ შეიძლება ბანკი უიფიანძე გვიბძანოს რით უწყობს ხელს ჩვენი ბანკი უფრო ქალაქის მამულების პატრონებსა? რომ ერთს უფრო ხელს უწყობდეს ბანკი და მეორეს არა, უსათუოდ ბანკის წესები პირველს უფრო უპირატესობას უნდა აძლევდეს და მეორეს არა. ახა ერთი გვიჩვენოს პატრიცემულმა დიმიტრი ივანესძემ ქალაქის მამულების პატრონებს რა უპირატესობა მიუძღვით სოფლის მემამულეთა წინაშე? პირიქით, ბანკის წესები უპირატესობას სოფლის მამულებს აძლევს ბევრს შეთხვევაში. მაგალითებრ: დაფასებაში სოფლის მამული იხდის  $\frac{3}{4}\%$ , ქალაქისა  $1\%$ ; სოფლის მამულის ფასი უნდა შესდგეს წლიურის შემოსავლის ჯამისაგან, რომელიც თექვსმეტჯერ უნდა გამრავლდეს, ქალაქისა კი ათჯერ; თუმცა სოფლის მამულზედ დაფასებისა გვარად ნახევარი ეძლევა და ქალაქისაზედ სამი მესუთედი, მაგრამ სოფლის მამულს მაინც მეტი მოსდის. აი თუნდა მაგალითად ვსთქვათ, რომ სოფლის მამულს ათი თუმანი აქვს წლიური შემოსავალი და ქალაქისასაც. ქალაქის მამულს მიეცემა სესხი სამოცი თუმანი და სოფლისას კი ოთხმოცი; სოფლის მამულს  $43\frac{1}{2}$  წლის ვადით ეძლევა სესხი და ქალაქისას კი მარტო  $27\frac{1}{2}$  წლის ვადით და ამის გამო სო-

ფლის მამული იხდის 8<sup>0</sup>/<sub>100</sub> ბანკის გადასახადს წელიწადში და ქალაქისა კი 9<sup>0</sup>/<sub>100</sub>. ამასვე მეტი უზიარტესობა არ შეიძლება მიეცეს სოფლის მამულს, ვიდრე სასოგადო სისტემა და ვითარება კრედიტისა არ შეიცვლება. ეგ ჩვენს ხელთ არ არის და თუ ბატონ ყიფიანის ხელთ არის, უმორჩილესად ვთხოვთ მოახდინოს. ჩვენ დიდის მადლობით მივიღებთ და დაკემორჩილებით. თუ რამ უზიარტესობა შესაძლოა, ყოველივე სოფლის მამულსა აქვს მინიჭებული. თუ ყოველივე მაინც არა ზოგიერთი ხომ მაინც და ქალაქისას კი არავითარი, მას რა საბუთი ჰქონდა ბ-ნს ყიფიანს რომ ესეთი მიზეზი მოუზოვას თავის თანაუგრძნობლობას ბანკის მიმართ?

«მის (მითამ ბანკის) დამოუძნებელთ, ესე იგი, თავად-აზნაურობას კრედიტი გაძნელებული აქვს და მიწის მოძქმედ-თათვის სრულიად დაკეტილია ბანკის კარები», ბძანებს ბ-ნი ყიფიანი. იქნება გაძნელებული იყოს, მაგრამ განა ეგ მარტო თავად-აზნაურობისათვის არის და არა საყოველთაოდ, განუჩ-ხეულად? მას მარტო თავად-აზნაურობა აქ რა შუაშია და რა სიტყვის მასალაა? თუ ბანკის კრედიტი გაძნელებულია, ყველასათვის ერთნაირად არის და შეძლებია იქნება, ვიდრე ჭიბო-ტეკას არ შემოიღებს კანონი და ვიდრე ეხლანდელი ფორმალური წესი საკუთრების უფლების დამტკიცებისათვის არ შეიცვლება და გადავიღდება. თუ ეს გარემოება, რომელიც აძნელებს კრედიტს, ყველასათვის განუჩხეულად ერთნაირია, მას მარტო თავად-აზნაურობასვე რად გვითითებს ბ-ნი ყიფიანი? ეგ მითითებს ყოველად უსაბუთოა, თუ არა და ვთხოვთ წარმოადგინოს საბუთი რომ ეგ სიმკვლე მარტო თავად-აზნაურობისათვის არსებობს. თუ ამას ბძანებს, რომ გაძნელებულია თავად-აზნაურობისათვის, იმიტომ-რომ უფრო ბევრს

შემთხვევაში თავად აზნაურთ საკუთრების უფლება განსაზღვრული და დამტკიცებული არა აქვთ და ქალაქის მემკვიდრეთ კოაქტონ, აქ ბანკი რა შუაშია? საჭმე იმაშია, რომ განუსაზღვრულ და დაუმტკიცებელ უფლების ძალით არც მოქალაქეს ეძლევა კრედიტი და არც თავად აზნაურსა. მაგრამ იქნება ბ-ნს უიფიანს ეგონოს, რომ განუსაზღვრულს და დაუმტკიცებელს მამულზედ შეიძლება დამყარდეს საადგილ-მამულ კრედიტი, როგორც ერთს დროს ეგონა, რომ მაგისტანს კრედიტი შეიძლება აშენდეს მამულების გაუსუიდავობაზედ, — ეგ არ ვიციო. მაგისტანს სასწაულები ამ წყაუფს მეცხრამეტე საუკუნეს არა ჰსწამს.

«მიწის მოქმედთათვის სრულიად დაკუთვლია ბანკის კარები», რომ ბძანებს, სრულიად აძარცვს ბძანებს. თუ ჩვენ არ გვიჯერებს, მიბძანდეს, განიხილოს ბანკის საქმეები და იქ თვალ და თვალ გუფს დააჯერებს, რომ არამც თუ დაკუთვლია, უოკელთვის ღიაა. თავის თვალთ დარწმუნდება, რომ რამდენიმე გლეხთა საზოგადოებამ ბანკის შემწეობით შეისუიდა მამულები, რამდენიმე გლეხი დღესაც ბანკის მოვალეს და სხვანი. იქნება ბძანოს, ეგ ძალიან ცოტააო. ბანკისა რა ბრალია? საქმე ის არის, რომ აქ ხსენებული ფაქტი ამტკიცებს, რომ მიწათ მოქმედთათვის კარი არამც თუ დაკუთვლია, ღია არის. მას რა საბუთით ბძანებს ბ-ნი უიფიანი ეგრე გადაჭრით, რომ სრულიად დაკუთვლიაო.

„რევიზიაში არათუ მონაწილეობას არ მივიღებო, იმიტომ — რომ «ამ სამთა ზიანთა კამისიას, ისე ვუყურებ როგორც ჭრახვიას (ნაწილს) იმავე ზედამხედველის კამიტეტისასაო.» მე რა რამ ასე უყურებთ? ეგ რა მიზეზია უარყოფისა? ამის პასუხი ბ-ნი უიფიანს უბძანების დროების № 124 ში

თავისი შინა ყმის სიმონას პირით: კგ იმას ნიშნავს, რომ «მეუ მთხოვრავ ჩემგან ანგარიშსა», სულაც არა. ზედამხედველი კამიტეტი ისეთი მრწანლას ბანკისა, რომელსაც არა ვითარცა მონაწილეობა არა აქვს არც ბანკის საქმეთა წარმოებაში, არც ბანკის მპყრობეებში. ერთშია და მეორეშია მართლ ბანკის გამგეობასა ვასუხის მგებელი და სხვა არაინ. ზედამხედველს კამიტეტს მიანდეს გამგეობის საქმეებს მოუხდინე რევიზიას და არა შენს საკუთარს საქმეებსა. აქ თავის თავისაგან ანგარიშის მოთხოვნას რა ადგილი აქვს? ბ-ნ ყიფიანს თავისი მასკილი სიმონა რომ დაეკალებინა, წადი ხაბაზს ანგარიშში მოსთხოვე, ნუ თუ ესეც თავის თავისაგან ანგარიშის მოთხოვნას ეგვანებოდა, რადგანაც სიმონა მოუწავი ყოფილა ბ-ნის ყიფიანისა.

ესეთი ლაღიკა რომ შორს მანძილზედ გავიყოლიოთ, იქამდინ მივალთ, რომ თვითონ საზოგადო კრებისაგან დადგენილს კამისიასაც არ თანა-უგუგონობდით, რადგანაც საზოგადო კრება და ზედამხედველი კამიტეტი ამ შემთხვევაში ერთსა და იმავე ლაღზედ და საზზედ დგანან ბანკის გამგეობის წინაშე და რაც ამ შემთხვევაში ზედამხედველს კამიტეტზედ ითქმის, ისევე საზოგადო კრებაზედაც.

«მე ჩემს დღეში არა მქონია ნიჭი ვისურვო წარმატება იმ პირთა და იმ დაწესებულებათათვის, რომელთაც არ თანა-უგუგონობო», ბძანებს ბ-ნი ყიფიანი. გვიკვირს ეს სიტყვა, იმიტომ—კი არა რომ ამში დასაძრახილი რამ იყოს, არამედ იმიტომ რომ მაგასა ბძანებს ბ-ნი ყიფიანი. თვითონ ხომ გვარწმუნებს, რომ ჩვენის ბანკის მიმართულებას არა თანა-უგუგონობო და მიხეზებიც მოჭყავს. მასმ რომ არა თანაუგონობს კგ უცდილობელ ფაქტად ავხუხსოთ. ესლა ერთი ეს კო-

კითხეთ: შარშან ჩვენს ბანკში და რამდენიმე წლის წინად ქუთაისის ბანკში რად ინება თავმჯდომარეთ ყოფნა, თუ ჩვეულებად აქვს, წარმატება არ ისურვოს მისი, რასაც არა თანაუგრძნობს. აქ რეგულაციას სჯიმე ზეკით-ქვეკით მოდის. აქ სარევიზიო კამისიაში ყოფნა არ ნებავს, რადგანაც არა თანაუგრძნობს და იქ ვი თავს არა ზოგავდა, ემსახურნა მისთვის, რასაც არა თანაუგრძნობდა. რით აიხსნება ესეთი ამბავი? ამის შესახად დროების № 124-ში ბ-ნი ყიფიანი ბძანებს: თავმჯდომარეობაზედ რომ თანახმა ვიყავი, იმიტომ რომ «იქნება მაშინ მოვასურნო ისეთი წესის ჩამოგდება, რომ სჯიმე პატრონს ვერ იტყობს, არ ითქმოდეს.»

კარგი და პატიოსანი. თუ მაგისი წამალი რამ იტყობდა ბ-ნმა ყიფიანმა, რად დაიშურა სჯიმეუნო სჯიმისათვის, რომლისათვის, რეგულაციას თვითონ ბძანებს, გული ეწვის? რად გვიძლავს მაგ წამალსა და არავის ეუბნება. «თქვენი გაზეთი რომ მიმაჩნდეს ამ (ესე იგი თავად-აზნაურობის) საზოგადოების წარმომადგენელად თქვენ მოვასურნებდით», ეუბნება ბ-ნი ყიფიანი «დროების» რედაქტორსა. ვაი შესუხია, თქვენმა მზემ.

თუ «დროებსა» არ ანდობდა მაგ საიდუმლო თიჯისმასა, გაზეთი «კაკაზი» ხომ აქ იყო. დიქრთმანი, ხელ-აღზურობით არ მიუგებებოდა მისი უხლანდელი რედაქტორი! მაგრამ ბ-ნს ყიფიანს სხვა აზრი აქვს, რეგულაციას თვითონ ბძანებს. იგი აზირობს თავის თიჯისმის გახსნას იმ საზოგადოების წინაშე, რომლის „ჩვენებური სახელი არის თავად-აზნაურობა.“ მაგასაც ვნახვით და შევიტყობთ, თუ ქაღებული სვე ბ-ნ ყიფიანის მოურავისა—სვიმონასი არ გვეწია. ჩვენდა საუბედუროდ. ამას ვი ვიტყვით, რომ ასე გზა-კვალის არევა, აგრე

საბუღალტრო ბანკად აგდება საზოგადო საჭმეში, ეგრეთვე ვასუხი გადაჭრით დაუენებულს კითხვასზედ კერათური ჭაშნიკია. ამისთანა საჭმეში ზღაპრები კერათური საბუთისა და კერათური მაგალითი გულის წვისა და სხვა ამისთანა გულ-კუთილობისა.

ბ-სს ყითუიანს რომ მარტო გამგეობის თავმჯდომარეობით არ მოწესრიგებოდა ბანკის საჭმეების განცობა და რაკი ეგ არ მოხდა, ეგ სურვილი აესრულებინა ვითარცა საჭმეუნო საჭმისათვის გულ დაძვინასა, ჭნახვად, რომ თვით ესლანდელი გამგეობა ბევრს რასმეს წუნსა ჭსდებს იმ სისტემას კრედიტისას, რომელიც უმაღლესის მთავრობისაგან დადგენილია. სამინისტროში წარდგენილია გამგეობისაგან უოკალიკე ეს წუნი და წამალიც, შეძლებისამებრ, ნახვენებია. ამ საგანზედ წარდგენილს წერილში მოხსენებულა ის საზოგადო მიზენიც, რომელიც აბრკოლებენ საადგილ-მამულო კრედიტს მთელს რუსეთში საზოგადოდ და ხვენს ქვეყანაში საკუთრივ. ნახვენებია, ვიდრე ჭიბოტეკა შემოვა, რა გზით და რიგად შესაძლოა გაუადვილდეს მსურველს ნატარიუსისაგან გირავნობის მოწმობის მიღება, რადგანაც ესლა ეგ საჭმე მეტად გამხელებული და გაჭიანურებულია; რა გზით და რიგად შესაძლოა გაიუოდეს ეს ახილებულად ძვირი საადგილ-მამულო კრედიტი და განმარტივდეს თორმალური წესნი და სხვანი ამ გვარნი. მაგრამ რას იზამთ? ვერა გაეწეო რა, რადგანაც უოკალიკე ეს საზოგადო ვითარებას ექვემდებარება და მაგაების ხელის ხლებს ჯერ ჯერობით ეძიმებათ. განა მარტო აქაურის ბანკების ხმა დაჩხა ხმად მლანდებულად უდაბნოში? საადგილ-მამულო კრედიტის წარმომადგენელთ რუსეთში, უმაღლესის ხება დართვით, მთხი კრება მოახდინეს და მეხუთესაც ესლა ავირობენ, რომ საადგილ-მამულო კრედიტი იმ საპატრიო სიმალეზედ დაყენონ, რომელიც მას



ბუნებითად შეუთერება, მაგრამ არც ერთს მითს შუამდგომე-  
ლობას არსებითთა ცვლილებათათვის დღეს აქამოდე კმაყოფი-  
ლება არ მიუღიათ.

არ ვიცით იქნება სხვა ვინმემ ამისი სხვა წამალი იცო-  
დეს და სხვა გზა, — რატომ არ გვეუბნება და არ გვასწავლის.  
ვინც ეს წამალი მართლა იცის და მართლაც გული შეჭსტვი-  
ვს საქვეყნო საქმისათვის, ის ისე ადვილად თავიდან არ აიცი-  
ლებს ამ წამლის ჩვენებას და არ იტყვის, — შენ არ გატყვი და  
ვისიც ჯერ არს, იმას ვი მოვასხენებო. რადისდა, ბატონო!  
ჩვენგი დამალი ჩამოგვივიდა და!

ამ შემთხვევაში აქ თავად-აწინაურობის ამოდ სხენება და  
იმისი თქმა, რომ «რომელმაც დაარსა, რომელსაც ეკუთვნის  
და რომელიც, თუ სამართალია სადმე, უნდა განაგებდესცა»  
წამლად ვერაფრად გამოსადგობს და იქნება მჭკვერ-მეტყვე-  
ლების ნიმუშად ვი ვარგოდეს.

ბ-ნი ყიფიანი, არ ვიცით ვისის სიტყვით, ახირებულად  
გვიამბობს საწინააღმდეგო კრების «ლაღაღებას» სარკვიზიო კამი-  
სიის შესახებ. «მიაჭუნს ყრილობამო, წამოიჭექა თავ-მჯდომე-  
რებო» ბძანებს შიგა და შიგ ამისთანაებს ბ-ნი ყიფიანი. თუ  
«მიაჭუნს», რატომ ეს მიჭუნება კენჭით არ გამოჩნდა, რაღა  
«მიჭუნების» საგანზედ კენჭმა ჩამოიარა? «მეორე დღესაო იმა-  
ვე თავმჯდომარემ გაძოყცხადა ყრილობას, ბძანებს ბ-ნი ყიფი-  
ანი: იყავ ნება თქვენიო, თვითონ ჩვენ დაგინიშნავთ კამისი-  
საო... ესე იყო თუ არაო თქვენდა თქვენი ნამუსიო,» ჭკი-  
თსავს ბ-ნი ყიფიანი ბოლოს «დროების» რედაქტორსა. სუ-  
ლაც ეგრე არ ყოფილა, დაგვეწმუნეთ. ტყუილად მოუხსენე-  
ბია, ვისაც ეგ ამბავი მოუტანია. მეორე დღეს თავ-მჯდომარემ  
ეგ ვი არ «წამოიჭექა», არამედ შეძგობი: ცალკე სარკვიზიო კა-

მისია გნებავთ, თუ მაგ რევიზიას თვით შედამხედველს კამიტეტს მიანდობთ. შეიქნა ამასეუდ ყაყანი და ბოლოს დროს კენჭზედ მივარდა საჩქე და გრებაჲ 80-ს კენჭის უმრავლესობით 25 თუ 27-ს ხმის წინააღმდეგ ჭსთქვა, რომ შედამხედველს კამიტეტს მიენდოს. იქნება ამაში შეჭსტდა გრება, ჩვენ არ ვიცით, ჩვენ მარტო ამის თქმა გვინდა, რომ გრებაჲ კენჭით სწორედ ეს დაიქუხა და არა სხვა. თუ რცდა ხუთის ანუ რცდა შვიდის კაცის ხმა დაქუხება იყო, რთხმრცისა ხომ დაქუხების დაქუხება იქნება და რატომ მოხდა, რომ ბ-ნს ყიფიანს ბეწვი დაუნახავს და ძელი ვი არა?

მაშასადამე მას მერმედ, რცდა ბ-ნ ყიფიანის სიტყვისამებრ, «ყრილრბამ მიაქუხა და თავ-მჯდომარემ წამოიჭექა», მერრეს დღეს მაგ საგანზედ კენჭი ჩამოატარეს და გრებაჲ კენჭითა ჭსთქვა ის, რასაც ეხლა ბ-ნი ყიფიანი ეკეთის რხუჯობით სასაცილოდ იგდებს, საგომბელად ხდის და თავმჯდომარეს აბრალებს. ამასეუდ არა გვგონია, არ დაკუთახნხმოს ბ-ნი ყიფიანი, რომ უტყუარი „ჭუხილი“ გრებისა კენჭი არის. მაშ რატომ არა ჭსჯერა ბ-ნს ყიფიანს ესრედ წამოთქმული „ჭუხილი“ და რად იჯერებს უკენჭოდ დაქუხებულსა?

ვიძეოტებთ, თუ პირველ დღეს, ბ-ნ ყიფიანის სიტყვისა მებრ, ყრილრბამ დაიქუხა, ის «დაქუხება» ხომ უკენჭოდ იყო და მაშასადამე არარად უნდა მიეხნია ბ-ნს ყიფიანს, რადგანაც იგი უკენჭობას პრინციპიალურად სრულებით უარჯყოფს საზოგადო საჩქეში და ამბობს: დაკუთახნხმდებიო „კენჭზედ და უკენჭობაზედ ვი არას დროსაო.“ პრინციპი იმიტომ არის პრინციპი, რომ ყოველს შემთხვევაში ერთ ღ იმავე საზომად უნდა იხმარებოდეს. თუ ესეთი პატივი აქვს ბ-ნ ყიფიანის თვალში კენჭსა საზოგადო საჩქეთა გადაწვეუტაში, რატომ ასეთი პატივი უცია უკენჭო „მიქუხებისათვის“?

რომელიც წინა დღეს იყო და რატომ ესე სსსრ-ში იგდებს კენჭით გამოთქმულს სურვილს კრებისას, რომელიც მეორე დღეს მოხდა? რაც უნდა ჰქონდეს მან გადაწყვეტილებას, ამასვე უკვლავ დაგვიმეორებს და უკვლავ იტყვის, რომ ეს საქმე წინა დღეს უკენჭოდ იყო და მეორეს დღეს კი კენჭითა. რატომ უნებების ბ-ნს უიფიანს ერთს შემთხვევაში პარტიის ცემის იმისი, რასაც მეორე შემთხვევაში საგომოდ ხდის? ან რადა ჰგონებს მას, რასაც მეორე შემთხვევაში პარტიას ჰსცემს? ნუ თუ აქაც ადგილი აქვს ამ ლექსს:

„ასე, ჩემო მანასე,  
ხან ისე და ხან ასე.“

საზოგადო საქმეში მიზეზ-მიზეზ დღეს მარტივი აკლავთ, — მეტია და შეუწყნარებელი. ეს ბ-ნს უიფიანს, ვითარცა „გამოცდილს და მცოდნეს კაცს“ (ჩვენსვე უფრო უკეთესად მოეხსენება.

მეორე ბ-ნი უიფიანი ეუბნება „დროების“ რედაქტორს: „არც თქვენი გაზეთი მიმაჩნია, არც გამგეობა (ბანკისა) ეხლანდელი, არც იმავედ მიხენილი შედამხედველი კამიტეტი და არც ამ კამიტეტის განყოფილება სამთა კამისია იმ საზოგადოების წარმომადგენელად... რომელმაც (ბანკი) დაარსა, რომელსაც ეკუთვნის და რომელიც, თუ სამართალია სადმე, უნდა განაგებდეს“ („დროება“ № 124).

ამ სიტყვებისაგან აშკარადა და უცილობლად ვხვანს, რომ ეხლანდელი გამგეობა ბანკისა, შედამხედველი კამიტეტი და სამთა კამისია დაუენებულის არა იმ საზოგადოებისაგან, „რომელმაც, ბ-ნს უიფიანის სიტყვით, დაარსა ბანკი, რომელსაც ეკუთვნის და რომელიც, თუ სამართალია სადმე, უნდა განაგებდეს.“ მაშასადამე მათი დამუენებელი საზოგადოება ტყუილი საზოგადოება ყოფილა. თუ მართლა ესეა, ის რაგონადა არის,

რომ ბ-ნმა უიფიანმა, შარშან პეტერბურლიდამ და წლეულს ქვიშხეთილადამ გამოაცხადა სურვილი, — თუ ეგ საზოგადოება კენჭით ამომირჩევს, უარს არ ვიტყვიო შარშან გამგეობის თავმჯდომარეობასზე და წლეულს ზედმხედველ კომიტეტის და საჩუქიზიო კამისიისაზედა. \*) ორში ერთი: რაკი შარშან თუ წლეულს ეგ კხლანდელის გამგეობის დამყენებელი საზოგადოება ბ-ნს უიფიანს ამომირჩევდა გამგეობის თუ ზედმხედველის კომიტეტის თავმჯდომარედ, მაშინ ეს დღეს ტყუილი საზოგადოება მართალ საზოგადოებად გარდიცვლებოდა, ან არა და ბ-ნს უიფიანს ნება მიუცია თავის თავისათვის ამომჩუულ ყოფილიყო ბანკის მოსკელთ იმ საზოგადოებისაგან, „რომელსაც, მისისავე სიტყვით, არც დაუარსებია ბანკი, რომელსაც არც ეკუთვნის და რომელიც, საცა სამართალის სადმე, არც უნდა განაგებდესცა. რად გამოაცხადა შარშან თუ წელს სურვილი ბ-ნმა უიფიანმა ამომჩუულ ყოფილიყო იმ საქმის გამგებლად, რომელიც ამომჩუულთ არ ეკუთნოდა მისისავე სიტყვით?

ნუ თუ ერთი და იგივე საზოგადოება თუ ამომჩუვდა ბ-ნს უიფიანს გამგეობის თავმჯდომარედ წესიერი იქნებოდა, ესე იგი, ის საზოგადოება იქნებოდა, „რომელმაც დაარსა, რომელსაც ეკუთვნის და რომელიცა, საცა სამართალისა, უნდა განაგებდესცა“ და რაკი სხვანი ამომჩივს, უწესო შეიქმნა, ესე

\*) აი ამ საგანზედ თვით ბ-ნ უიფიანის სიტყვები «დროების» იმავე № 124-ში დაბეჭდილი: «მე არა თუ შარშან პეტერბურლიდამ — წლეულს ქვიშხეთილადამაც ვაცნობე დამკითხველთ ტელეგრამით, რომ თუ საზოგადოება ჩემთვის კენჭის ყრას ინებებს, უარს არ ვიტყვი მეოქი. მაშინ გამგეობის თავმჯდომარეზედ იყო სიტყვა ჩამოგდებული და წლეულსა... და სხვანი.

იგი, იმისთანად, რომელმაც არც დაარსა, რომელსაც არ ეკუთვნის და რომელიც, თუ სამართალის სადმი, არც უნდა განაგებდეს.

კაცი არ მიიხსენიებს ესლანდელს გამგეობას, ზედამხედველს კამიტეტს, სამთა კამისიას, იმიტომ—რომ ჯეროვანის საზოგადოებისაგან არა ხართ ამოწეული და თვითონ კი იმავე საზოგადოებას სურვილს უცხადებდეს, თუ გნებავთ ამიწიეთ, თანახმა ვიქნები. მოდით აქ ან თავი გაიგეთ და ან ბოლო.

ერთს ამ ბოლოს უამის «ბირჟეკის კულმოსტების» ნომერში მოხსენებულ იყო, რომ ფინანსთა მინისტრის რეგულაციას ათვალწუნებულ ჰყავსო საადგილ-მამულო ბანკები საზოგადოდ, თუმა ეს ბანკები უფრო პატივ-საცემნი არიან, ვიდრე სხვა გვარნი. ამის დასამტკიცებლად ხსენებულს გაზეთს მოჰყავს მარტო ერთი მიზეზი, რომელიც, მართლაც, ცხადად ამტკიცებს ზემოთქმულს, მაგრამ იგი ერთი სხვათა მრავალთა შორის. უსათუოდ ამ ათვალწუნების ბრალად, რომ 16 ოკტომბერს 1882 წელს მინისტრთა კამიტეტი იძულებულ იყო მიენიჭებინა საფინანსო მინისტრისათვის უფლება შეაყენოს გამტკიცა საადგილ-მამულო ბანკის ობლიგაციების (გირავნობის ფურცლების) არამც თუ მაშინ, როცა ბანკისაგან გადაწვეტილი სესხი არ ეშესაბამება ბანკის წესდებას, არამედ მაშინაც, როცა ბანკი გაუფთხილებლად ეკიდება ფინანსთა მინისტრისაგან დამტკიცებულ გადაწვეტილებას ბანკისას სესხის გაცემის შესახებ.

ეს სასტიკი კანონი, რომელმაც მიანიჭა ასეთი მძიმე უფლება ფინანსთა მინისტრსა, დამტკიცებისკე უმაღლესად დაეცა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკსა და დღეს აქამოდ მ ბანკს მოსპობილი აქვს უფლება სესხის გაცემისა. რასაკვი-

რკელის, ამისთანა ამბავს დიდი და მძიმე საბუთი უნდა მიუძღოდეს და რადგანაც თვალსაჩინოდ ამისთანა საბუთი არავის ეგულებს, ამიტომაც მიზეზად მოჭყვავთ ის გარემოება, ვითომც ავ-ენების ბრალის უკუკლიკე ესაო და იმ თვისებისა, რომელსაც ბუნდობას უძახიან და რომელიც ვითომ იმერლებს უფრო ჰსჭირთ, ვიდრე ქართველებსაო. არა გვგონია კი, რომ ქართველები ამისთანაებში იმერლებს ჩამოუვარდნენ. ეგ სიკეთე, ჩვენდა საუბედუროდ, უკელას საერთოდ ჯერ თნაირად გვჭირს. არც ისა გვგონია, რომ ეგ იყოს მიზეზი მინისტრის განკარგულებისა, რადგანაც მაგ მიზეზს მარტო შეგულისებთ შეუძლიან და არა ამისთანა სისტემის უზომის მიღება, როგორც ბანკის მოქმედების შეუენება.

მაშ აქ სხვა მიზეზი უნდა იყოს. პირველი მიზეზი თუ-რემე ის არის, რომ 1876 წლიდან 1879-მდე ბანკი თავდასტურებულად და ფუთხილად მოქმედებდაო. ეგ თავ-დასტურებლობა და სიფუთხილე რაში გამოჩნდა? იმასაო, რომ ამ სამ წელიწადში ცოტა სესხი გაჭსტაო და 1880 წლიდან კიო ბლომით დაიწყო გატემაო. ან პირველში როგორ დაინახეს სიფუთხილე და თავ-დასტურებლობა, ან მეორეში როგორ იპოვეს ბედოკლათობა და გაუფუთხილებლობა? ბანკის სიფუთხილე, თუ ბედოკლათობა სესხის საერთო რაოდენობაზედ კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზედ თუ—რა ფასიანი მამული რა ფასად არის მიღებული გირაოდ. ხომ შეიძლება, მაგალითებრ, ერთმა ბანკმა ერთს წელიწადს გაჭსტეს მარტო ათასი თუმანი იმისთანა მამულზედ, რომელიც ათ თუმნად ღირს და მეორე ბანკმა კი იმავე ერთს წელიწადს გაჭსტეს თუნდა მილიონი იმისთანა მამულზედ, რომელიც ერთი ორად და სამად მეტად ღირს. ნუ თუ პირველი ბანკი ფუთხილი და თავ-დასტურებული

იქნება და მერე გაუფოთხილებელი და თავ-დაუჭერელი. ეს სა-  
დაური ლაღიკაა?

თუნდ ეგეც არ იყოს, რა გასაკვირველია, რომ ქუთაისის ბანკმა 1880 წლიდან ბევრი სესხი გასცა? განა საყოველ-  
თაოდ ცნობილი არ არის, რომ ამ წლიდან ქუთაისის ბანკს  
თბილისის გუბერნიასშიც მიეცა ნება სესხის გაცემისა და  
ამის გამო მუშტარი კრედიტისა მოემატა? განა ქუთაისის ბან-  
კმა იმიტომ—არ იშუამდგომლა ფინანსთა მინისტრის წინაშე  
და თვითონ ფინანსთა მინისტრმა იმიტომ არ მიიღო პატი-  
ვისდებაში ეს შუამდგომლობა, რომ ქუთაისის გუბერნიას მე-  
ტად ვიწრო სარბიელი იყო კრედიტისათვის სხვა-და-სხვა მი-  
ზეზის გამო და ბანკის არსებობისათვის საჭირო იყო ფარ-  
თო სარბიელი ჰქონოდა, რათა მოგება რამ ენახა და შემოსე-  
ვას გასაკვალი დაეფარა? რაგი თვით სამინისტრომ ეს საჭი-  
როდ დაინახა და ნება მისცა ქუთაისის ბანკს თბილისის გუ-  
ბერნიასშიც ემოქმედნა, რაღა ჯარი და ხაზი უნდოდა იმის გა-  
მოცნობას, რომ ამით სესხის გაცემა იმატებდა.

აი ესეც ერთი მაგალითი მისი, რომ მიზეზ-მიზეზი  
დოს მარტივი აკლიაო. ბევრი სესხი ბევრს გირავნობის ფურ-  
ცლებს მოჭიფენს ხოლმე ბირჟას და ზოგჯერ ბირჟა ვერ ასდის  
და ფასი ობლიგაციებისა ამის გამო ძირს იწეკს. ეს მიზეზი  
რომ მიუკერებინათ ბლემად—სესხის გაცემისათვის, კაცი იტ-  
ყოდა კიდევ ჰყო. ძალიან უკვირთ თურმე ქუთაისის ქალაქ-  
ზედ როგორ გასცეს  $1\frac{1}{2}$  მილიონი სესხიო. რაო მითამ?  
ქუთაისის ქალაქი განა ოსტროგოშის ქალაქია, რომ მაგოდენა  
სესხის გასაცემად გირაო არა ჰქონდეს! შორიდან იქნება ეგრე  
ჩანდეს, მაგრამ ბანკისა რა ბრალა, რომ კაცის თვალი პე-  
ტერბურღიდან ქუთაისამდე რიგიანად ვერა სჭრიდეს! გონების

თვალი?! იტყვის მკითხველი. გონების თვალი კი გასჭრის, მაგრამ უკუღას ახილული არა აქვს.

მეორე მიზეზი ის არის, რომ ქუთაისის ბანკი ძირადად აფასებს ქალაქის მამულებსაო, რადგანაც წლიურს წმინდა შემოსავალს თექვსმეტ ჯერ ამრავლებსო. არ ვიცი, მართლაც ძირადად აფასებს თუ არა, ჯერ კი მაინც და მაინც ზარალი არა უნახავს რა. ეს კია, რომ თექვსმეტ ჯერ გამრავლება მართლაც ბევრია ფასის გამოყვანისათვის. მაგრამ განა ეს საბუთია, რომ აუკრძალოს ბანკსა სესხის გაცემა საყოველთაოდ? უკუღას სესხი, ცოტაა თუ ბევრი, ხომ სამინისტროში მიდის, წესდების ძალით, დასამტკიცებლად. განა არ შეიძლება განსაკუთრებით ის ცალკე სესხი არ დაემტკიცებინა სამინისტროს, რომელიც რომელსაღე მამულზედ ბლომად ეჩვენებოდა? ანუ მიეცა ბძანება ქუთაისის ბანკისათვის, რომ ქალაქის მამულების ფასის გამოსაყვანად მიიღეთ წლიური წმინდა შემოსავალი ათჯერ გამრავლებული და არა თექვსმეტჯერაო! აქ რა საჭირო იყო ის სასტიკი განკარგულება, რომელზედაც ჩვენ ვლანჯარაკობთ. პატარა ქალაქების მამულზედ უქლეკია ქუთაისის ბანკს სესხიო, აშობენ კიდევ მიზეზად. ბატონო, თუ ეგრეს, რად ამტკიცებდით მაგისტანს სესხს და თუ ამტკიცებდით სამდურავს რაღა ადგილი აქვს? თუნდ ეგეც არ იყოს და პატარა ქალაქების მამულზედ მართლაც საშიში იყოს სესხის გაცემა, მართლაც მაგ გვარ სესხის გაცემას აუკრძალვიდენ დალოცვილები და იმით გაათავებდენ საქმეს.

სოფლის მამულებზედ მეტის-მეტი ფასები აქვსო ქუთაისის ბანკსაო, ზოგჯერ დესეტინა 500, 600 ჯ 700 მანეთად დაფასებულა და ამის კვალობაზედ გაცემულია სესხიო. აქაც იმას ვიტყვი, რაც ქალაქის მამულებზედ ვჭსთქვით: თვითვე-



ული სესხი ცალკეა წარდგენილი სამინისტროში დასამტკიცებლად და ნუ დაამტკიცებდენ, თუ მეტის-მეტო ეგონათ. თუმცა ეს კი უნდა ვსთქვათ, სოფლის მამული ქუთაისის გუბერნიისში სშირად ახირებულ ფასად გადის და ღირს კიდევ ხელში.

წესდების ძალით, საადგილ-მამულთ ბანკში ვისაც სესხის გამოტანა უნდა ქალაქის მამულზედ, ცენტლისაგან საზღვევის საზოგადოების პოლისი უნდა წარადგინოს. იმავე წესდების ძალით, ჯამი საზღვევის ფულისა უნდა შედგარიყოს იმ ჯამი-დამ რაც სესხად მიეცემა და რომელსაც უნდა დაემატოს ორის წლის ბანკის გადასახადი ერთად. ქუთაისის ბანკს ჰსდებენ ბრალს, რომ პოლისის წარმოდგენას მაშინ კი არა თხოულობს, როცა მსესხებელს არცა შემოაქვს სესხის სათხოვნელათაო, არამედ მაშინა, როცა სესხს აძლევსო. ჩვენის ფიქრით, ძალიან კარგად მოქცეულა ამ შემთხვევაში ქუთაისის ბანკი, თუ ეგ მართალია და გვგონია ყველა ბანკიც ეგრე უნდა იქცოდეს, თუ არ უნდა რომ გაუჩნდეს მსესხებელს საქმე და ადრე და ძალი ტყუილ-უბრალოდ ხარჯი გააწეინოს. ჯერ მინამ ბანკს სესხი არ გადაუწევეტია და არამც თუ სესხი, დაფასებაც მამულისა არ მოუხდენია, როგორ შეადგინოს ჯამი საზღვევის ფულისა, როცა არც თვითონ ბანკმა და არც მსესხებელმა არ იცის, რას დანიშნავს ბანკი? იტყვიან იმის კვალობაზედ შეადგინოს, რასაც თვითონ მსესხებელი თხოულობსო. კარგი და პატროსანი, მაგრამ ხანდისხან მსესხებელი ახირებულად ბერსა თხოულობს და ბანკი კი სესხს ძალიან ნაკლებად უნიშნავს. ბანკმა ტყუილად იძულებულ რად ჰყოს მსესხებელი, გააღებინოს მომეტებული პრემია საზღვევის პოლისზედ, როცა შესაძლოა საქმე ისე გათავდეს, რომ არც მწკადა დაიწვას, არც

მამოყური? ის არა ჭკობია, როცა სესხი დანიშნული იქნება და მომხადებული მისაცემად, მაშინ მოჭსოსოვოს ბანკმა პოლისი დანიშნულის სესხის კაფლობასუდ? ამითი მითამ რა წახდება? ბანკიც მაინც ხათრი ჯამად იქნება გირაოდ მიღებულ შენობასუდ და მსესხებელიც იძულებულ არ იქნება მეტი სარჯი გაიღოს პოლისსუდ.

მაინც და მაინც როგორც ეს უკანასკნელი მიზეზი, ისეც ზემოდ ნახვენებნი, ისეთის თვისებისანი არ არიან, რომ იძულებულ ყოფილიყვნენ მათგანთ მოესპოთ მოქმედება ქუთაისის ბანკისა. ყოველივე ეს შექმლათ შეენიშნათ ქუთაისის ბანკისათვის და ებრძანებინათ — სესხი გი ისეც აძლიეთ, მხოლოდ ეს მიზეზები მოიშორეთ თავიდანთ.

აი უმთავრესნი და თითქმის ყველა მიზეზნი, რომლისგანთ ასე გამომიქტეს ქუთაისის ბანკი. უყურებ და კერძს გზით ვერ მიგიგნია — რით უნდა გამართლებულ იყოს ასეთი სსსტივი განკარგულება? რომ აკვირდება კაცი ამ საქმეს, დაყინებით ჭკითხავს თავის თავს: რადა და რისთვისაა და რიგისანი, საბუთიანი პასუხი ვერ უბრუნია. თუ მართლაც ეს უმიზეზო მიზეზნი არიან საბუთად მოყვანილნი განა თვითვეულ მათგანს ცალკე ცალკევე შემთხვევაში ვერ გადაღობებოდა წინ, ვისაც კი უფლება აქვს! საყოველთაოდ მათგანთ მუსარის გაკლება რა საჭირო იყო, ან რამ გამომიწვია? ნუ თუ მან, რომ „იყავნ ნება ჩემი!“

## რედაქციისათვის

„ივერიის“ წინა წიგნში ჩვენ გამოაცხადეთ, რომ რედაქციას იმედი აქვს დასასრული წერილისა „უკუღმართი ნაბიჯი“ შემოკლებით და ცვლილებით შეძგეს წიგნში მაინც დაიბეჭდებოდეს, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა: წერილი ვერ იბეჭდებოდა ესეც და ვერც შეძგეში დაიბეჭდება.

---

რედაქციას კვლავ უნდა გამოაცხადოს, რომ ამ ნომრის დასრულებული შურონის „ივერიის“ რედაქტორად იქნება მხოლოდ ი. ჭავჭავაძე.

რედ.

---

## განცხადება.

ამა 1883 წელს ქუჩნაღს «ივერიაზედ» ხელის მო-  
წერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანათი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომე-  
ლიც იმყოფება გოლოვანის პრესბუქტზედ (ბუღვარზედ),  
ონანოვის სახლებში № 9 ჭავჭავაძის შავკერძის სააგენტოში.

ქუთაისში, ჭილაძის ძაღვანიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის ძას-  
წაკლებულ მ. ნათაძესთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მოძწერით წერალი ჭ იუული შემ-  
დეის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисѣ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»*

ვისაც ქუჩნაღი თავის დროზედ არ მიუვიდეს, კთხოვით,  
მაღე აცნობოს რედაქციას.